ISSN 1987-6890

# ეკონომისტი

# EKONOMISTI

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

International Scientific-Analytical Journal

3

2 0 1 3

UDC33
ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

# ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

მაისი
ივნისი **3** 2013

მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:
**ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიქავა**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:
**იური ანანიაშვილი, როზეტა ასათიანი, თემურ ბერიძე, გიორგი ბერულავა, ვახტანგ ბურდული, რევაზ გოგოხია, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკობ მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, სოლომონ პავლიაშვილი, უშანგი სამადაშვილი, როლანდ სარჩიმელია, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჭითანავა, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი.**

ეკონომიკის დოქტორები:
**ნანული არევაძე, ნანა ბიბილაშვილი, ბადრი გეჩბაია, მერაბ გველესიანი, შალვა გოგიაშვილი, ლინა დათუნაშვილი, გულნაზ ერქომაიშვილი, ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, ანზორ კურატაშვილი, თეა ლაზარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაური, დალი სოლოღაშვილი, ნოდარ ხადური, მამუკა ხუსკივაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი.**
**თამარ დადიანი (პასუხისმგებელი მდივანი)**

უცხოელი წევრები:
**ანა ახვლედიანი (დიდი ბრიტანეთი, პასუხისმგებელი მდივანი უცხოეთში), ლარისა ბელინსკაია (ლიტვა), ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), გინდრა კასნაუსკიენე (ლიტვა), დავით კურტანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილე), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მიხეილ როკეტლიშვილი (აშშ), სლავომირ პარტიცკი (პოლონეთი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთი).**

---

**ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.**

---

თბილისი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Paata Gugushvili Institute of Economics

# EKONOMISTI

**International Scientific-Analytical Journal**
**Published from January 2009**

**May June** **3** 2013

**Editor-in-Chief** **Ramaz Abesadze**

**SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD**

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:
**Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze**

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:
**Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharaishvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Solomon Pavliashvili, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze.**

DOCTORS OF ECONOMICS:
**Nanuli Arevadze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Gulnaz Erkomaishvili, Badri Gechbaia, Shalva Gogiashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Anzor Kuratashvili, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Dali Sologhashvili.**
**Tamar Dadiani (executive secretary)**

FOREIGN MEMSERS:
**Anna Akhvlediani (Great Britain, executive secretary abroad), Larisa Belinskaja (Lithuania), Eldar Ismailov (Azerbaijan), Gindra Kasnauskiene (Lithuania), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Vladimir Menshikov (Latvia), Slawomir Partycki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia).**

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

**Tbilisi**

## ს ა რ ჩ ე ვ ი


მნიშვნელოვანი ღონისძიებები 6

ბიზნესი

*ლილი გვენეტაძე* – დებიტორული დავალიანების მართვის ზოგიერთი მეთოდური ასპექტები 10

მაკროეკონომიკა

*თამილა არნანია-კეპულაძე* – შრომის ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებანი არაფორმალური ინსტიტუტების გავლენის კონტექსტში (გენდერული სტერეოტიპების მაგალითზე): კონცეპტუალური მიდგომა 17

*ელენე მენაბდე-ჯობაძე* – საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფციის ზოგიერთი ასპექტი 25

*მაია კაპანაძე, მერაბ კვანტალიანი* – ეკონომიკის საზოგადოებრივი სექტორის და კერძო ბიზნესის პარტნიორობა 30

სტატისტიკა

*ლია ჩარექიშვილი* – გენდერული სტატისტიკა: აუცილებლობა და განვითარება 35

*დალი ჩახვაშვილი* – საქართველოში ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნისა და დასაქმებულთა შემოსავლების სტატისტიკური ანალიზი 44

ტურიზმის ეკონომიკა

*ნაირა ლევდაშვილი* – საქართველოს ტურისტული ბიზნესის გარე გარემოს თავისებურებები 50

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

*ნარგიზა ქარქაშაძე, ლელა კამლაძე* – უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოში 56

მარკეტინგი

*ნანა ბენიძე, ჯაბა ბიწაძე, თინათინი გუგეშაშვილი* – ანდერაიტინგის საბაზისო პრინციპები 64

ეკონომიკური პროგნოზირება

*მარინე ცუცქირიძე* – პროგნოზირების ძირითადი ასპექტები და მისი მახასიათებლების ანალიზის საკითხები 71

მენეჯმენტი

*ვასილ ხიზანიშვილი* - კორპორაცია და კორპორაციული პასუხისმგებლობა 80

მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომები

*ცისნამი საყვარლიშვილი* – ვარდების რევოლუცია და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება საქართველოში 84

*გიორგი აფციაური* – საშემოსავლო გადასახადი და მისი სრულყოფის გზები საქართველოში 93

*სალომე ჯაში* – არასატარიფო ბარიერების გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე 102

ინფორმაცია 110

## СОДЕРЖАНИЕ

**ВАЖНЫЕ МЕРОПРИЯТИЯ** **6**

**БИЗНЕС**

***Лили Гвенетадзе –*** Некаторые методические аспекти управления дебиторской задолженностью **10**

**МАКРОЭКОНОМИКА**

***Тамила Арнания-Кепуладзе –*** Особенности функционированием рынка труда под влиянием неформальных институтов (в контексте гендерных стереотипов): концептуальный подход **17**

***Елене Менабде-Джобадзе –*** Концепция экономического развития Грузии **25**

***Маиа Капанадзе, Мераб Кванталиани –*** Партнерство общественного сектора экономики и частного бизнеса **30**

**СТАТИСТИКА**

***Лия Чарекишвили –*** Гендерная статистика в Грузии: нужда и развития **35**

***Дали Чахвашвили –*** Статистический анализ спроса на человеческий ресурс и доходов занятых лиц в Грузии **44**

**ЭКОНОМИКА ТУРИЗМА**

***Наира Гведашвили –*** Особенности окружающей среды туристического бизнеса Грузии **50**

**МЕЖДУНАРОДНЫЕ ЭКОНОМИЧНСКИЕ ОТНОШЕНИЯ**

***Наргиза Каркашадзе, Лела Камладзе –*** Экономическая эффективность иностранных инвестиций в Грузию **56**

**МАРКЕТИНГ**

***Нана Бенидзе, Джаба Бицадзе, Тинатин Гугешашвили –*** Андераитинг-Основные принципы **64**

**ЭКОНОМИЧЕСКОЕ ПРОГНОЗИРОВАНИЕ**

***Марина Цуцкиридзе –*** основные аспекты прогнозирования и вопросы анализа ее показателей **71**

**МЕНЕДЖМЕНТ**

***Васил Хизанишвили –*** Корпорация и корпоративная ответственность **80**

**НАУЧНЫЕ ТРУДЫ МАГИСТРАНТОВ И ДОКТОРАНТОВ**

***Циснами Сакварлишвили _*** "Революция роз" и социально-экономическое развитие в Грузии **84**

***Гиоргий Апциаури –*** Налоговая система Грузии и основные направления его совершенствования **93**

***Саломе Джаши –*** Влияние Нетарифных мер на прямых иностранных инвестиции **102**

**ИНФОРМАЦИЯ** **110**

# C O N T E N T S

**SIGNIFICANT MEASURES** **6**

**BUSINESS**

***Lily gvenetadze*** **–** Theoretical aspects of managing Accounts Receivables **10**

**MACROECONOMICS**

***Tamila Arnania-Kepuladze*** **–** The Features of Labour Market Functioning Under Influence of In-Formal Institutions (in the Context of Gender Stereotypes): Conceptual Approach **17**

***Elene Menabde – Jobadze*** **–** Concept of Georgian Economy Development **25**

***Maia Kapanadze, Merab Kvantaliani*** – Partnership of society sector of economy and private business **30**

**STATISTICS**

***Lia Charekishvili*** **–** Gender Statistics in Georgia: Needs and Development **35**

***Dali Chakhvashvili*** **–** The Statistical Analysis of Human Resources Demand and Incomes of the Employees in Geoergia **44**

**TOURISM ECONOMICS**

***Naira Ghvedashvili*** – The characteristics of the external environment of the touristic business of Georgia **50**

**INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS**

***Nargiza Qarqashadze, Lela Kamladze*** – Economic efficiency of foreign investment in Georgia **56**

**MARKETING**

***Nana Benidze, Jaba Bitsadze, Tinatin Gugeshashvili*** – Anderaiting- Basic Principles **64**

**ECONOMIC FORECASTING**

***Marina Tsutskiridze*** **–** The Mein Aspectes of the Forecasting and Issues Analysis of its Indicators **71**

**MANAGEMENT**

***Vasil Khizanishvili*** **–** Corporate and Corporation Responsibility **80**

**SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS**

***Tsisnami Sakvarlishvili*** – Rose revolution and social-economic developments in Georgia **84**

***George Aptsiauri*** **–** Taxation system of Georgia and main directions of its improvement **93**

***Salome Jashi*** **–** The impact of Non-tariff measures on Foreign Direct Investments **102**

**INFORMATION** **110**

## მნიშვნელოვანი ღონისძიებები

# პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები

**2013 წლის 28 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში ჩატარდა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე".**

კონფერენცია გახსნა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძემ**. მან თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა კონფერენციის თემატიკასა და კონფერენციის მნიშვნელობაზე, როგორც ეკონომიკური მეცნიერების განვითარების, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო კავშირების გაფართოების თვალსაზრისით.

კონფერენციას მიესალმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური.

კონფერენციას მიესალმა და სამეცნიერო მოხსენებით გამოვიდა აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა**.

კონფერენციის მუშობაში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მრავალმა მეცნიერ-ეკონომისტმა.

საზღვარგარეთიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ, კონფერენციას მიესალმნენ და სამეცნიერო მოხსენებით გამოვიდნენ: ემდ, პროფ. **ალი ალირზაევი** – აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი. პროფესორები: **ელენე მოშკოვსკაია, ოლგა რომანენკო, კიევის ეროვნული სავაჭრო-ეკონომიკური უნივერსიტეტი, ემდ, პროფ. ოლგა იაცენკო** - ვადიმ გეტმანის სახელობის კიევის ეროვნული ეკონომიკის უნივერსიტეტი.

კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობდნენ ასევე მეცნიერები რუსეთიდან, ბელორუსიიდან, ჩეხეთიდან და პოლონეთიდან.

პლენარულ სხდომაზე სამეცნიერო მოხსენებით გამოვიდნენ: ემდ, პროფ. **როზეტა ასათიანი** – თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, ემდ, პროფ. **თეიმურაზ შენგელია** – კათედრის ხელმძღვანელი; **უშანგი სამადაშვილი** – ემდ, თსუ ასოცირებული პროფესორი, **გიორგი სიგუა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, უკრაინის საკრედიტო-საბანკო კავშირის მრჩეველი.

კონფერენციის მუშობა წარიმართა შემდეგ სამეცნიერო სექციებში: ეკონომიკური თეორიის (ხელმძღვანელები: ემდ, პროფ. **ა. კურატაშვილი** და ემდ, პროფ. **მ. კვარაცხელია**); მაკროეკონომიკის (ხელმძღვანელები ეკონომიკის აკადემიური დოქტორები **ნ. არევაძე** და **გ. ერქომაიშვილი**); ფინანსებისა და საბანკო საქმის (ხელმძღვანელები: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი **თ. ლაზარაშვილი** და აკ. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი **დ. სოლოღაშვილი**); საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკის (ხელმძღვანელები: ემკ, ასოცირებული პროფესორი **ი. ნათელაური**, ემკ **რ. ჯავახიშვილი**); ბიზნესის პრობლემების (ხელმძღვანელები: ემდ, პროფ. **გ. ბერულავა**, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**ე. კაკულია**); სექტორული და რეგიონული ეკონომიკის (ხელმძღვანელები: ემდ, პროფ. **ვ. ბურდული**, სმმდ, პროფ. **თ. ჩხეიძე**); აგრარული ეკონომიკის (ხელმძღვანელები: ემკ **ზ. რევიშვილი**, ემკ **ლ. დათუნაშვილი**).

სამეცნიერო სექციების ხელმძღვანელებმა სექციების მუშაობის შეჯამებისას ყურადღება გაამახვილეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების იმ პრობლემებზე, რომლებიც წამოჭრეს მომხსენებლებმა. სამეცნიერო სექციების ხელმძღვანელებმა, ასევე ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა გამოთქვეს აზრი, რომ კონფერენცია ჩატარდა მაღალ მეცნიერულ დონეზე, რომ მომხსენებლების მიერ წარმოჩენილ იქნა არაერთი მეცნიერული სიახლე, წინადადება და რეკომენდაცია.

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძემ** დადებითად შეაფასა კონფერენციის მუშაობა.

***

**29 ივნისს გაიმართა პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა**.

სხდომას უძღვებოდა ინსტიტუტის დირექტორი ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე.**

სხდომაზე მოისმინეს მოხსენებები: 1. პროფესორ **გიორგი პაპავას** ცხოვრება და მოღვაწეობა (მომხსენებელი ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე**); 2. პროფესორი **გიორგი პაპავა** როგორც მეცნიერი და პედაგოგი (მომხსენებელი ემდ, პროფ. **ნოდარ ჭითანავა**).

სხდომაზე მოგონებებით გამოვიდნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **თეიმურაზ შენგელია, გედევან ხელაია, ნუგზარ პაიჭაძე, უშანგი სამადაშვილი, როლანდ სარჩიმელია**, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი **გურამ ყუფუნია.** მათ მაღალი შეფასება მისცეს პროფესორ **გიორგი პაპავას** მოღვაწეობას. ისაუბრეს მის მაღალ მეცნიერულ შედეგებზე, პედაგოგიურ წარმატებებზე, შესანიშნავ ადამიანურ თვისებებზე. აღინიშნა, რომ მან ეკონომიკურ მეცნიერებაში შექმნა ახალი მიმართულება ეკონომიკურ ანალიზში პერიოდანტულ-გენეტიკური მეთოდის შემოტანით და განვითარებით, რომ იგი იყო ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი ეკონომიკური მეცნიერების პაპავების ოჯახური დინასტიისა.

საიუბილეო სხდომას სიტყვით მიმართა აკადემიკოსმა **ვლადიმერ პაპავამ**, რომელმაც დიდი მადლიერების გრძნობა გამოხატა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექციისა და მთელი კოლექტივის მიმართ, ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მოწყობის, წარმატებით განხორციელებისა და პროფ. გიორგი პაპავას დიდი დაფასებისათვის.

საიუბილეო დღეებში გაიმართა კულტურული ღონისძიებები.

**ლინა დათუნაშვილი**
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**თეა ლაზარაშვილი**
ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

***ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ მომზადებული წიგნის* - „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება: მოსაზრებები, წინადადებები და რეკომენდაციები"- პრეზენტაცია.**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში 2013 წლის 15 მაისს გაიმართა ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლების მიერ გამოქვეყნებული წიგნის – „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება: მოსაზრებები, წინადადებები და რეკომენდაციები" – პრეზენტაცია.**

პრეზენტაცია გახსნა და შესავალი სიტყვით საზოგადოებას მიმართა ინსტიტუტის დირექტორმა, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ ემდ, პროფესორმა **რამაზ აბესაძემ**, რომელმაც ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს უდიდეს როლზე ქვეყანაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკის უზრუნველყოფაში; სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შემცირებაზე; ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მობილიზაციის აუცილებლობაზე; საბანკო სექტორის გამართულ საქმიანობაზე; საგადასახადო კოდექსის დახვეწის, მცირე ბიზნესის განვითარების, მეცნიერებისა და განათლების სფეროში რეფორმების გატარების აუცილებლობაზე. მან დაწვრილებით მიმოიხილა, როგორც მრეწველობის, ისე აგრარული სფეროს განვითარების რეალური მდგომარეობა ქვეყანაში და ყურადღება გაამახვილა იმ ღონისძიებების კომპლექსზე, რომელთა პრაქტიკული რეალიზაცია ამ დარგების განვითარებას ხელს შეუწყობს.

პრეზენტაციაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური**, სხდომას ასევე ესწრებოდნენ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი თაბუაშვილი, მინისტრის მოადგილე **გიორგი ჯავახიშვილი,** ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი **თენგიზ გველესიანი** და ეკონომიკური სამეცნიერო საზოგადოება.

წიგნის პრეზენტაციაში მონაწილეობა მიიღო აკადემიკოსმა **ვლადიმერ პაპავამ,** მან აღნიშნა, რომ ქვეყანაში მეცნიერები იმისთვის ვარსებობთ, რომ მთავრობას მეცნიერულად შესწავლილი და გაანალიზებული წინადადებები შევთავაზოთ. თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომომიკის ინსტიტუტი კი თავისი სამეცნიერო პოტენციალით ანგარიშგასაწევი ძალაა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ლეო ჩიქავამ** მაღალი შეფასება მისცა ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერთა მოსაზრებებს და აღნიშნა: „ეს არის არაორდინალური ნაშრომი", სადაც თავმოყრილია ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტების ნაფიქრალ-ნააზრევი, რომელიც წინადადებებისა და რეკომენდაციების სახით არის ჩამოყალიბებული. წიგნში კარგად არის არგუმენტირებული საკითხები, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ხელს შეუწყობს და დასძინა, რომ ამ წიგნიდან ბევრი საინტერესო მოსაზრებაა გასათვალისწინებელი.

პრეზენტაციაზე წიგნის მნიშვნელობასა და სამეცნიერო ღირებულებაზე ისაუბრეს აგრეთვე ემდ, პროფესორებმა: **როზეტა ასათიანმა, ელგუჯა მექვაბიშვილმა, მიხეილ ჯიბუტმა, იაშა მესხიამ, უშანგი სამადაშვილმა, ეკონომიკის დოქტორმა რევაზ ჯავახიშვილმა** და სხვ. მათ თავიანთ გამოსვლებში დადები-

თად შეაფასეს საპრეზენტაციო წიგნის გამოქვეყნება, რომელიც ეძღვნება საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების არაერთ სფეროს და მასში მოტანილი მოსაზრებების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

**ლინა დათუნაშვილი**
სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, აკადემიური დოქტორი

**ქეთევან ქველაძე**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

## ბიზნესი

*ლილი გვენეტაძე*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

# დებიტორული დავალიანების მართვის ზოგიერთი მეთოდური ასპექტი

ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ეტაპზე, კომპანიებს მუდმივად ცვალებად პირობებში უწევთ ფუნქციონირება და გარეგან ფაქტორებზე მთლიანად არიან დამოკიდებული. კომპანიის მენეჯერებს სულ უფრო მეტად უწევთ გარე ფაქტორების გათვალისწინება. მყიდველების შესანარჩუნებლად მწვავე კონკურენციული ბრძოლა გამყიდველ კომპანიებს აიძულებს მუდმივად გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, შეიმუშაონ მარკეტინგული სტრატეგიის ახალი გზები, მათ შორის, გაყიდონ პროდუქცია კრედიტში, რაც დებიტორულ დავალიანებას წარმოშობს. დებიტორული დავალიანების შეუსრულებლობა, კომპანიებში საგადამხდელო ბრუნვის შენელებას განაპირობებს და დამატებით ფინანსურ პრობლემებს ქმნის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში მიმდინარე აქტივში დებიტორული დავალიანებების ხვედრითი წილი არა მარტო მაღალია, არამედ ზრდის ტენდეცაიაც გაჩნიათ. საქართველოს კომპანიებში, დებიტორული დავალიანების ხვერითი წილი მიმდინარე კაპიტალში 30-70 %-ის ფარგლებში მერყეობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას დებიტორული დავალინების ეფექტური მართვა წარმოადგენს. რაც, თავის მხრივ, მისი საერთო სიდიდის ოპტიმიზაციასა და ვალის დროულ ინკასაციაში უნდა აისახოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დებიტორულ დავალიანების თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების დამუშავება და სრულყოფა მუდმივ აქტუალობას ინარჩუნებს.

წლის განმავლობაში, კომპანიის დებიტორული დავალიანების საერთო თანხა, კრედიტში გაყიდვების მოცულობაზე (S) და ინკასაციის საშუალო პერიოდზეა (ACP) დამოკიდებული:

$$\text{დებოტორული დავლიანება} = \frac{S}{365} \times ACP \qquad (1)$$

იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიები, კლიენტებისათვის კრედიტის მიცემით თავისი სახსრების მნიშვნელოვან დაბანდებას აწარმოებენ, ეს განსაზღვრულ საკრედიტო პოლიტიკის გატარებას მოითხოვს, რომლითაც დებიტორული დავლიანების დონის რეგულირებაა შესაძლებელი.

საკრედიტო პოლიტიკა ეს არის იმ პრინციპების ნაკრები, რომელიც კლიენტებისათვის კრედიტის მიცემას არეგულირებს. ამ პოლიტიკამ უნდა უპასუხოს სამ ურთიერთდაკავშირებულ საკითხს. **ჯერ ერთი,** ვის მისცეს კრედიტი? კრედიტუნარიანობის სტანდარტის დახმარებით კომპანია იმ პირობებს განსაზღვრავს, რომლის შესრულების შემთხვევაში კლიენტებს შეუძლიათ მიიღონ კრედიტი. **მეორე** - რა ვადით უნდა იქნეს კრედიტი გაცემული? კრედიტის ვადა ეს არის დრო, რომლის მიხედვითაც კომპანია გასცემს კრედიტს. **მესამე** - რა ქმედებები უნდა გაატაროს კომპანიამ იმ კლიენტების მიმართ, რომლებმაც არ შეასრულეს კრედიტის პირობები? კრედიტის დაბრუნების პოლიტიკა ეს იმ ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც დამრღვევი კლიენტების მიმართ ქმედითი გადაწყვეტილების განხორციელებას ითვალისწინებს.

კომპანია კრედიტის გაცემით თავის თავზე იღებს რისკს, რამდენადაც არსებობს გარკვეული ალბათობა იმისა, რომ კლიენტი სესხს არ დააბრუნებს. კრედიტუნარიანობის სტანდარტების დადგენის მთავარი ამოცანაა, კრედიტი იმ კლიენტებზე გაიცეს, რომლებიც მის დაბრუნებას შეძლებენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ კომპანია მათ შესახებ სრულ ინფორმაციას არ ფლობს. რაც მაღალი სტანდარტების ძალზე მკაცრი პოლიტიკის გატარებას გულისხმობს. ამასთან, თუ კი კომპანია კრედიტში საქონელს მხოლოდ იმ კლიენეტებს მისცემს, რომელსაც ის აბსოლუტურად სანდოდ მიიჩნევს, მაშინ კომპანია ბევრ მნიშვნელოვან კლიენტს დაკარგავს. მსგავს მკაცრ პოლიტიკას შეუძლია შეამციროს გაყიდვების მოცულობა და, შესაბამისად, შემოსავალი და მოგება. მეორე უკიდურესობა მდგომარეობს იმაში, რომ დადგინდეს ძალზე რბილი სტანდარტები. რაც ნიშნავს იმას, რომ კრედიტი ეძლევა ბევრ კლიენტებს, რომლებმაც შეიძლება დავალიანება არ გადიხადონ. ასეთ პირობებში ზარალის მიღების დიდი ალბათობა არსებობს.

რა თქმა უნდა, კომპანიას შეუძლია უარი უთხრას ერთ კლიენტს კრედიტზე და მეორეს მისცეს, იმ ალბათობის მიხედვით, კლიენტი დავალიანებას გადაიხდის თუ არა. ამასთან, ამ საკითხში ძალზე მკაცრი პოლიტიკის გატარება არ იქნება მიზანშეწონილი. ზოგიერთ კომპანიას შეუძლია მისცეს თავის თავს იმის უფლება, რომ სხვასთან შედარებით თავისი საკრედიტო პოლიტიკა შეარბილოს. აღნიშნული გასაყიდ **საქონელზე, ფულის ღირებულებასა და კრედიტის ვადაზეა** დამოკიდებული.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რა გავლენას ახდენენ აღნიშნული ფაქტორები კრედიტის გაცემასთან დაკავშირებით კომპანიის გადაწყვეტილებებზე, განვიხილოთ მაგალითი: დავუშვათ, კლიენტი კომპანიის მიერ C დოლარად შეძენილ საქონელს S დოლარად ყიდულობს. კომპანიისათვის ფულის ღირებულება წელიწადში r პროცენტი ღირს, ხოლო კლიენტს ეძლევა უფლება საქონლის ფასი ყიდვის მომენტიდან T დღის განმავლობაში გადააიხადოს. ამასთან, ალბათობა იმისა, რომ ყოველი შეძენილ საქონელზე კლიენტი S დოლარს გადაიხდის, არის p, ხოლო ალბათობა იმისა, რომ კლიენტი შეძენილი საქონლის საფასურს T დღის შემდეგ არ გადაიხდის, (1-p) უდრის. ასეთ შემთხვევაში კრედიტის ვადის დასრულების დროს მოსალოდნელი ამონაგები შემდეგნაირად განისაზღვრება:[2]

$$E\,(\text{ამონაგები}) = S \times p + 0 \times (1 - p) = S \times p$$

იმისათვის, რომ კომპანიამ კლიენტისაგან მოსალოდნელი **E** ამონაგები მიიღოს, დღეს **C** დოლარი უნდა დააბანდოს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომპანია, კრედიტის გაცემიდან **T** დღის განმავლობაში, დაბანდებულ **C** დოლარზე საპროცენტო შემოსავალს (**CrT/365**) კარგავს. ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა დაბანდების შემთხვევაში, კომპანია ვარაუდობს იმას, რომ გადაწყვეტილებიდან მიღებული შემოსავალი მასთან დაკავშირებულ ხარჯებზე მეტი იქნება. ე.ი. უნდა შესრულდეს შემდეგი უტოლობა:

$$-C\left[1 + \frac{rT}{365}\right] + Sp > 0$$

მოცემული გამოსახულება შეიძლება გადასახდელის ალბათობაზე დავიყვანოთ, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ კომპანიისათვის მომგებიანი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული.

$$P > \left[\frac{C}{S}\right]\left[1 + \frac{rT}{365}\right] \qquad (2)$$

მეორე განტოლება, რომელიც კრედიტის გაცემის შესახებ კომპანიის გადაწყვეტილებას განსაზღვრავს, ძირითადი ფაქტორების შესახებ მნიშვნელო-

ვან წარმოდგენას გვაძლევს. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მხოლოდ ის კლიენტები იღებენ კრედიტს, რომლებიც უზრუნველყოფენ გადახდის მაღალ ალბათობას. იმის გათვალისწინებით, რომ უტოლობის მარჯვენა ნაწილი შედგება მყარი კონკრეტული ცვლადებისაგან, სხვადასხვა კომპანიები სხვადასხვა სტანდარტებს იყენებენ. ასე მაგალითად, მე-2 განტოლებიდან ჩანს, რომ კომპანიები, რომელთაც გააჩნიათ C/S უფრო მაღალი მნიშვნელობა, გაატარებენ უფრო მკაცრ საკრედიტო პოლიტიკას, ვიდრე კომპანიები C/S დაბალი მნიშვნელობით. ეს მართალია, რამდენადაც კომპანიებს, უმნიშვნელო ზღვრული მოგებით, არ შეუძლიათ თავს ულება მისცენ ძალზე დიდი რაოდენობით დაუბრუნებელი სამომხმარებლო (კომერციული) კრედიტი ქონდეთ. ამით აიხსნება ის, თუ რატომ არის რომ უმეტესობა სუპერმარკეტისა კრედიტით საქონლის გაცემას ერიდებიან, რამდენადაც მათ ჩვეულებრივ მცირე მარჟინალური (ზღვრული) მოგება გააჩნიათ.

მე-2 ფორმულიდან ჩანს ისიც, რომ რაც უფრო მაღალია ფულის ღირებულება და რაც უფრო შორსაა გადახდის ვადა, მით უფრო მკაცრ საკრედიტო პოლიტიკას მიმართავს კომპანია. ამგვარად, თუ ეკონომიკაში მიმდინარეობს საპროცენტო განაკვეთის ზრდა, მოსალოდნელია კომპანიის მხრიდან საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება. გარდა აღნიშნულისა, ჩვენ ვხედავთ, რომ კომპანიები (მაგალითად, ბანკები), როდესაც კრედიტს 1-დან 30 წლამდე იძლევიან, გაცილებით ფრთხილობენ პოტენციური კლიენტების შეფასების დროს იმ კომპანიებთან შედარებით, რომლებიც გასესხებული თანხის დაბრუნებას, დავუშვათ, 30 დღეში ელოდებიან.

**კრედიტის ვადას,** როგორც წესი, საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს. ხშირად კომპანიები, ვადამდე გადახდის შემთხვევაში, კრედიტის ვადას შესაძლო ფასდათმობასთან აკავშირებენ. ასე მაგალითად, კომპანიას კრედიტის გაცემის პირობების შესახებ შეუძლია გააკეთოს შემდეგი სახის განაცხადი: „2/10 წმინდა 30", რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია სესხზე 2%-იან ფასდათმობას აცხადებს იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშ-ფაქტურის თარიღიდან, კლიენტი ნაცვლად 30 დღისა, სესხს სრულად 10 დღეში დაფარავს. იმ შემთხვევაში, თუ დაფარვა მოხდება 30 დღის განმავლობაში, მაშინ კლიენტი ფასდათმობას არ იღებს. რაც იმაზე მიუთითებს, რომ კომპანია კლიენტს უბიძგებს სესხი დაუყოვნებლივ გადაიხადოს.[3]

დაჩქარებული მეთოდით სესხის დაფარვის შემთხვევაში, სასურველი შედეგის მისაღწევად, გადახდის ვადა და ფასდათმობა ურთიერთკავშირში იმყოფებიან. „2/10 წმინდა 30" კრედიტის პირობებში მყიდველი ან იხდის მეათე დღეს და იღებს 2% ფასდათმობას, ან ოცდამეათე დღეს მთლიან თანხას იხდის. გამყიდველი კომპანია 2%-იან ფასდათმობას იმ პირობით თავაზობს, რომ მომხმარებელმა საფასური 20 დღით ადრე გადაიხადოს. ამასთან მან უნდა გადაწყვიტოს, ღირს თუ არა ამგვარ ფასდათმობაზე წასვლა იმისათვის, რომ ფული 20 დღით ადრე მიიღოს.

რომელი მყიდველი მოისურვებს საქონლის საფასურის ვადაზე ადრე გადახდას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ მაგალითი: დავუშვათ, არის მყიდველი წელიწადში 10%-იანი ფულით და 100 დოლარის საქონელს „2/10; წმინდა 30" პირობით ყიდულობს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი შეძენიდან დაჩქარებულად, 10 დღის განმავლობაში, არ გადაიხდის საქონლის საფასურს მაშინ ის თავისთვის 98 დოლარს კიდევ 20 დღის განმავლობაში შეინახავს. ამ 98 დოლარის 20 დღეში დაბანდებით (გასესხებით), წლიური 10%-იანი განაკვეთის პირობებში, პერიოდის ბოლოს მას ექნება $98 x [1+ 0,10 x (20/365)] = 98,54 დოლ. იმის გათვალისწინებით, რომ ამ პერიოდში გადასახდელია 100 დოლარი, ე.ი. მეტი თანხა, ვიდრე შეუძლია მან მიიღოს განვადების

შემთხვევაში, მყიდველმა მიზანშეწონილი იქნება, ადრე გადაიხადოს. ამგვარად, ვადაზე ადრე მხოლოდ ის მყიდველები არ გადაიხდიან, რომლებიც თავიან ფულად საშუალებებზე შედარებით მაღალი საპროცენტო შემოსავალის მიღების იმედი აქვთ. ჩვენს მაგალითში ყველა მყიდველმა, რომლისთვისაც ფულის ღირებულება 37,24%-ზე ნაკლებია, უნდა გამოიყენოს, 2%-იანი ფასდაკლება. რაც შემდეგი გაანგარიშებიდან ჩანს:

$$\$98\left[1+r\left(\frac{20}{365}\right)\right] < \$100$$

$$r < \left[\frac{2}{98}\right]\left[\frac{365}{20}\right] = 37{,}24\%$$

იმის გათვალისწინებით, რომ რეალურად კომპანიების უმეტესობისათვის ფულის ღირებულება 37,24% -ზე დაბალია, დაჩქარებული მეთოდით გადახდის ფასდათმობა დიდ სტიმულს წარმოადგენს. სინამდვილეში ფასდათმობა შეიძლება ძალზე მაღალი აღმოჩნდეს, რამდენადაც კომპანიისათვის ეს შეიძლება ძალიან ძვირი ღირდეს. ჩვენს მაგალითში კომპანიისათვის ფულის ღირებულება, რომელიც დაჩქარებული გადახდისათვის ფასდათმობას აცხადებს, 37,24%-ს შეადგენს. პრინციპში, პროცენტის წლიური განაკვეთი (r) კრედიტის პირობებთანაა დაკავშირებული და ის „d/n, მთლინად T" - უდრის:

$$r = \left(\frac{d}{100-d}\right)\left(\frac{365}{T-n}\right) \qquad (3)$$

მე-3 განტოლება არაპირდაპირ შეიძლება შემდეგნაირად დავასაბუთოთ. განტოლების მარჯვენა ნაწილის პირველი წევრი პროცენტულ განაკვეთს ასახავს, რომელსაც კომპანია იმ კლიენტებს თავაზობს, რომლებიც ვადამდე იხდიან. ჩვენს შემთხვევაში 20 დღეზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 2/98 =2,04%. მეორე წევრი, წელიწადში (T-n) დღიური პერიოდების რაოდენობას წარმოადგენს. ჩვენს მაგალითში წელიწადში 20 დღიანი პერიოდი 365/20 =18,25 შეადგენს. განტოლების ამ ორი წევრის წარმოებულები წარმოადგენს წლიურ საპროცენტო განაკვეთს, რომელსაც კომპანია იხდის ვადამდე გადახდისათვის ფასდაკლების პირობების მისაღებად. ე.ი. ჩვენს მაგალითში კომპანია იხდის წლიურ საპროცენტო განაკვეთს 2.04%x18,25 = 37,23%, რაც დამრგვალების გათვალისწინებით უკვე მიღებული პასუხის ტოლია.

ფასდაკლების სიდიდესთან ერთად გამყიდველმა კომპანიამ დიდი ყურადღება თვითონ **კრედიტის ვადას** უნდა დაუთმოს. კრედიტის ვადის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ჩვეულებრივი პრაქტიკა, რამდენადაც ეს კონკრეტულ დარგში კონკურენციის ელემენტია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში გამყიდველმა უნდა იცოდეს სხვადასხვა ვადაში კრედიტის გაცემის ღიერებულება.

მაგალითისათვის განვიხილოთ კომპანია, რომელიც თავის კლიენტებს საქონელს კრედიტში „2/10,წმინდა 30"-ის პირობით აძლევს და განიხილავს მისი გაფართოების საკითხს „2/10,წმინდა 60" -მდე. 60 დღიანი კრედიტისათვის კომპანიამ შეიძლება: ჯერ ერთი საკრედიტო ვადის შერბილებით დამატებითი კლიენტები მოიზიდოს და მოგება გაყიდვის მოცულობის ზრდით მიიღოს. მეორეც, კომპანია მიდის ხარჯებზე, რომელიც არსებულ კლიენტებთანაა დაკავშირებული, რამდენადაც ასეთ პირობებში მას მოუწევს დაიცადოს არა 30, არამედ 60 დღე. მესამეც, მყიდველების დიდი ნაწილი მოინდომებს გადაიხადოს წმინდა (მთლიანი) თანხა და არ ისარგებლებს ფასდაკლებით, რამდენადაც

საპროცენტო განაკვეთი არსებითად შემცირდება. „2/10, წმინდა 30" -ის პირობებში ჩვენ ვაჩვენეთ, რომ გამყიდველი კომპანიის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 37,24%. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია შეცვლის პირობებს „2/10,წმინდა 60"-ით, ასეთ პირობებში მესამე განტოლების გამოყენებით მივიღებთ, რომ საპროცენტო განაკვეთი გახდება 14,90%:

$$r = [2/98][365/50] = 14{,}90\%$$

აღნიშნულიდან გამომდინარეობს ის, რომ კლიენტები, რომელთაც დაბანდებით 14,90%-ზე მეტი შეუძლიათ მიიღონ, ფასდაკლების პირობებს არ მიიღებენ.

ნებისმიერ კომპანიაში აუცილებლად წარმოიქმნება კრედიტის დაბრუნებასთან დაკავშირებით განსაზღვრული სიძნელეები. კომპანიებმა რაც არ უნდა გულდასმით შეისწავლონ თავიანთი კლიენტების კრედიტუნარიანობა, მაინც წარმოიქმნება უიმედო ვალები. შემდეგში, თუ კომპანია ამკაცრებს კრედიტის მიცემის პირობებს იმ დონემდე, რომ იქ პრაქტიკულად არ წარმოიქმნება უიმედო ვალი, ეს ალბათ შეცდომა იქნება. რამდენადაც აღნიშნულის შედეგად კომპანიამ შეიძლება დაკარგოს სარგებლის მომტანი კლიენტები. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის გადაწყვეტილება კრედიტის გაცემის შესახებ შეიძლება იყოს მცდარი, ყოველი კომპანია ვადაგადაცილებული გადასახდელების აკრეფას უნდა გეგმავდეს.

ვადაგადაცილებული გადასახდელების აკრეფის დროს კომპანიას შეუძლია ისარგებლოს დავალიანების ვადის ცხრილით. დავალიანების ვადის ცხრილი ანგარიშებს ყოფს ვადაგადაცილებული პერიოდების მიხედვით. პირველ ცხრილში გადახდის პერიოდების მიხედვით პირობითი კლიენტების დავალიანებებია წარმოდგენილი.

*ცხრილი 1*

***პირობითი კლიენტების დავალიანების ცხრილი***

| დავალიანება დღეები | თანხა $ |
|---|---|
| 0-30 | 380 |
| 31-60 | 280 |
| 61-90 | 75 |
| >90 | 0 |

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტმა აიღო 60 დღიანი კრედიტი, მაშინ ვადის გადაცილება ანგარიშის მიხედვით 75 დოლარი იქნება. მაგრამ კლიენტს შეუძლია გადიხადოს მოგვიანებით არასრულად, იმ შემთხვევაში, თუ ყიდვა არ მოხდა 90 დღეზე უფრო გვიან. კომპანიამ ასეთ კლიენტს შეიძლება გაუგზავნოს რბილი წერილობითი შეტყობინება კრედიტის აუცილებელი დაფარვის შესახებ. რაც შედარებით იაფი ღირს და სრულიად შესაძლებელია დადებით შედეგამდე მიგვიყვანოს.

ვალის დაბრუნებასთან დაკავშირებით ნებისმიერი ქმედება ხარჯია, ამიტომ მთავარია სწორი მიმართულება შევარჩიოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ შეტყობინებასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდასთან ერთად უიმედო ვალების მოცულობა უნდა შემცირდეს. პრინციპში კომპანიამ იმდენი ხარჯი უნდა გაწიოს, იმ წერტილამდე უნდა მივიდეს, როდესაც მასთან დაკავშირებული სარგებელი დანაკარგების კომპენსაციას მოახდენს. რამდენადაც შესაძლებელია იმ კლიენტების დაკარგვა, რომლებსაც შეუძლია მოგების მოტანა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კლიენტი ვადაგადაცილებული სესხისთვის იხდის.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Финансы., Зви Боди, Роберт Мертон., Вильямс. 2007,
2. Финансовый Менеджмент., Роберт В. Колб, Рикардо Дж. Родригес - М,.2001
3. Принципы корпоративных Финансов., Брейли Р. Майерс С.. ЗАО «Олимп-Бизнес». М. 2008.
4. ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ, ვაჰოვიჩი, უმცრ. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, მეთორმეტე გამოცემა, „საქართველოს მაცნე" 2008., თავი 10.
5. Что такое Дебиторская задолженность? http://www.debitoroff.net/
6. http://www.malb.ru/glossariy095.html



***ლილი გვენეტაძე***
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*
*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი*
*სრული პროფესორი*


## დებიტორული დავალიანების მართვის ზოგიერთი თეორიული ასპექტი

### ანოტაცია


კომპანიის მიერ საქონლის (მომსახურების) კრედიტში რეალიზაცია დებიტორულ დავალიანებას წარმოშობს. დავალიანების შეუსრულებლობა კომპანიებს მნიშვნელოვან ფინანსურ პრობლემებს უქმნის, რაც დავალიანების ეფექტურ მართვას მოითხოვს. შესაბამისად, დავალიანების თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების დამუშავება და სრულყოფა მუდმივ აქტუალობას ინარჩუნებს. სტატიაში გამოკვლეულია დებიტორული დავალიანების მართვის ისეთი მეთოდური ასპექტები, როგორიცაა: საკრედიტო პოლიტიკა; კრედიტის დაბრუნების პოლიტიკა; კრედიტუნარიანობის სტანდარტების დადგენა; ინკასაციის პოლიტიკა; გაანალიზებულია საკრედიტო პოლიტიკაზე მოქმედი ფაქტორები: საქონლის სახეობა, ფულის ღირებულება და კრედიტის დაბრუნების ვადა.



***Лили Гвенетадзе***
*Кавказский Международный Университет*
*Профессор*


## НЕКАТОРЫЕ МЕТОДИЧЕСКИЕ АСПЕКТИ УПРАВЛЕНИЯ ДЕБИТОРСКОЙ ЗАДОЛЖЕННОСТЬЮ

### Аннотация


Любая продажа товара (услуги**)**, которую компания производит **не за наличные а** в кредит**,** пораждает дебиторскую задолженность, что для компании создаёт значительные финансовые проблемы и требует эффективное управление **задолженности.** Соответственно обработка и совершенствование теоретических и методологических аспектов дебиторской задолженности постоянно сохраняет актуальность. В статье рассмотренни методологические аспекты управления дебиторской задолженности: Кредитная политика; Политика возврата кредитов; Установление Стандарты

кредитоспособности; Политтика инкасации; Анализируются такие основные факторы, влияющие на кредитную политику как : Товары которые продают в кредит, стоимость денег и допускаемого срока кредита.

***Lily gvenetadze***
*Caucasus International University*
*Full Professor*

**THEORETICAL ASPECTS OF MANAGING ACCOUNTS RECEIVABLES**
**Annotation**

When a company provides a product (service) in credit, this creates accounts receivables. Unfulfillment of this receivables, creates serious financial problems for companies, thats why its important to have an effective management of such receivables. Because of this, improvement of theoretical and methodological aspects of managing accounts receivables always remains a priority. This article researches such aspects of accounts receivables managment methodologies as : credit policy, credit return policy, establishment of creditworthiness standarts, cashing policy; also article analyizes factors that have an impact on credit policies: variety of goods, value of money and credit return terms.

## მაკროეკონომიკა

*თამილა არნანია-კეპულაძე,*
*ეკონომიკის დოქტორი, ფილოსოფიის დოქტორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფ.*

# შრომის ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებანი არაფორმალური ინსტიტუტების გავლენის კონტექსტში (გენდერული სტერეოტიპების მაგალითზე): კონცეფტუალური მიდგომა

## I. შესავალი: პრობლემის დასმა და აქტუალურობა

შრომის ბაზარი წარმოადგენს მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ დისკუტირებად პრობლემას, რომლის შესწავლას ხანგრძლივი ისტორიული წარსული გააჩნია. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური მეცნიერების სივრცეში მის მიმართ ინტერესი დღემდე არ ნელდება. შრომის ბაზრისადმი ასეთი მყარი ინტერესის შენარჩუნება მრავალი ფაქტორით აიხსნება, რომელთა შორის ზოგს ხანგრძლივი ისტორიული წარსული გააჩნია, ზოგი კი საზოგადოებრივი განვითარების ყოველ ახალ საფეხურზე ან ჩნდება, ან იჩენს თავს, ან ახლებური ხედვითა და პრობლემისადმი ახლებური მიდგომით არის განპირობებული.

შრომის ბაზრის პრობლემის მიმდინარე შესწავლა განპირობებულია შემდეგით:

***პირველი:*** შრომის ბაზრის პრობლემის კვლევა ძირითადად მიმდინარეობდა და მნიშვნელოვანწილად მიმდინარეობს დღემდე ნეოკლასიკური ეკონომიკური დოქტრინის, ე.წ. "mainstream economics" - ფარგლებში, თუმცა XX საუკუნის 80-იან წლებში გამწვავდა ნეოკლასიკური მიმართულების კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების კრიტიკა სხვა ეკონომიკური სკოლებისა და მიმდინარეობების (ინსტიტუციური, ნეოინსტიტუციური, ნეოკეინზელური, ევოლუციური, ავსტრიული, ფემინისტური და სხვ.) მხრიდან. ეს კრიტიკა ძირითადად და სამართლიანად მიმართული იყო ნეოკლასიკური ეკონომიკური მეთოდოლოგიის ვიწრო ფარგლებისა და აბსტრაჰირების მეტისმეტად მაღალი დონის წინააღმდეგ.

***მეორე:*** ბოლო ოცდაათი-ორმოცი წლის მანძილზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა და, მათ შორის, ეკონომიკურ მეცნიერებათა სივრცეში, მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ფუძემდებლურ გავლენას ახდენენ კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე. ეს ცვლილებები დაკავშირებულია დისციპლინათაშორისი მიდგომის მნიშვნელობის გაძლიერებასთან.

ზემოთ აღნიშნულმა მიზეზებმა გამოიწვია ეკონომიკური მეცნიერების თეორიული კვლევების ფარგლების მნიშვნელოვანი გაფართოება (საუბარი არავითარ შემთხვევაში არ მიმდინარეობს რედუქციონიზმზე) და, ბუნებრივია, გაშალა ახალი შესაძლებლობები ისეთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური საკითხის შესწავლისთვის, როგორიცაა შრომის ბაზრის ფუნქციონირების თეორიული კვლევა.

***მესამე:*** XX საუკუნის შუა პერიოდში გაძლიერდა ქალთა მონაწილეობა საზოგადოებრივ სფეროში და, გაფართოვდა ქალთა შრომის მიწოდება შრომის ბაზარზე, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ურთიერთობები დასაქმების სფეროში, ოჯახსა და მთლიანად საზოგადოებაში. ეს მოვლენები შესაბამისი გამოვლენა იყო იმ ცვლილებებისა, რომლებიც მრავალი ქვეყნის იურიდიულ კანონებსა და ნორმატიულ აქტებში დაფიქსირდა და საზოგადოებრივ-ეკონომი-

კურ ცხოვრებაში ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი უფლებები მიანიჭა. მიუხედავად ამისა, არსებობს მნიშვნელოვანი დისპროპორციები ქალთა და მამაკაცთა მდგომარეობაში დასაქმების სფეროში, რაც გამოვლინდება შრომის ბაზრის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სეგრეგაციაში, ხელფასის განსხვავებაში და ა.შ., ანუ სახეზეა მნიშვნელოვანი ბზარი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების ნორმატიულ და პოზიტიურ მხარეებს შორის, რაც იმის დასტურია, რომ ფორმალური ინსტიტუტები ყოველთვის ვერ მოქმედებენ ეფექტურად.

შრომის ბაზრის გენდერული დისპროპორცია ფართოდ გავრცელებული პრობლემაა. მასთან ბრძოლა სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა დონით მიმდინარეობს და სხვადასხვა შედეგს აღწევს. ასე, თუ ევროპის ქვეყნებში შრომის ანაზღაურების გენდერული განსხვავება 17%-მდე შემცირდა, საქართველოში ამ მაჩვენებელმა საშუალოდ 40% შეადგინა. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სხვადასხვა რეალიებში (ჩვენს შემთხვევაში საქართველოსა და ჩეხეთში) ერთი და იგივე ობიექტის (ჩვენს შემთხვევაში - შრომის ბაზრის) ფუნქციონირების გარკვეული ფაქტორების (ჩვენს შემთხვევაში – არაფორმალური ინსტიტუტების) გავლენის გაანალიზება.

ამ მოვლენების ობიექტური გააზრება-შეფასება შეუძლებელია კლასიკური ეკონომიკური თეორიის ფარგლებში და მოითხოვს უფრო ფართო თეორიული და ემპირიული ანალიზის განხორციელებას. შრომის ბაზრის ფუნქციონირების კვლევისადმი ახლებური თეორიულ-ეკონომიკური მიდგომა უნდა მოიცავდეს საკითხთა ფართო წრეს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან არა მხოლოდ შრომის მიწოდება-მოთხოვნასთან, არამედ შრომის ბაზრის აგენტების (აქტორების) ეკონომიკურ ქცევასთან, ამ ქცევის სუბიექტური და ობიექტური ხასიათის განპირობებულობასთან, ქცევაზე მოქმედ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების მოქმედებასთან, საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ცვლილებასთან, ეროვნულ მენტალიტეტზე გლობალიზაციის პროცესის გავლენის გათვალისწინებასთან და ა.შ.

შრომის ბაზრის კვლევის განხორციელება ინსტიტუციურ შეხედულებათა საფუძველზე შესაძლებელს ქმნის ისეთი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომის ჩამოყალიბებას, რომელიც დიდწილად ითვალისწინებს ამ მოთხოვნებს და განიხილავს შიგა საორგანიზაციო შრომით ურთიერთობათა საკითხებს არა პერსონალის მართვის თვალსაზრისით, რაც წარმოადგენს მენეჯმენტის საგანს, არამედ ეკონომიკური მეცნიერების პოზიციებიდან გამომდინარე და შეიმუშავებს შრომის ბაზრის მიკროეკონომიკური კვლევის ისეთ თეორიულ-მეთოდოლოგიურ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს შრომითი რესურსების ეფექტურ გამოყენებას ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფისათვის, უკონფლიქტო და სოციალურად გაწონასწორებული, ეგალიტარულ პრინციპებზე აგებული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

სწორედ ასეთი მიდგომა ქმნის მოცემულ პრობლემას მეტად აქტუალურს, როგორც თეორიულ-მეთოგოლოგიური, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

## II. კვლევის მიზნები და ჰიპოთეზები

***კვლევის ობიექტი:*** შრომის ბაზარი და მისი ფუნქციონირების თავისებურებანი არაფორმალური ინსტიტუტების ზემოქმედების თვალსაზრისით

***კვლევის საგანი:*** გენდერული ჯგუფების სოციალურად განპირობებული ქცევის გავლენა შრომის მიწოდება-მოთხოვნაზე და შრომის ბაზარზე გენდერული სტერეოტიპების აღწარმოების ფორმები და ფაქტორები

***კვლევის მიზანი:*** შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე არაფორმალური ინსიტიტუტებისა და, კერძოდ, გენდერული სტერეოტიპების გავლენის შესწავლა.

***კვლევის ამოცანები:***

- გენდერის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის, არსის განსაზღვრა და ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში მისი ადგილისა და როლის შეფასება;
- ინსტიტუტთა სისტემის – "სახელმწიფო-შრომის ბაზარი-ოჯახი"-ს ელემენტების ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა არაფორმალური ინსტიტუტების ზეგავლენით;
- სოციალურ სტერეოტიპებზე არსებული შეხედულებათა სისტემატიზაცია და შრომის ბაზრის აგენტების ქცევაზე გავლენის შესწავლა;
- შრომის ბაზარზე გენდერული სტერეოტიპების გავლენის შესწავლა კულტურათაშორისო კონტექსტში;
- მოსახლეობის სოციალიზაცია, როგორც გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბების, დამკვიდრებისა და შენარჩუნების პროცესის გაანალიზება;
- შრომითი მოტივაციის, კონკურენტული ქცევისა და გენდერული სტერეოტიპების აღქმის თეორიული და ემპირიული შესწავლა;
- გენდერული პროექტების პერსპექტიული განვითარების ემპირიულ-თეორიული მოდელის შემუშავება;
- შრომის ბაზრის ინსტიტუციური მართვის სრულყოფის მეთოდების შემუშავება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით.

***კვლევის ძირითადი და დამხმარე ჰიპოტეზები:***

***ძირითადი ჰიპოტეზა:*** გენდერული ურთიერთობები წარმოადგენენ სოციალურ კონსტრუქტს და ამ ურთიუერთობების აღწარმოება მიმდინარეობს კონკრეტულ ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ გარემოში. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ნორმატიული მიდგომები და ფორმალური ინსტიტუტები ახორციელებენ გენდერულ ურთიერთობათა რეპრეზენტაციას თანასწორობის სისტემათა პოზიციიდან, მაშინ, როცა პოზიტიური სოციალურ-ეკონომიკური რეალობა და არაფორმალური ინსტიტუტები ამჟღავნებენ გენდერულ დიფერენციაციას და უთანასწორობას საზოგადოებრივ და კერძო სფეროებში, ქმნიან დეპრივაციულ ეფექტებს, აქვეითებენ ქალთა და მამაკაცთა ცხოვრების ხარისხს, პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრებით კმაყოფილების დონეს, აფერხებენ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს.

***დამხმარე ჰიპოტეზა 1:*** ხელფასის გენდერული განსხვავება წარმოადგენს ქალთა და მამაკაცთა დასაქმების სფეროში დაკავებული პოზიციების არათანაბრობის და არა ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული ადამიანისეული კაპიტალის შედეგს.

***დამხმარე ჰიპოტეზა 2:*** ეკონომიკურ სფეროში გენდერული დისპროპორციები დიდ წილად დაკავშირებულნი არიან გენდერული სტერეოტიპების არსებობასთან.

***დამხმარე ჰიპოტეზა 3:*** თანამედროვე რეალიები არ შეესაბამება გენდერული სტერეოტიპებით განპირობებულ შრომის მოტივაციას და კონკურენტული ქცევის გენდერულ თავისებურებებს.

***დამხმარე ჰიპოტეზა 4:*** გენდერული სტერეოტიპები წარმოადგენენ შრომის მოთხოვნა-მიწოდების შორის არსებული დისპროპორციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს და გავლენას ახდენენ შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე.

## III. კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომი ეფუძნება კვლევის ისეთ ***თეორიულ*** მეთოდებს, როგორიცაა აბსტრაქციის მეთოდი, დიალექტიკური, ლოგიკური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ინდუქციისა და დედუქციის, სტატისტიკურ-მათემატიკურ, შედარებითი ანალიზის, მეცნიერული კლასიფიკაციისა და მოდელირების მეთოდები. ***ემპირიული*** მეთოდებიდან გამოყენებულია სოციალურ-ეკონომიკური დაკვირვების და

გამოკვლევის მეთოდი. შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შრომითი მოტივაციაზე და კონკურენტულ ქცევაზე გენდერული სტერეოტიპების გავლენის სიღრმისეული ანალიზისათვის გამოყენებულია კვლევის ხარისხობრივი მეთოდები. კვლევა ეფუძნება ქართველი და უცხოელი ეკონომისტების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების შრომებს.

***კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები:***

- ✓ შრომის ბაზრის *კლასიკური მოდელი* აღებულია კვლევის საბაზისო მოდელად;
- ✓ *ინსტიტუციური მიდგომა*, გამოიყენება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის მყარი სოციალური პროცესებისა და ურთიერთობების გამოყოფისა და გენდერული ჯგუფების წარმომადგენლების საქმიანობაზე საზოგადოებრივი ნორმების ზემოქმედების გამოვლენისათვის;
- ✓ *სოციო-კულტურული მიდგომა*, რომლის საფუძველზე გენდერული ურთიერთობები განიხილება, როგორც კულტურულ-სიმბოლური კონსტრუქტი. ეს მიდგომა ხელს უწყობს საზოგადოებრივ და კერძო სფეროებში გენდერული ჯგუფების ეკონომიკური ქცევის მოდელების კონსტრუირების პროცესის გაგებას და განხორციელებას;
- ✓ *სისტემური მიდგოვა*, რომლის საფუძველზე გენდერული ურთიერთობები დასაქმების სფეროში განიხილება, როგორც შრომის ბაზარზე არსებული ურთიერთობათა სისტემის შემადგენელი ნაწილი;
- ✓ *კომპლექსური მიდგომა*, რომელიც ეფუძნება შრომის ბაზარზე გენდერული სტერეოტიპების მოქმედების განხილვას მათი გამოვლენის მთლიანობაში: გენდერული ჯგუფების წარმომადგენლების - დასაქმებულებისა და დამსაქმებლების - და სოციალური ინსტიტუტების (ჩვენს შემთხვევაში არაფორმალური სოციალური ინსტიტუტების) ურთიერთქმედების ერთიანობაში;
- ✓ *არასრული/ნაწილობრივი რაციონალურობის თეორია* გამოიყენება შრომის მიწოდება-მოთხოვნის კლასიკური ანალიზის გაფართოებისა და შრომის ბაზარზე არსებული ურთიერთობების გააზრების ახალ სიბრტყეში გადაყვანისათვის;
- ✓ *გენდერული როლის თეორიები* გამოიყენება როგორც გენდერული სტერეოტიპების არსებობის, შრომის ბაზარზე ეკონომიკური ქცევისა და ხელფასის გენდერული დიფერენციაციის განპირობებულობის საფუძველი;
- ✓ *კერძო სოციოლოგიური თეორიები*: პიროვნების სოციოლოგიის თეორია, ოჯახის სოციოლოგიის თეორია, გენდერული სოციოლოგიის თეორია.

***კვლევის ემპირიული საფუძველი:***

- ✓ 2009 წელს საქართველოში ჩატარებული საექსპერტო გამოკითხვა ანკეტირების მეთოდით, რომლის საფუძველზე შემუშავებული იქნა მომდევნო ემპირიული გამოკვლევის დაზუსტებული მეთოდიკა;
- ✓ 2010 წელს საქართველოსა და ჩეხეთში ჩატარებული საზოგადოებრივ სფეროში დასაქმებულთა ანკეტირების მეთოდით განხორციელებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები, რომელთა გაანალიზება ხორციელდება SPSS პროგრამის მეშვეობით;
- ✓ 2010 წელს საქართველოსა და ჩეხეთში ჩატარებული "სიტუაციური" კვლევა და მაღალი და საშუალო რანგის ხელმძღვანელთა ინტერვიურება;
- ✓ სხვა მეცნიერთა მიერ მიღებული ემპირიული კვლევის შედეგები.

***კვლევის ინფორმაციული საფუძველი:***

- ➢ სტატისტიკის დეპარტამენტის, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მასალები;

- European Employment Strategy : New rules for European works councils ( 30/09/2009 ); Draft Joint Employment Report (JER) 2009/2010 (2009); Joint Employment Report 2008/2009 (2009); Country-specific Integrated Recommendations (2009) ;
- Modelling of labour markets in the European Union - *Part I* (literature review); *Part II* (documentation of the model); *Part III, Part IV* (illustrative simulations) - 2009;
- Human Development Report; Global Report under the follow-up to the ILO Declaration on Fundamental Principles and Rights at Work. International Labour Office. Geneva;
- European Parliament Report 2004-2009 on equality between women and men in the European Union (2004/2159(INI)). Committee on Women's Rights and Gender Equality;
- European Parliament Report 2004-2009 on the future of the Lisbon Strategy from the point of view of the gender perspective (2004/2219(INI)). Committee on Women's Rights and Gender Equality;
- European Parliament Report 2004-2009 on women and poverty in the European Union (2004/2217(INI)). Committee on Women's Rights and Gender Equality;
- Commission of European Communities. Green Paper. Equality and non-discrimination in an enlarged European Union;
- Resolution adopted by General Assembly 55/69. Improvement of the status of women in the United Nations system.

## IV. სამეცნიერო კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მნიშვნელობა

*სამეცნიერო კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური დებულებები, კონცეპტუალური მოდელები, ძირითადი იდეები, შედეგები, დასკვნები და კონკრეტული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებული იყოს*:

- ეკონომისტების, სოციოლოგების, სოციალურ-ეკონომიკური მართვის სპეციალისტების, სოციალურ-ეკონომიკური სფეროს მკვლევართა მიერ ინსტიტუციური პროცესების მნიშვნელობაზე ადეკვატურ შეხედულებათა შექმნისათვის და დისციპლინათაშორისო მიდგომის განვითარებისათვის;
- დასაქმების სამსახურის მუშაკთა მიერ, რომლებიც ახორციელებენ შრომის ბაზრის მონიტორინგ-პროგნოზირებას;
- საკანონმდებლო ორგანოების მიერ დასაქმების კანონში შრომის ბაზრის ფუნქციონირებისა და დასაქმების სფეროს სრულყოფის მიზნით შესაბამისი ცვლილებების შეტანისთვის;
- სახელმწიფოს დასაქმების პოლიტიკის განვითარება-რეალიზაციისათვის;
- დასაქმების სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების მიერ სოციალური და ეკონომიკური პროგრამების დამუშავებისათვის გენდერული კონსენსუსის, როგორც საზოგადოების უკონფლიქტო განვითარების პირობის, მიღწევის მიზნით;
- არასახელმწიფო ორგანიზაციების მიერ მოსახლეობასთან საგანმანათლებლო მუშაობის განხორციელებისათვის;
- სალექციო კურსების პროგრამების სრულყოფისთვის დისციპლინებში: "ეკონომიკური თეორია", "მიკროეკონომიკა", "ეკონომიკური სოციოლოგია", "შრომის ეკონომიკა", "შრომის სოციოლოგია", "ეკონომიკური სწავლების ისტორია", "გენდერული კვლევები", "პერსონალის მართვა" და სხვ.

## V. კვლევის მეცნიერული სიახლე

*კვლევის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს შემდეგში:*

- ✓ პრობლემის დასმა, ჰიპოთეზების შემუშავება და მათი ანალიზი;

✓ შრომის ბაზრის აქტიორების ეკონომიკური ქცევის გენდერულ თავისებურებათა კვლევის საფუძველზე, კეთდება გენდერული თანასწორობის მაკროეკონომიკური პრობლემის მიკროეკონომიკურ დონეზე გადაწყვეტის მცდელობა;

✓ კვლევა ხორციელდება ჩეხეთისა და საქართველოს კონტექსტში;

✓ შრომის ბაზრის სეგრეგაცია განიხილება არაფორმალური (ჩვენს შემთხვევაში – გენდერული სტერეოტიპების) ინსტიტუტების ზეგავლენის კონტექსტში;

✓ ხელფასის გენდერული განსხვავება განიხილება, როგორც შრომის ბაზრის გენდერული დისპროპორციის გამომწვევი მიზეზების შედეგი;

✓ შრომის ბაზრის აქტიორების ეკონომიკური ქცევის შესწავლის მიზნით შემუშავებულია ავტორისეული კითხვარი;

✓ დასაქმებულ მამაკაცთა და ქალთა მიერ გენდერული სტერეოტიპების აღქმის კვლევის მიზნით შემუშავებულია ავტორისეული „სიტუაციური კვლევა";

✓ შესწავლილი და სისტემატიზირებულია შრომის მოტივაციისა და სამუშაო ადგილზე კონკურენციის გენდერულ თავისებურებათა თაობაზე მეცნიერულ ლიტერატურაში არსებული შეხედულებები;

სხვა სიახლეები კონცენტრირებულია თეორიული და ემპირიული კვლევის უკვე მიღებულ და მოსალოდნელ შედეგებში (იხ. მომდევნო პარაგრაფები).

## VI. კვლევის შედეგები

***მიღებული თეორიული შედეგები***

*კონკრეტული მომენტისათვის მიღებულია შემდეგი თეორიული შედეგები:*

➢ შემოთავაზებული, ახსნილი და გამოყენებულია "ხელფასის გენდერული დიფერენციაციის" ცნება და კოეფიციენტი, რომლის პირველი ვერსია იყო შემუშავებული 2004 წელს, ხოლო მომდევნო პერიოდში მოხდა მოცემული ცნების განვითარება-სრულყოფა და გამოყენება შრომის ანაზღაურების გენდერულ თავისებურებათა ანალიზისათვის;

➢ გენდერი განხილულია, როგორც სოციალური ინსტიტუტი, რაც ეფუძნება გენდერული ჯგუფების გარემოს კონსტრუირებას, სოციალური ნორმებისა და წესების, ქცევის ფორმების შეფასებას, გარკვეული ფუნქციების შესრულებას და სხვა;

➢ გენდერული ჯგუფების წარმომადგენლები განიხილებიან, როგორც სოციალურად კონსტრუირებული "გენდერული მოდელები";

➢ შრომის ბაზრის სეგმენტაცია განიხილება, როგორც ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების მოქმედების შედეგი;

➢ განხილული და ახსნილია დისპროპორცია საზოგადოების გენდერული სტრუქტურის სოციალურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პარამეტრებსა და არაფორმალურ ინსტიტუციურ ნორმებს შორის;

➢ გენდერული სტერეოტიპების კონტექსტში შესწავლილი და გაანალიზებულია მეცნიერულ ლიტერატურაში არსებული შეხედულებანი შრომის მოტივაციასა და კონკურენტულ ქცევაზე; შემოთავაზებულია ამ შეხედულებების ავტორისეული კლასიფიკაცია;

➢ პირველად საქართველოს შრომის ბაზრის მიმართ განხორციელებულია შრომის მოტივაციაზე გენდერული სტერეოტიპების გავლენის შესწავლა და ანალიზი ისეთი *მასკულინური მახასიათებლების* მიმართ, როგორიცაა ხელფასის მიცულობა, დაწინაურებისკენ სწრაფვა, გადაწყვეტილებათა დამოუკიდებელი მიღება, პასუხისმგებლობა, ავტონომიურობა და ისეთი *ფემინური მახასიათებლების* მიმართ, როგორიცაა თავისუფალი დრო პირადი ცხოვრებისათვის, შრომის სასიამოვნო გარემო, ურთიერთობები კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან;

- შემუშავებულია დროის განაწილების ავტორისეული მოდელი;
- შემოთავაზებული და ახსნილია დროის განაწილების ისეთი პარამეტრები და ცნებები, როგორიცაა სამუშაო დრო (*working time*), არასამუშაო დრო (*non-working time),* გამოყენებადი დრო (*used time*), თავისუფალი დრო *(free time),* დრო, რომელიც აუცილებელია ადამიანთა ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (*time to satisfaction physiological needs*), დასვენების დრო (*leisure).* ახსნილი და სქემატურად წარმოდგენილია შემოთავაზებული დროის პარამეტრებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება. მოცემულია დროის პარამეტრების შესაბამისი საქმიანობის – შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული საქმიანობა (*income-make activity),* საქმიანობა, რომელიც არ არის დაკავშირებული შემოსავლის მიღებასთან (*non-income-making activity),* საქმიანობა, რომელიც არ არის პირდაპირ დაკავშირებული შემოსავლის მიღებასთან (*indirect-receipts activity),*საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს შემოსავლის მიღებას ან ზრდას (*income getting or income increasing promote activity*), საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია არაფულადი შემოსავლის მიღებასთან (*non-monetary income obtain activity*) და ნებაყოფლობითი საქმიანობა (*voluntary activity*) - ახსნა-განსაზღვრა;
- სისტემატიზირებულია თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული შეხედულებანი არჩევანისა და ინდივიდუალურ უპირატესობათა მინიჭების პრობლემაზე და მიღებული დასკვნები გამოყენებულია ინდიფერენციური მრუდების არაპარალელური გადაადგილების შესაძლებლობის ახსნელად;
- ავტორის მიერ შემოთავაზებული დროის დაყოფის მოდელისა და მჯობინებათა არასტაბილურობის ინსტიტუციური მიდგომის საფუძველზე შემუშავებულია შრომის მიწოდების განზოგადებული (გენდერულად ნეიტრალური) მოდელი;
- ამ მოდელის შემდგომი განვითარების გენდერული სტერეოტიპების მოქმედების საფუძველზე შემოთავაზებულია შრომის მიწოდების მოდელები ცალკე მამაკაცებისა და ცალკე ქალებისათვის;
- შემოთავაზებულია და ახსნილია ავტორისეული ცნება - "საქმიანობის დომინირებადი მიზნის პრინციპი" *(The principle of dominant purpose of activity).*

***მოსალოდნელი შედეგები***

*კვლევის დასრულებისას მოსალოდნელია მიღებული იქნას თეორიული და ემპირიული კვლევის შედეგები შემდეგი მიმართულებით:*

- ✓ შემუშავებული ჰიპოთეზების დადასტურება ან უარყოფა;
- ✓ უნდა გამოვლინდეს დასაქმებულთა შრომის მოტივაციის გენდერული თავისებურებანი და დადგინდეს მათი შესაბამისობა გენდერულ სტერეოტიპებთან (ჩეხეთისა და საქართველოს კონტექსტში);
- ✓ უნდა გამოვლინდეს დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე კონკურენციის გენდერული თავისებურებანი და დადგინდეს მათი შესაბამისობა გენდერულ სტერეოტიპებთან (ჩრხეთსა და საქართველოს კონტექსტში);
- ✓ უნდა გამისაზღვროს გენდერული სტერეოტიპების აღქმის თავისებურებანი დასაქმებული ქალებსა და მამაკაცების მიერ (ჩეხეთისა და საქართველოს კონტექსტში);
- ✓ უნდა გამისაზღვროს გენდერული სტერეოტიპების აღქმის თავისებურებანი დამსაქმებელთა მიერ (ჩეხეთისა და საქართველოს კონტექსტში);
- ✓ ავტორის მიერ შემუშავებული ხელფასის გენდერული დიფერენციაციის კოეფიციენტების/ინდექსების მეშვეობით უნდა განხორციელდეს შრომის

ანაზღაურების გენდერული ანალიზი (ჩეხეთისა და საქართველოს კონტექსტ-ში);

✓ უნდა განხორციელდეს შრომის ბაზრის ინსტიტუციური მართვის სრულყოფის მეთოდების განსაზღვრა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

***Тамила Арнания-Кепуладзе***
*доктор экономики, доктор философии,*
*Университет им. Акакия Церетели, Кутаиси, Грузия*

**ОСОБЕННОСТИ ФУНКЦИОНИРОВАНИЕМ РЫНКА ТРУДА ПОД ВЛИЯНИЕМ НЕФОРМАЛЬНЫХ ИНСТИТУТОВ (В КОНТЕКСТЕ ГЕНДЕРНЫХ СТЕРЕОТИПОВ): КОНЦЕПТУАЛЬНЫЙ ПОДХОД**

**Аннотация**

В статье расскрывается точка зрения автора относительно научно-методологического подхода к исследованию проблемы особенностей функционирования рынка труда, под воздействием неформальных институтов, таких как гендерные стереотипы. В статье объясняется актуальность проблемы, цель, предмет и задачи исследования, ставится гипотеза исследования. Автор описывает методологию исследования, включая теоретические, информационные, эмпирические основы исследования, определяет методы и цели эмпирического исследования. В заключение объясняется теоретический и методологический вклад данной работы в науку и практику, расскрыта научная новизна как подхода, так и уже полученных теоретических результатов исследования, высказываются предположения об ожидаемых результатах эмпирического исследования, разъяснена возможность практического применения результатов исследования.

***Tamila Arnania-Kepuladze***
*Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*
*CSc., PhD Full Prof.*

**THE FEATURES OF LABOUR MARKET FUNCTIONING UNDER INFLUENCE OF IN-FORMAL INSTITUTIONS (IN THE CONTEXT OF GENDER STEREOTYPES): CONCEPTUAL APPROACH**

**Annotation**

The paper explains the author's viewpoint regarding the scientific-methodological approach toward the certain problem being investigated - the features of labour market functioning, given in the context of in-formal institutions such as gender stereotypes. The paper expounds why the problem becomes ever more relevant today and considers the research objective, subject, target, tasks and supposes the research hypothesis. The author flashs out research methodology including theoretical and methodological foundation of research, informational foundation of research, empirical foundation of research, research methods, research objectives for the quantitative investigation. At the end the contribution to science and practice is explained in the paper and includes theoretical and methodological applications, practical applications, scientific novelty, obtained theoretical results and expected results of empirical study.

*ელენე მენაბდე-ჯობაძე*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი,*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

## საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფციის ზოგიერთი ასპექტი

საქართველოს ეკონომიკის რეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხებს განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება თანამედროვე ეტაპზე. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ რეგულირების საკითხი არ შეიძლება დაიყვანილ იქნეს მარტივ დილემაზე – "სახელმწიფო თუ ბაზარი". სახელმწიფო რეგულირების საკითხი ეჭვს არ იწვევს, თუმცა თანამედროვე სახელმწიფო არ არის ერთადერთი სუბიექტი რომელსაც ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების განხორციელება შეუძლია. ტრადიციულ შეხედულებათა საპირისპიროდ სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქცია, როგორიცაა კონკურენციის მხარდაჭერა და საბაზრო საქმიანობის სტანდარტების შექმნა ("თამაშის წესები"-ს შემუშავება და მათ შესრულებაზე კონტროლი), შეიძლება გადაეცეს და რეალობაში გადაეცემა კიდევაც არასახელმწიფო სტრუქტურებს.

კრიზისის დაძლევა დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკური დონის ზრდისა და შენახვის საკითხებთან, რომელთა გადაწყვეტა შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებას და მის საფუძველზე სათანადო ორგანიზაციულ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას მოითხოვს.

სახელმწიფოს მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა რეალისტური უნდა იყოს. განვითარებული ქვეყნების ეკონომისტთა მეცნიერულ ნაშრომებში გვხვდება შემდეგი დაყოფა: იგი მოიცავს სამ ძირითად შემადგენელს: 1. მეცნიერულ პოლიტიკას; 2. ტექნიკურ პოლიტიკას; 3. სამრეწველო ანუ ინდუსტრიულ პოლიტიკას.

მართალია, ინოვაციური პროცესების გავლენით მცირდება ფასები, იზრდება შრომის ნაყოფიერება, მაღლდება საზოგადოებრივი წარმოების დონე, მაგრამ მონოპოლიები ითვისებენ ეკონომიკური ეფექტის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც შედარებით სრულყოფილი კონკურენციის პირობებში შეიძლება განაწილდეს მომხმარებელზე. ამიტომ საერთო სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი თუ სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია კონკურენციის სრულყოფისა და შესაბამისი ფასების პოლიტიკის ჩამოყალიბებისაკენ სწრაფვა.

ანატიმონოპოლიური და ფასების პოლიტიკის ძირითადი მიზანი ინოვაციურ სფეროში ეფექტიანი კონკურენტული გარემოს შექმნა უნდა იყოს .

სახელმწიფო პროტექციონისტულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ცალკეული, განსაკუთრებით კი პრიორიტეტულისა და სამხედრო – სტრატეგიული მნიშვნელობის დარგების სტიმულირება უპირატესი დაფინანსების, სუბსიდიების, უცხოური კაპიტალის მოზიდვის, საგადასახადო შეღავათების და ტრანსფერტების გამოყენების გზით.

ფასებზე კონტროლი ფასების სახელმწიფო პოლიტიკის ერთ -ერთი ძირითადი მიმართულებაა.

დემოკრატიულ საზოგადოებაზე გადასვლა ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული. უპირველესად პოლიტიკური, ეკონომიკური და სამოქალაქო თავისუფლების დამკვიდრება იგულისხმება. ეს გადასვლა საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის

არსებული პრობლემის დასაძლევად საჭიროა დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების გამოცდილების დაგროვება, განათლების სისტემის რე-

ფორმირება, კომუნიკაციის საშუალებათა ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც აუცილებელია თანამედროვე ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის სტრუქტურათა სამართავად.

მისაღებად მიგვაჩნია სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მოდელი, სადაც სინთეზირებული იქნება საკუთრების ფორმათა (კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი) მრავალგვარობა და თანასწორუფლებიანობა, ეკონომიკური დემოკრატია, საზოგადოების მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა და აქედან გამომდინარე შედეგი – ადამიანის პიროვნული თავისუფლება.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიზანი ბაზრის მაღალეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფაა, რომელიც მოსახლეობის სოციალურ დაცვას, თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას, განათლებისა და პროფესიული ცოდნის ამაღლების სისტემის რეფორმირებას, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას, მძლავრი სატრანსპორტო და ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნას, მტპ-ის მიღწევათა საფუძველზე ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას და ა.შ. გულისხმობს.

სახელმწიფო რეგულირების მიზანი საკმაოდ მრავალ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას უკავშირდება.

სახელმწიფო რეგულირების ობიექტები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა იმისდა მიხედვით, თუ რა არის ძირითად სტრატეგიად, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიმართულებად აღიარებული. თუმცა არის ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნისთვის ძირითადი სახელმწიფო ზრუნვის საგანს წარმოადგენს – ესაა სამხედრო – პოლიტიკური და სოციალურ – ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა - შენარჩუნება, რაც მთელი საზოგადოების სურვილია, მაგრამ მისი რეალური განხორციელება მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საჭიროა სახელმწიფოს როლი კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს მართვის ეკონომიკური პრინციპების, მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა – გამოყენების თვალსაზრისით.

სახელმწიფო რეგულირებისა და მართვის უმნიშვნელოვანესი ობიექტია ინოვაციის სფერო. ორიენტაცია უნდა იყოს აღებული მასალატევადობის შემცირებაზე. წინ უნდა წამოიწიოს გონებრივ – ინტელექტუალური შრომის როლი შრომის საერთო სტრუქტურაში, ბაზირება მოხდეს ცოდნაზე პრინციპით: ნაკლები მასალატებადობა – მეტი მეცნიერებატევადობა.

განვითარებულ და განსაკუთრებით კი განვითარებად სამრეწველო ქვეყნებში სახელმწიფო თავის თავზე იღებს იმ დარგების, ფირმების, კორპორაციებისა თუ სტრუქტურების გულდასმით შერჩევას, რომლებიც პრიორიტეტულად უნდა ჩაერთოს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ამ პროცესზე სახელმწიფოს ზემოქმედება ხორციელდება სახელმწიფო რეგულირების ხერხებისა და მეთოდების ფართო არსენალის გამოყენებით.

ამ თემაზე მსჯელობისას ობიექტურად დგება სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ეროვნული მოდელის შემუშავების მიზანშეწონილობის საკითხი.

მსოფლიო სამეურნეო კავშირურთიერთობების თანამედროვე გლობალურ სისტემაში მაკროეკონომიკური განვითარების რამდენიმე მოდელი ჩამოყალიბდა. განვითარებულ ქვეყნებში შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მოდელები: ანგლოსაქსონური ტიპის ნეოლიბერალური ეკონომიკა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ახალი ზელანდია), სოციალური საბაზრო ეკონომიკა (ევროკავშირის კონტინენტური ქვეყნები, კანადა, ისრაელი) და აღმოსავლეთ აზიური მოდელი (იაპონია და რეგიონის წამყვანი ქვეყნები); ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გარდამავალ ეკონომიკაში შეხამებულია ნეოლიბერა-

ლიზმისა და სოციალური ბაზრის ნიშნები; რაც შეეხება ჩინეთს, მისი ეკონომიკის მოდელს ახასიათებს ბაზრის იდეოლოგიური და პოლიტიკური კონტროლი კომპარტიის მხრიდან.

საკმაოდ ძნელია განვითარების საუკეთესო მოდელის გამორჩევა, რადგან ქვეყნების განუმეორებელი თავისებურებებიდან გამომდინარე, არ არსებობს ყველა მათგანისათვის საერთო "იდეალური მოდელი".

მეცნიერები უაღრესად საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამენ ეკონომიკური ცხოვრების ეროვნულ მოდელთან დაკავშირებით, რაც მჭიდროდ უკავშირდება დროის მოთხოვნას ახალ ეკონომიკურ აზროვნებაზე გადასვლის აუცილებლობის მიმართ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობითა და განვითარების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პერსპექტივა სავარაუდოდ ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: საქართველოს გააჩნია სათანადო საბაზო რესურსები, რათა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მონახოს თავისი ისტორიული ადგილი და როლი, როგორც ძლიერ კულტურულ ტრადიციებზე ორიენტირებულმა ქვეყანამ.




**სქემა №1 საქართველოს განვითარების ადაპტური მოდელი**

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ საქართველოს განვითარების ადაპტური მოდელი. იგი უნდა ითვალისწინებდეს:

1. უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებაზე ორიენტირებულ, შესაბამის მართვის სისტემას;
2. სისტემა უნდა იყოს ადაპტური, ტრანსფორმაციული;
3. ოპტიმალური;
4. შესაბამისად დინამიკური.

სახელმწიფოს წინაშე დგას სამი ამოცანა: ეფექტიანობის, ადაპტურობისა და ოპტიმალურობის. სისტემა წარმოადგენს გარკვეულ მთლიანობას,

რომლის შემადგენელი ელემენტები ღია ეკონომიკურ სისტემაში ფუნქციონირებენ ცალ-ცალკე, მაგრამ ემსახურებიან ერთიანი წარმატების მიღწევას. დგება ცენტრო – პერიფერიული ურთიერთობის პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც უმნიშვნელოვანესია ზოგადად ქვეყნის განვითარებისთვის. (სქემა №1)

## გამოყენებული ლიტერატურა


1. აბრალავა ა. გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ. თბ: თსუ-ს გამომცემლობა, 2001, 292 გვ.
2. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბილისი: ინოვაცია, 2005, 380 გვ.
3. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. თბ.: სიახლე, 2006, 450გვ.
4. ჰეინე პ. აზროვნების ეკონომიკური წესი. თბ. 2004. 497 გვ.



*ელენე მენაბდე – ჯობაძე*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი,*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*


## საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფციის ზოგიერთი ასპექტი

### ანოტაცია


სტატიაში: „**საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია**“ – განხილულია საქართველოსთვის მეტად აქტუალური საკითხი ეკონომიკის განვითარებაში სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი როლის შესახებ, როდესაც მიმდინარეობს საკუთარი იერსახის საბაზრო მოდელის ძიების საკმაოდ რთული პროცესი.

შემოთავაზებულია საქართველოს განვითარების ადაპტური მოდელი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:

1. უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებაზე ორიენტირებულ, შესაბამის მართვის სისტემას;
2. სისტემა უნდა იყოს ადაპტური, ტრანსფორმაციული;
3. ოპტიმალური;
4. შესაბამისად დინამიკური.

სახელმწიფოს წინაშე დგას სამი ამოცანა: ეფექტიანობის, ადაპტურობისა და ოპტიმალურობის. სისტემა წარმოადგენს გარკვეულ მთლიანობას, რომლის შემადგენელი ელემენტები ღია ეკონომიკურ სისტემაში ფუნქციონირებენ ცალ-ცალკე, მაგრამ ემსახურებიან ერთიანი წარმატების მიღწევას. დგება ცენტრო – პერიფერიული ურთიერთობის პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც უმნიშვნელოვანესია ზოგადად ქვეყნის განვითარებისთვის.

***Elene Menabde – Jobadze***
*Academic Doctor of Economics. Professor,*
*Georgian Technical University*

## SOME ASPECTS CONCEPT OF GEORGIAN ECONOMY DEVELOPMENT
**Annotation**

Article by **"Concept of Georgian Economy Development"** considers the issue of great importance for Georgia – the critical role of the state in development of economy in the complex process of seeking of the market model corresponding to the country's image.

Adaptive model of development of Georgia is offered. It should take into consideration:

1.Governance system oriented towards the state of he art techniques and technologies;

2.The system should be adaptive and transformational;

3.Optimal;

4.Adequately dynamic.

The government faces three objectives: ensuring effectiveness, adaptation ability and optimality.

The system comprises certain set, elements of which function in the open economic system, separately, though serving to achievement of common success.

There arises the problem of relations between the center and peripheries, solution of which is of key significance, for development of the country, in general.

***Елене Менабде-Джобадзе***
*академический доктор экономики, профессор,*
*Грузинский технический университет*

## НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ КОНЦЕПЦИИ ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ ГРУЗИИ
**Аннотация**

В статье **"Концепция экономического развития Грузии"** рассматривается актуальная проблема Грузии – важнейшая роль государства в развитии экономики, в сложном процессе поиска соответственной модели рынка имиджу страны.

Предлагается адаптивная модель развития Грузии. Это должно учесть:

1. Систему управления ориентированную на использовании новейшей техники и технологии;

2. Система должна быть адаптивной и трансформационной;

3. Оптимальной;

4. Соответственно динамичной.

Правительство сталкивается с тремя целями: гарантируя эффективность, оптимальность и способность к адаптации.

Система включает определенный набор, элементы которого функционируют в открытой экономической системе, отдельно, хотя служа достижению общего успеха.

Возникает проблема отношений между центром и периферией, решение которых имеет ключевое значение для развития страны.

*მაია კაპანაძე*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური დოქტორი,*
*მერაბ კვანტალიანი*
*კოლეჯი "მერმისი", აკადემიური დოქტორი*

## ეკონომიკის საზოგადოებრივი სექტორის და კერძო ბიზნესის პარტნიორობა

მეურნეობრიობის ახალ პირობებში ბაზრის ერთ-ერთ სუბიექტად სახელმწიფო გვევლინება, საზოგადოების სექტორში კი სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთად კერძო და შერეული საწარმოებიც იწყებენ ფუნქციონირებას. ამის გამო აუცილებელია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შენარჩუნება და ამის პარალელურად - ბალანსის უზრუნველყოფა საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა მოცულობასა და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობებს შორის.

საზოგადოებრივი სექტორის მასშტაბებსა და ეკონომიკაზე მისი ზემოქმედების ძალას სხვადასხვა ხერხით აფასებენ. ამის ყველაზე უფრო გავრცელებული მაჩვენებლებია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების მოცულობა; სახელმწიფო მოსამსახურეების რიცხოვნობა და მათი განაწილება მართვის დონეებისა და სტრუქტურების მიხედვით; სახელმწიფო საკუთრების ოდენობა; სახელმწიფო საწარმოების ხვედრითი წილი ეკონომიკის ძირითად მაჩვენებლებში; არაკომერციული ორგანიზაციების რაოდენობა და სხვა.

ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების მასშტაბები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, ჩინეთში კონსოლიდირებული ბიუჯეტის შემოსავლები მშპ-ის 8%-ს არ აჭარბებს, შვედეთში, საფრანგეთსა და იტალიაში კი ეს მაჩვენებელი 40%-ის ფარგლებშია. ასევე განსხვავებულია ეკონომიკის სხვადასხვა დარგში სახელმწიფო საკუთრების მასშტაბები. იგი საკმაოდ მაღალია დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და გფრ-ში, აშშ-ისა და იაპონიის სამრეწველო წარმოების თითქმის ყველა დარგში კი 25%-ს არ აღემატება [1].

საზოგადოებაში ყოველთვის დგას ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორების ოპტიმალური თანაფარდობის პრობლემა. აქ მთავარ ყურადღებას იმსახურებს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის (სკპ) თემა, რომელსაც როგორც ეკონომიკის რეგულირების მექანიზმს და ეკონომიკური აღმავლობის საშუალებას 1980-იანი წლების შემდეგ აქტიურად იყენებენ სულ უფრო მეტ ქვეყანაში. დასავლეთში სახელმწიფო და ბიზნესი უკვე იქცნენ საკმაოდ მომწიფებულ პარტნიორებად, თუმცა, სახელმწიფო აქ პირველი და წამყვანი პარტნიორის როლს თამაშობს.

სკპ-ის მექანიზმი ყველაზე ფართოდაა გავრცელებული ანგლო-საქსური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში, რომლებშიც ამგვარი თანამშრომლობა მცირე და საშუალო ზომის პროექტშიცაა დაშვებული. საფრანგეთში ეს, პირიქით, მსხვილ პროექტებშია მიღებული, მედიცინის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებს კი ნაკლებად ეხება [2].

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი სერიოზულად აისახა საწარმოო ინფრასტრუქტურაზე. მართლაც, როგორც ცნობილია, ინფრასტრუქტურული დარგები ნაკლებად ერგებიან ბაზარს და კრიზისის პირობებში განსაკუთრებით გაუარესებული მაჩვენებლებით გამოირჩევიან. მაგრამ ეს შედეგი მთელ მსოფლიოში ერთგვაროვანი არაა. კერძოდ, საკმაოდ ბევრი ქვეყანა, მაგალითად, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, სამხრეთ

კორეა, ბრაზილია, ინდოეთი და სხვები ზრდიან საწარმოო ინფრასტრუქ-ტურაში განხორციელებულ ინვესტიციებს და საგანგებო ზომებს მიმართავენ კრიზისულ პირობებში მის გასავითარებლად.

საზოგადოდ, ის პროექტები, რომლებიც სკპ-ის სქემებით ხორციელდება, ძალიან მგრძნობიარეა კრიზისების მიმართ. ეს ახალ ტენდენციებს აჩენს, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესია სახელმწიფოს გააქტიურება კრიზისის დაძლევის საქმეში. იგი ორი მაგისტრალური მიმართულებით მიმდინარეობს:

- საბიუჯეტო - საკრედიტო პოლიტიკის ღონისძიებები და
- ინფრასტრუქტურის დაფინანსების ახალი ინსტიტუტების შექმნა.

ამის მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

კრიზისიდან გამოსვლის მიზნით აშშ-ის მთავრობის მიერ გამოყოფილი 787 მლრდ დოლარიდან ენერგეტიკას ხმარდება 43, ინფრასტრუქტურასა და მეცნიერებას - 111, მ.შ. 27 მლრდ - საავტომობილო გზების მშენებლობას და ა.შ. გარდა ამისა, ინფრასტრუქტურის რეფინანსირების ეროვნულ ბანკში (NIRB) თავს იყრის კერძო ინვესტიციები სკპ-ის პროექტებისთვის.

დიდი ბრიტანეთის ხაზინამ უკვე 2009 წ. დასაწყისში ასეთი პროექტების დაფინანსების მიზნით დააფუძნა განსაკუთრებული ფონდი (TIFU), საფრან-გეთის მთავრობამ კი სკპ-ის იმ პროექტების სტიმულირებისთვის, რომლებიც სამთავრობო გეგმაშია ჩართული (ე.წ.Plan de relance), საგანგებო ზომები შემოიღო, რომლებიც პირველ რიგში ითვალისწინებენ:

- სერიოზულ საგადასახადო შეღავათებს;
- ბანკებისთვის სპეციალური კრედიტების გამოყოფას და
- კერძო პარტნიორებზე სესხების გაცემას.

სულ ამ მიზნით 10,5 მლრდ ევრო იქნა გამოყოფილი.

კორეის რესპუბლიკაში ანალოგიური ზომები მოიცავს ინვესტიციების 15%-ზე მეტის განხორციელებას სკპ-ის პროექტებში, საპროცენტო რისკის განაწილებას პარტნიორებს შორის და ა.შ.

ბრაზილიის განვითარების ეროვნულმა ბანკმა (BNDES) მთავრობის გარანტიებით 42,6 მლრდ დოლარი გამოიყო ინფრასტრუქტურასა და მომპო-ვებელ დარგებში დამატებით დასაბანდებლად, ინდოეთის ხელისუფლებამ კი ინფრასტრუქტურის დაფინანსების სახელმწიფო კომპანიას (IIFCL ) დაავალა სკპ-ის გააქტიურება ისეთი მექანიზმების მეშვეობით, როგორიცაა, სახელმწიფო დაფინანსების გადიდება 15%-ით; გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვაში ხელშეწყობა და სხვა [3].

საინტერესოა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სახელმწიფო და კერძო სექტო-რების თანაფარდობის შედარებითი ანალიზი. საგულისხმოა, რომ მათგან მხოლოდ ბელარუსში, უზბეკეთსა და თურქმენეთშია სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წილი 50%-ზე მეტი. ბოლო 20 წლის მანძილზე სწორედ ამ სამ ქვეყანაში იყო წარმოების ზრდა 50% და მეტი. სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბ-ლიკებში ეს მაჩვენებელი 1989-2009 წლებში ძლივს ინარჩუნებდა დადებით მნიშვნელობას, უკრაინაში კი სულაც - 40% შეადგინა [4].

ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს კემბრიჯელ ეკონომისტს ჰა-ჯუნ ჩანს. მისი თქმით, თეორიულად დამაჯერებლად ვერ მტკიცდება, რომ კერძო საკუთრება ყველა შემთხვევაში ჯობს სახელმწიფოსას. პირიქით, მრავალმა ქვეყანამ სწორედ ძლიერი სახელმწიფო სექტორის წაყ-ლობით მიაღწია წარმატებას (სინგაპური, ტაივანის პროვინცია, ნაწილობრივ, ავსტრია, ნორვეგია და საფრანგეთი), თუმცა, ამის საპირისპირო მაგალითი არგენტინაა, რომელიც ფილიპინებთან ერთად იმის ნიმუშად მოჰყავთ ხოლმე,

რომ ეკონომიკური მარცხი მეტისმეტად დიდი სახელმწიფო სექტორის შედეგია [5].

სამწუხაროა, რომ ბოლო ხანს განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების ფონზე დიდი იყო ეკონომიკისგან სახელმწიფოს გამიჯვნის ცდუნება. გატარებული პოლიტიკის ქვაკუთხედად კერძო ინტერესებს აყენებდნენ ხოლმე. რეფორმატორული აზროვნება ძირითადად ბაზრის გარშემო იყო კონცენტრირებული. თუმცა, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ბაზარი მისი კლასიკური გაგებით დიდი ხანია უკვე აღარ არსებობს [6].

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ნათლად აჩვენა ბიზნესის მოტივებისა და ბაზრის საბაზო ღირებულებების მასშტაბური დამახინჯებები სანედლეულო-ენერგეტიკული, სავაჭრო, სამშენებლო, ალკოჰოლური, ფარმაცევტული და სხვა მონოპოლიების გაბატონების სახით. „ბაზრის უჩინარი ხელის" ბრმად რწმენამ და სახელმწიფოს უმოქმედობამ უდაოდ უბიძგეს გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური კრიზისების განვითარებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით ეკონომიკის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში საბაზრო ეკონომიკის რეგულირების პრობლემების განხილვის დროს სათანადო ადგილი უნდა ეთმობოდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთქმედებისადმი ტრადიციულად არსებული მიდგომის შეცვლა;
- სახელმწიფოსა და ბაზრისათვის განსაკუთრებული და მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ფუნქციების დამკვიდრება და მათი განხილვა განუყოფელ ერთიანობად;
- იმის ჩვენება, რომ შერეულ ეკონომიკაში რეგულირების ერთიანი სისტემა თვითრეგულირების საბაზრო მექანიზმისა და სახელმწიფო რეგულირების შეხამებად გვევლინება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. baza_referat.ru/общественный_сектор_экономики.
2. Использование механизма ГЧП. allbest.ru/economy/3c0665635a c26_I. Html.
3. Гринспен А. Эпоха потрясений. М.: Альпина Бизнес Букс. 2009. allbest. ru/economy/3c0a65625b2c36_0.html.
4. В. Попов Приватизация в теории и на практике. Opec. ru/B45942.html.
5. Chang, Ha-Joon. State-owned Enterprise Reform UN DESA, 2007.
6. Ушакова. Проблемы регулирования рыночной экономики. Вестник Томского Гос. Университета №1 (9) 2010, с. 91-97.



***მაია კაპანაძე***
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური დოქტორი,*
***მერაბ კვანტალიანი***
*კოლეჯი "მერმისი", აკადემიური დოქტორი*


## ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲐ

### ანოტაცია


მეურნეობრიობის ახალ პირობებში ბაზრის ერთ-ერთ სუბიექტად სახელმწიფო გვევლინება, საზოგადოების სექტორში კი სახელმწიფო ორგანი-

ზაციებთან ერთად კერძო და შერეული საწარმოებიც იწყებენ ფუნქციონირებას. ამის გამო აუცილებელია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შენარჩუნება და ამის პარალელურად - ბალანსის უზრუნველყოფა საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა მოცულობასა და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობებს შორის.

საზოგადოებაში ყოველთვის დგას ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორების ოპტიმალური თანაფარდობის პრობლემა. აქ მთავარ ყურადღებას იმსახურებს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის თემა, რომელსაც როგორც ეკონომიკის რეგულირების მექანიზმს აქტიურად იყენებენ სულ უფრო მეტ ქვეყანაში. დასავლეთში სახელმწიფო და ბიზნესი უკვე იქცნენ საკმაოდ მომწიფებულ პარტნიორებად, თუმცა, სახელმწიფო აქ პირველი და წამყვანი პარტნიორის როლს თამაშობს.

„ბაზრის უჩინარი ხელის“ ბრმად რწმენამ და სახელმწიფოს უმოქმედობამ უდაოდ უბიძგეს გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური კრიზისების განვითარებას. ყოველივე ეს კრიტიკულად უნდა იყოს განხილული ეკონომიკის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებშიც.

***Маиа Капанадзе***

*Тбилиский Государственный Университет*

*им. Ив. Джавахишвили, академический доктор,*

***Мераб Кванталиани***

*колледж «Мермиси» академический доктор*

## ПАРТНЕРСТВО ОБЩЕСТВЕННОГО СЕКТОРА ЭКОНОМИКИ И ЧАСТНОГО БИЗНЕСА

### Аннотация

В новых условиях хозяйствования государство выступает как один из субъектов рынка, а в общественном секторе наряду с государственными начинают функционировать и частные организации. Следовательно, необходимо сохранение регулирующей роли государства и вместе с этим обеспечение баланса между объемом общественных потребностей и возможностями их обеспечения.

В обществе постоянно стоит проблема оптимального соотношения между общественным и частным секторами. Здесь главной является тема сотрудничества государства с частным бизнесом. Они на Западе давно стали достаточно зрелыми партнерами, среди которых государство играет роль первого и ведущего партнера.

Слепая вера в „невидимую руку“ рынка и бездействие государства несомненно толкнули развитию глобального финансово-экономического и экологического кризисов. Это должно критически рассмотрено и в университетских учебниках по экономике.

***Maia Kapanadze***
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Academic doctor*
***Merab Kvantaliani***
*College "Mermisi", Academic doctor*

**PARTNERSHIP OF SOCIETY SECTOR OF ECONOMY AND PRIVATE BUSINESS**
**Annotation**

In the new economic conditions, the state acts as one of the subjects of the market and the public sector, along with the state begin to function and private organizations. Consequently, the preservation is necessary regulatory role of the state and at the same time ensuring a balance between the volume of social needs and capabilities of their software. In a society constantly is the problem the optimal balance between the public and private sectors. Here is the main theme of cooperation between the state and private business. They are in the West have become mature enough partners, including the government plays the role of the first and leading partner. Blind faith in the "invisible hand" of the market and government inaction certainly pushed the development of the global financial and environmental crises. This should be critically examined and university textbooks on economics.

***Lia Charekishvili***
*International Black Sea University*
*Associated Professor*

## Gender Statistics in Georgia: Needs and Development

**Abstract**
Gender statistics represent the statistics about the status of women and men in all spheres of public and economic activity.

Gender statistics is aimed to ensure objective data through comparison and evaluation with regard to the status of women and men and of the gender equality. Improvement in collection and coverage of statistical data on the ground of gender is very important for people working on the gender issues, as well as for the representatives of legislative bodies, government bodies and civil organizations.

CEDAW – The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women – is a landmark international agreement that affirms principles of fundamental human rights and equality for women around the world. Countries that have ratified or acceded to the Convention are legally bound to put its provisions into practice. They are also committed to submit national reports (at least once every four years) on measures they have taken to comply with their treaty obligations.

Close and continuous cooperation between users and producers is crucial to successfully produce and improve gender statistics in Georgia.

There are about 8 steps formed for developing gender statistics.

**Keywords**: gender equality, CEDAW, gender statistics, producers and users.

### Introduction

Gender equality and statistics - women and men should be visible in statistics, for this, it is necessary that all statistics must be disaggregated by sex. Gender statistics is a part of the official statistics. The goal is that all statistics concerning individuals shall not only be collected, analysed and presented by sex, but also reflect gender issues and problems in society. Sex should be the basis for a comprehensive and thorough breakdown of all statistics. In addition, statistics should be presented in such a way that they are easily accessible to users.

### Gender Equality

In society, women and men have different roles, resources, needs and interests. They do not have equal participation in decision-making. The values assigned to "women work" and to "men work" are not the same. These differences vary from one society to another, from one culture to another and from one country to another. Many policies and strategies do not consider these differences, what results in the fact that private and public infrastructures, as well as fields like employment, instruction, business and politics are not always created considering specific needs of women and men.

Gender refers to the gap between women and men, which is being determined, learned and

changed in social and cultural spheres over time. These differences, representing above-mentioned gap, are answers to the sex-based social and cultural influences.

Gender equality means equal opportunities, rights and responsibilities for women and men; it is a policy, which ensures both sexes with equal access to the economic resources, economic independence, equal sharing of responsibilities for the family, participation in decision-making, public life and social activities.

Gender equality has both quantitative and qualitative aspects. Quantitative aspect implies to the process of generating and handling gender disaggregated data in all public spheres, such as demography, education, health care, employment, social protection, crime etc.

Qualitative aspect enables analysis of the rights of women and men. It helps to determine how equally applications and resources existing in the country are accessible to women and men.

I would like to outline that it is necessary for the civil society to put an effort to increase women's political participation in decision-making and economic empowerment. It is a big problem in Georgia (See statistical data, chapter 5).

## Needs of Gender Statistics

Gender statistics is a field of statistics that goes horizontally through traditional fields of statistics, aiming to identify, produce and disseminate statistics reflecting the reality of life of women and men. Gender statistics allows systematic studying of gender gap and gender issues. Gender issues refer to the ways women and men interact, the gap existing in the access and use of resources, activities they carry out and the way they react to changes, interventions and politics.

Gender statistics represent statistics about the status of women and men in all spheres of public and economic activity. It is one of the key instruments giving the possibility to take into account the characteristic traits of woman and man - as a specific social-demographic group - in the process of developing optimal policies and principles of equal rights and opportunities.

Gender statistics is aimed at ensuring objective data through comparison and evaluation with regard to the status of sex and of the gender equality. Improvement in collection and coverage of statistical data on the ground of gender is very important for people working on the gender issues, as well as for the representatives of legislative bodies, government bodies and civil organizations.

It is important to note that all statistics and indicators are listed, irrespective of whether they are produced and available or not. The difference between listed and available statistics represents the identification of data gaps, which is crucial step for the improvement of gender statistics.

National Statistics Office of Georgia (GeoStat) is the legal entity of public law and carries out its activities independently in collaboration with international and local organizations. It is an institution established by the government to produce official statistics and disseminate the statistical information according to the Georgian legislation (Statistics, 2009).

GeoStat is responsible to work out unified policies and methodologies in the field of statistics, to implement statistical activity program through surveys, analysis and dissemination of research findings, to conduct national census, etc.

National Statistics Office of Georgia publishes the publication “Women and Men in Georgia”. There have been six statistical publications on gender problems since 1999. In terms of the

format and contents, every booklet, compared to the previous ones, is closer to the world statistical standards, but it is still a long way to go.

**Legislation**

CEDAW – The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women – is a landmark international agreement that affirms principles of fundamental human rights and equality for women around the world. The CEDAW agreement was adopted in 1979 by the United Nations General Assembly and entered into force in 1981. Almost all countries have ratified CEDAW - 187 out of 193 countries.

Countries that ratify CEDAW agree to take all appropriate measures to implement the treaty's provisions. Ratifying countries submit a report on how they are implementing the treaty one year after ratification and every four years thereafter. The CEDAW Committee reviews each report and comments on each country's progress.

The CEDAW Committee is comprised of 23 independent experts who are nominated and elected by ratifying countries to serve on a four-year term.

CEDAW committee, in its most recent (2006) Concluding Comments to Georgia underlined its concern in relation to "limited availability of statistical data disaggregated by sex as well as by ethnicity, age, and by urban and rural areas" (CEDAW, 2006) and urged the government of Georgia to: "enhance its collection of data in all areas covered by the Convention, disaggregated by sex as well as by ethnicity, age and by urban and rural areas as applicable, so as to assess the actual situation of women and their enjoyment of their human rights, and to track trends over time. It also calls upon the State party to monitor, through measurable indicators, the impact of laws, policies and action plans and to evaluate progress achieved towards realization of women's de facto equality. It encourages the State party to use those data and indicators in the formulation of laws, policies and programmes for the effective implementation of the Convention." (CEDAW, 2006)
The Committee has also requested the State party to include in its next report which was due in the end of 2011 such statistical data and analysis. In addition, in March 2010, Georgia adopted the Law on Gender Equality, containing a special article 5 that mandates inclusion of sex-disaggregated data in all the official statistical reports. (Government of Georgia, 2010)

The necessity to generate, disseminate and use gender statistics is stipulated in the commitments the country has taken both at the international and national levels. CEDAW in its Concluding Comments to Georgia, points at the lack of quality research and data with regard to women's position and conditions in Georgia and the lack of comprehensive policy-making based on thorough analysis of the situation. The Committee requests the State party to provide, in its next report, a comprehensive picture of *de facto* situation of rural women and ethnic minority women in all areas covered by the Convention (CEDAW, 2006). The need for sex-disaggregated data generation and use has been recognized by the state through its national-level commitments, namely by the Gender Equality Law of Georgia, article 5, adopted in March 2010.
Main documents set were elaborated at the Beijing Platform in 1995, improving gender statistics is one of the others.

Certain institutional and legal steps have been taken in Georgia towards achievement of greater gender equality. These include:

- Establishment of Advisory Council on Gender Equality Issues at the Speaker of the Parliament in December 2004;

- Adoption of State Concept of Gender Equality in 2006;
- Adoption of anti-trafficking Law of Georgia in 2006;
- Adoption the Law of Georgia on the Elimination of Domestic Violence, Protection of Victims of Domestic Violence and their Assistance in 2006;
- Establishment of Governmental Commission for Gender Equality Issues in September 2007;
- The 2007-2009 Plan of Action for Implementation of Gender Equality Policy in Georgia (NAP) was adopted by the Government in fall 2007;
- Elaboration of Gender Equality Law, adopted by the Parliament in March 2010;
- Elaboration of National Action Plan for 2011-2013.
- Elaboration of 2012-2015 National Action Plan for implementation of the UN Security Council Resolutions NN 1325, 1820, 1888, 1889 and 1960 on “Women, Peace and security”.

In the Concept on Gender Equality adopted by the Parliament of Georgia in 2006 and the Law “On Gender Equality” (adopted by the Parliament of Georgia in 2010) special emphasis is given to ensuring equal rights to women and men and improving women's participation in the political, economic and social processes.

The National Action Plan identifies goals and measures necessary to achieve those goals, derived from the existing gender equality situation in the country, namely in Georgia. The plan covers areas present in the country.

It is noteworthy that Domestic Violence Action Plan 2009-2010 foresees specific measures on domestic violence data collection – “1.3.3 Maintenance of statistics on domestic violence cases and relevant analysis” (Government of Georgia, 2010) and the given initiative will greatly contribute to successful implementation of this activity as it will allow clarification and enhancement of the National Statistics Office role as of a convener of domestic violence-related data from the governmental service providers.

In December 2011 National Action Plan for implementation of the UN Security Council Resolutions NN 1325, 1820, 1888, 1889 and 1960 on “Women, Peace and security” for 2012-2015 was adopted. It is composed by 5 priority areas and goals: Participation, Prevention, Protection, Relief and Recovery. Activities, indicators and funds are defined in the plan. Implementation of all NAP is necessary as a rule.

**Producers and Users**

Gender statistics is a relatively new field in Georgia. The main requirement for the production and dissemination of statistics that reflect the realities of women and men is that users and producers work together to identify the issues to be addressed and the necessary statistical outputs. The national statistical system produces gender statistics on the basis of problems and goals identified in national policies and plans.

A close and continuous cooperation between users and producers is crucial to successfully produce and improve gender statistics in the country. Users of statistics have different needs, therefore producers of gender statistics have to produce specific statistical products. Without co-operation gender statistics will not be improving.

This is a process of dialogue between producers and users which will enable Producers to address users’ specific needs. However, users are often inadequately informed on the availability of statistics and do not know how to accurately formulate their requests.

Geostat is actively working with users of gender-related statistical information. As a result of

cooperation between users and producers Geostat has published a "Guide for Gender Statistics Users" in Georgian language in 2011. This publication is stipulated as a practical guide designed for the users of sex-disaggregated statistics in order to give them better understanding of the concepts used, of the help they can provide in evaluating gender inequalities.

**Few figures on Gender Statistics** (National Statistics Office of Georgia, n.d.)

**Population**. In 2011 in comparison to 2005 the number of births increased by 24.7 percent. For the same period, number of the third and subsequent births has increased as well. In 2011, in comparison to 2005, the total number of third and subsequent births increased by 60.0 percent. For this period, the number of registered marriages increased by 71.3 percent and equaled 30 862. In 2011, increase of births and slight decrease of deaths has resulted in a high natural increase (to 1.8 per mille). However, external migration still remains a major determining factor of the population.
For example, in Azerbaijan, higher rate of newborn boys compared to girls has been reflected as well. From the beginning of 90-s till 2002 birth rate was observed to decrease. But during last years this indicator is increased annually.
**Health Care**. In 2009, in comparison to 2005, the number of men doctors increased by 14.5 percent, while the number of women doctors decreased by 3.9 percent. The proportion of women and men among doctors remained almost the same over the recent years.
In 2011, in comparison to 2005, the number of abortions increased by 55.3 percent. The number of abortions, as well as the number of mini-abortions, has been increasing for the recent years. 94.1 percent of abortions are made by women at the age of 20-44.
5,7 thousand of premature infants were born in the country and such situation is connected with abortion. In 2011, 27790 abortions (including illegal abortions) were registered,1206 or 4,3% of which were made by women that were pregnant for first time. There were 10,3 abortions per 1 000 women at fertile age during 2010.

Cases of syphilis are mostly widespread among the population of age 20-39. In 2009, among all the syphilis patients, 64.3 percent of women and 60.0 percent of men were of this age group.
Cases of gonorrhea are mostly widespread among the population of age 20-39. In 2009, among all the gonorrhea patients, 75.0 percent of women and 63.8 percent of men were of this age.
Tuberculosis disease is more prevalent among men than women. From total number of population infected with tuberculosis, 27.1 percent were women and 72.9 percent were men in 2009. The major share of persons infected with tuberculosis includes the population of 25-44 age group. . In Azerbaijan the number of registered newly emerged cases with active tuberculosis in 2011 was 4 836persons or 53 per 100,000 population.

In 2009, 60.5 percent of patients with mental illnesses were men.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მსხვილ ინვესტორს 2012 წლის მონაცემებით წარმოადგენს გერმანია – 16%, რაც შეადგენს 141691,2 ათას აშშ დოლარს, შემდეგ მოდის ნიდერლანდები – 10% (87549,1 ათასი აშშ დოლარი), თურქეთი -8% (87064,2 ათასი აშშ დოლარი) და ა.შ.

ცხრილი 1.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2008-2010 წწ. მლნ.აშშ დოლარი**

| | 2008 | | 2009 | | 2010 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მლნ აშშ დოლარი | პროცენ-ტული წილი | მლნ აშშ დოლარი | პროცენ-ტული წილი | მლნ აშშ დოლარი | პროცენ-ტული წილი |
| სულ მათ შორის: | 1564,0 | 100 | 658,4 | 100 | 814,5 | 100 |
| სამთომოპოვე-ბითი და დამამუშავებელი მრეწველობა | 207,3 | 13,3 | 139,8 | 21,2 | 228,8 | 28,1 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმუ-ლობა | 422,7 | 27,0 | 98,4 | 14,9 | 215,1 | 26,4 |
| უძრავი ქონება | 277,8 | 17,8 | 147,4 | 22,4 | 119,3 | 14,6 |
| საფინანსო სექტორი | 8,5 | 0,5 | 49,7 | 7,5 | 107,4 | 13,2 |
| დანარჩენი სექტორები | 547,7 | 41,4 | 223,1 | 33,9 | 143,9 | 17,7 |

2011 და 2012 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 65 ქვეყნიდან განხორციელდა. აქედან ევროკავშირის ქვეყნებიდან-26, დსთ-დან -10. 2010 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 61, ხოლო 2009 წელს 60 ქვეყანას შეადგენდა.

გარდამავალ პერიოდში ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სავალუტო ნაკადებში შეიძლება მხოლოდ ინვესტიციური აქტივობის სტიმულირებით. მარტო 2007-2008 წლებში საქართველოს ხელისუფლება უცხოელ პარტნიორებთან ერთად გეგმავს შემდეგი მსხვილი პროექტების რეალიზაციას. ესენია: კუვეიტის პროექტით ავტობანის მშენებლობა – 60 მილიონი დოლარი; ყაზგაზის ჯგუფის მიერ რეაქტორის მოდერნიზება, ლიკანის რეკონსტრუქცია – 70 მილიონი დოლარი; მილენიუმის პროექტით გაზსადენის რეკონსტრუქცია – 150 მილიონი დოლარი; ურეკში პატარა იურმალას მშენებლობა – 100 მილიონი დოლარი; ყაზახი ინვესტორების 200 მილიონიანი ინვესტიცია აჭარის სასტუმრო ინფრასტრუქტურაში. ჭიათურ-ზესტაფონის მანგანუმის რეკონსტრუქციია დ 100 მილიონი დოლარი. საბანკო ინვესტიციები: ბანკ "რესპუბლიკას " ჰიპოთეკური კრედიტი – 30 მილიონი, "ზეტა ბანკის" – 50 მილიონი; "ტი-ბი-სი" ბანკის ახალი ხაზი – 30 მილიონი, "ტაო" ბანკში აგრიკოლეს კრედიტი – 20 მილიონი და სხვა.




**დიაგრამა 3.**

ამდენად, საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური აქტივობისადმი ეს მიდგომა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ინვესტიციების მოზიდვით მნიშვნელოვნად შევავსოთ სავალუტო რეზერვები; იაფი იმპორტის შენარჩუნებით, ადგილობრივი წარმოებისათვის გარდამავალ 4-5 წელიწადში განვახორციელოთ მსხვილი ინვესტიციები, რათა შემდგომ პერიოდში წარმოება იქცეს მძლავრ საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგად.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკაში სულ უფრო გააქტიურდა უცხოური ინვესტიციების როლი. ეს იწვევს მოსახლეობის მხრიდან ორმხრივ მიდგომას. მოსახლეობის ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს პროცესი დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ფუძემდებლური პრინციპების ნგრევასთან. მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ინვესტიციების შემოდინება არის მოტივირებული ქართული ბაზრის შესაძლებლობებით. ჭეშმარიტება მდგომარეობს იმაში, რომ ეს ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას [6]. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, თუ როგორი ზრდის ტემპით ხასიათდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე ბოლო 10 წლის მანძილზე, არა მარტო საქართველოში, არამედ მის მეზობელ ქვეყნებში.

მოცემული დიაგრამის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ 2006-2007 წლებში უპირობო ლიდერი იყო საქართველო, ხოლო 2008-2009 წლებში მას უსწრებს ალბანეთი.




*დიაგრამა 4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე (ნეტო, აშშ დოლარი)*

იმისათვის, რომ საქართველომ დაძლიოს ეს მეტოქეობა, საჭიროა განსაკუთრებით გაზარდოს ეკონომიკური აქტივობა, აგრეთვე უფრო ღია და პროგნოზირებადი გახადოს გატარებული საინვესტიციო პოლიტიკა [3].

უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, თუ როგორ შეიცვალა იმ დარგებსა და რეგიონებში წარმოების მოცულობა (იხილეთ ცხრილი 2 და 3).

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, პროდუქციის გამოშვება მრეწველობაში 2009-2011 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგალითად სამთომოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობაში ჩადებული ინვესტიციების 21,2%-დან პროდუქციის გამოშვება ამ წლებში სამთომომპოვებელ მრეწველობაში 195,5 მლნ. ლარიდან 329,1 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო დამამუშავებელ მრეწველობაში 2822,2 მლნ ლარიდან 5074,3 მლნ ლარამდე გაიზარდა. ასევე შეიძლება ითქვას მშენებლობაზე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე, უძრავ ქონებასა და ენერგეტიკაზეც.

რეგიონების მიხედვით პროდუქციის გამოშვების ზრდა დაბანდებული უცხოური ინვესტიციების შედეგად შეინიშნება მხოლოდ ხუთ რეგიონში (იხ. ცხრილი 3).

დარიცხულ მოგებაში 2011 წელს 2010 წელთან შედარებით ზრდა შეინიშნება დამამუშავებელ მრეწველობაში- 180,4 მლნ ლარით, მშენებლობაში – 92 მლნ ლარით, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში – 110,5, კონსულტაციურ მომსახურებაში -158,4 მლნ ლარით. აღნიშნული ცხრილების ანალიზის შედეგად, საბოლოო ჯამში, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოზიდული უცხროური ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა დადებითი მაჩვენებლებით გამოირჩევა.

**ცხრილი 2. პროდუქციის გამოშვება მლნ ლარი**

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით სულ | 9645,4 | 10248,4 | 11003,1 | 13303,7 | 19239,9 |
| სამთომომპოვებელი | 277,3 | 262,0 | 195,5 | 254,9 | 329,1 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 2532,9 | 2804,5 | 2822,2 | 3723,8 | 5074,3 |
| ენერგეტიკა | 773,1 | 755,4 | 779,5 | 871,0 | 1024,9 |
| მშენებლობა | 1718,2 | 1434,7 | 1752,6 | 1728,5 | 3371,5 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 1936,2 | 2043,6 | 2016,5 | 2388,0 | 2770,2 |
| უძრავი ქონება | 410,0 | 486,1 | 641,2 | 738,4 | 1322,2 |

**ცხრილი 3. პროდუქციის გამოშვება რეგიონების მიხედვით (მლნ ლარი)**

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
|---|---|---|---|---|---|
| იმერეთი | 512,7 | 701,0 | 479,5 | 762,0 | 1089,8 |
| კახეთი | 154,0 | 152,1 | 181,7 | 226,3 | 319,8 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 516 | 379,0 | 473,7 | 580,5 | 836,2 |
| ქვემო ქართლი | 977,0 | 991,9 | 1119,4 | 1424,5 | 1844,4 |
| შიდა ქართლი | 391,8 | 402,8 | 273,8 | 333,3 | 619,9 |

უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება ასევე მნიშვნელოვანია მიღებული მოგების სიდიდით (იხ.ცხრილი 4).

**ცხრილი 4. ინვესტიციებიდან მიღებული მოგება (მლნ ლარი)**

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
|---|---|---|---|---|---|
| სამთომომპოვებელი | 106,6 | 88,4 | -14,2 | 51,6 | 33,7 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 240,4 | 300,6 | 232,8 | 376,5 | 558,0 |
| ელექტროენერგია | 232,2 | 121,4 | -3,1 | 163,2 | 176,9 |
| მშენებლობა | 187,7 | 64,6 | 161,4 | 295,7 | 354,6 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 625,0 | 568,7 | 263,7 | 286,5 | 659,5 |
| უძრავი ქონება | 101,7 | 117,6 | 105,4 | 21,4 | 227,0 |
| კონსულტაცია | 2,3 | 0,1 | -49,4 | -31,5 | 130,0 |

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ჟურნალი ეკონომიკა ზ5-6 2011 გვ.17
2. ჟურნალი – საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2002
3. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-en-50---20-help---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL4.8&d=HASH01c10feb355e3223e908ff36
4. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2009, 2010, 2011 და 2012 წლების ოფიციალური მონაცემები.
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო



***ნარგიზა ქარქაშაძე***

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*ასოცირებული პროფესორი,*

***ლელა კამლაძე***

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*მოწვეული სპეციალისტი*


**უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოში**
**ანოტაცია**


სტატიაში "უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოში" მოცემულია უცხოური ინვესტიციების როლსა და მნიშვნელობაზე საქართველოს ეკონომიკაში. აღწერილია უცხოური ინვესტიციების დინამიკა როგორც წლების მიხედვით, ასევე მსხვილი ინვესტორი ქვეყნების პროცენტული წილი მთლიან ინვესტიციებში. ნაჩვენებია უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილი ეკონომიკური დარგების მიხედვით, უცხოური ინვესტიციების დინამიკა ერთ სულ მოსახლეზე.

სტატიაში შეფასებულია ეკონომიკური ეფექტიანობა, რომელიც ეფუძნება დაბანდებული ინვესტიციებიდან მიღებულ შედეგს, რაც გამოიხატება პროდუქციის გამოშვების გაზრდაში შესაბამის დარგში.

და ბოლოს გაკეთებულია დასკვნა, რომ უცხოური ინვესტიციები რეალურად უწყობენ ხელს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

***Наргиза Каркашадзе***
*Государственный университет Акакия Церетели.*
*Ассоцированный профессор*
***Лела Камладзе***
*Государственный университет Акакия Церетели.*
*Пиглащённый специалист*

**Экономическая эффективность иностранных инвестиций в Грузию**
**Аннотация**

В статье «Экономическая эффективность иностранных инвстиций в Грузии» представлены роль и значение иностранных инвестиций в экономике Грузии, а также процентная доля крупных инвесторов стран в общих инвестициях. Показан удельный вес инностранных инвестиций по экономическим отраслям, динамика иностранных инвестиций на душу населения.

В статье сделана оценка экономической эффктивности, которая опирается на резултатб полученный из вложенных инвестиций, что отражается в росте выпуска продукции в соответствующей отрасли.

В конце сделан вывод, что иностранные инвестиции реально способствуют экономическому развитию страны.

***Nargiza Qarqashadze***
*Associate Professor of Business Administration Department*
*Akaki Tsereteli State University*
***Lela Kamladze***
*Akaki Tsereteli State University , Visiting Specialist*

**ECONOMIC EFFICIENCY OF FOREIGN INVESTMENT IN GEORGIA**
**Annoatation**

In the article "Economic efficiency of foreign investment in Georgia," the role and importance of foreign investment in our economy. The dynamics of foreign investment, as described by many as a major investor countries as a percentage of total investments. A shows the share of foreign investments in economic sectors, according to the dynamics of foreign investments per capita.

The article made the economic efficiency evaluation, which is based on the results obtained from investments, which is reflected in the increase in production in the relevant field.

Finally a conclusion that the foreign onvestments actually contribute to the economic development of the country.

**მარკეტინგი**

***ნანა ბენიძე***
*აწსუ, ეკონომიკის დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*
***ბიწაძე ჯაბა***
*აწსუ, ეკონომიკის დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*
***გუგეშაშვილი თინათინი***
*აწსუ, ეკონომიკის დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*

## ანდერაიტინგის საბაზისო პრინციპები

საქართველოში დაზღვევა არ არის ახალი სფერო და იგი მხოლოდ დემოკრატიისა და ეკონომიკური თავისუფლებისათვის თანმდევ ფენომენად არ გვევლინება. სადაზღვევო კომპანიები საქართველოში მე–20 საუკუნის დასაწყისშიც არსებობდნენ, რომელიც 1924 წლიდან „გოსსტრახის" სისტემამ შეცვალა და 65 წლის განმავლობაში მონოპოლიურად ახორციელებდა ყველა სახეობის დაზღვევას მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

როდესაც ქვეყანა ადგას საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და აღმავლობის გზას, უახლოესი პოლიტიკური ცვლილებების ფონზე მთავრობა გამოდის ინიციატივით სადაზღვევო სფეროშიც. მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ანდერაიტერის საქმიანობაზე, რადგან სწორედ მასზეა დაფუძნებული სადაზღვევო კომპანიების ნორმალური ფუნქციონირება.

სადაზღვევო ხელშეკრულების დადებას წინ უძღვის სადაზღვევო პროდუქტების შექმნა და შეთავაზება კლიენტებისათვის. ამის შემდეგ დაზღვევის მსურველი – განმცხადებელი – მზღვეველს აწვდის ინფორმაციას დასაზღვევ რისკსა და ობიექტზე, რაც ხდება საფუძველი პასუხისმგებლობის აღების შესახებ. რისკის სწორად შერჩევა არ არის მარტივი საქმე და დიდ პროფესიონალიზმს მოითხოვს. ნათელია, რომ არსებობს შუალედური რგოლი პოტენციური დამზღვევისაგან ინფორმაციის მიღებასა და სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებას შორის. სწორედ ესაა დაზღვევის ან აცილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი-ანდერაიტინგი.

ანდერაიტინგი არის პროცესი, როდესაც სადაზღვევო ორგანიზაცია შეისწავლის რისკს, წყვეტს, მიიღოს თუ არა ეს რისკი დასაზღვევად და თუ მიიღებს, რა პირობით დააზღვევს მოცემულ რისკს.

რისკების ანდერაიტინგის პროცესი სხვადასხვანაირია დაზღვევის სხვადასხვა კლასთან მიმართებში და ასევე დამოკიდებულია მზღვეველის მიდგომაზე ამ საკითხისადმი. განვიხილოთ პერსონალური დაზღვევების, სიცოცხლის დაზღვევის და კომერციული დაზღვევების ანდერაიტინგის პროცესი.

**პერსონალური დაზღვევა**. პერსონალური დაზღვევების ანდერაიტინგი შედარებით მარტივია. ძირითად ინფორმაციას რისკის შესახებ ანდერაიტერი ღებულობს განაცხადი-ანკეტიდან და ცალკეულ შემთხვევებში მას შესაძლოა გაუჩნდეს დამატებითი კითხვა განმცხადებელთან. პერსონალური დაზღვევის სხვადასხვა კლასების განაცხადი-ანკეტების დიდ ნაწილს მზღვეველის რეგიონალური ოფისები არეგულირებენ, ვინაიდან საქმის დიდი ნაწილი მექანიკური და ადვილია.

სხვადასხვა ტიპის დაზღვევის ანდერაიტინგი ხშირად დელეგირებული აქვთ სხვა ადამიანებს, არა სადაზღვევო კომპანიის თანამშრომლებს. ამის კარგი მაგალითია სამოგზაურო დაზღვევა, როდესაც დაზღვევის პოლისი იყიდება სამოგზაურო სააგენტოდან ან ავიაკომპანიიდან. ამ შემთხვევაში ივსება განაცხადი-ანკეტა განმცხადებლის მიერ და იგი მაშინვე ღებულობს პოლისს. ასეთივე მდგომარეობაა ბინის დაზღვევის შემთხვევაშიც. სადაზღვევო კომპანიის მიერ ბროკერს გადაცემული აქვს პოლისის გაცემის უფლება, შესაძლოა, გარკვეული მაქსიმალური სადაზღვევო თანხის ლიმიტის ფარგლებში. ასეთ შემთხვევებში ანდერაიტინგის პროცესი შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ სრულიად არასასურველი პირების დაზღვევა არ ხდება.

**სიცოცხლის დაზღვევა**. სიცოცხლის დაზღვევის ანდერაიტინგი მართლაც განსხვავდება პერსონალური დაზღვევების სხვა ფორმებისაგან. ინფორმაციის მთავარი წყარო ამ შემთხვევაშიც განაცხადი-ანკეტაა, მაგრამ ამასთან ერთად სიცოცხლის დაზღვევის დროს ძალზე მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის მდგომარეობის დეტალური შესწავლა. ზოგიერთ შემთხვევაში მზღვეველს რისკის შეფასებისათვის შესაძლოა დასჭირდეს სამედიცინო ექსპერტის ჩარევაც. ეს განსაკუთრებით საჭიროა, როდესაც სადაზღვევო თანხა ძალიან დიდია ან დაზღვეულს ჯანმრთელობის მხრივ რაიმე პრობლემები აქვს.

კომერციული დაზღვევების ანდერაიტინგი საკმაოდ რთულია. კომერციული დაზღვევების ჯგუფში განიხილება როგორც პატარა მაღაზიებისა და ქარხნების, ასევე დიდი ინტერნაციონალური კორპორაციების დაზღვევებიც. კომერციული დაზღვევების ანდერაიტინგის სირთულის ხარისხი, რა თქმა უნდა, ცვალებადობს რისკის აბსოლიტური ზომის შესაბამისად, მაგრამ მაინც უნდა ავღნიშნოთ გარკვეული საბაზისო პრინციპები.

პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ანდერაიტერმა უნდა შეაფასოს შემოთავაზებულ რისკთან დაკავშირებული ხიფათიანობა. მცირე ბიზნესების დაზღვევის შემთხვევაში ამის გაკეთება შესაძლებელია განაცხადი-ანკეტის წაკითხვით და განმცხადებელთან გასაუბრებით.

ამასთან შესაძლოა მზღვეველის წარმომადგენელი გავიდეს და ადგილზე დაათვალიეროს მაღაზია ან საწარმო. დიდი ბიზნესების შემთხვევაში ეს უბრალოდ შეუძლებელია, ვინაიდან შემოთავაზებული რისკის დეტალებს ვერ დაიტევს ვერანაირი განაცხადი-ანკეტა, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს იგი. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ბროკერს შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს მზღვეველს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთ დიდ შემთხვევებში ბროკერი დეტალურად შეისწავლის შემთხვევას და სრულ ანგარიშს წარუდგენს ანდერაიტერს, რაც მოიცავს როგორც ადგილის დათვალიერებას, ასევე ადგილის გეგმების ნახაზების და საბოლოო რეპორტის მომზადებას. დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა ძალზე ვრცელი იყოს, შემგომ გადაეცემა ანდერაიტერს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მოლაპარაკებები დაზღვევის პირობებზე, სადაზღვევო დაფარვასა და ფასზე.

ჩვეულებრივ, რთული და მრავალფეროვანი რისკების ანდერაიტინგის პროცესში ანდერაიტერი აუცილებლად ჩართავს სერვეიერს, მაშინაც კი, როდესაც ასეთი დაზღვევის განხორციელებაში ბროკერი მონაწილეობს. რისკ-სერვეიერი – ეს არის ადამიანი, რომელიც ანდერაიტერის "ყურების და თვალების" ფუნქციას ასრულებს, მრავალ სადაზღვევო კომპანიაში დასაქმებულნი არიან სერვეიერები ცალკეული სპეციალობების მიხედვით, მაგ., როგორიცაა ხანძარი, პასუხისმგებლობა და სხვა.

სერვეიერი ამზადებს რეპორტს (ანგარიშს, მოხსენებას) ანდერაიტერისთვის და მრავალი სახის ქონებრივი რისკების დროს აკეთებს ნახაზს. რეპორტი (ანგარიში) მრავალ საკითხს უნდა მოიცავდეს:

1. რისკის სრული აღწერა – ეს შესაძლოა მოიცავდეს ქონებრივი დაზღვევების დროს შენობების გეგმას, ამ შენობებში მიმდინარე პროცესების (საქმიანობის) აღწერას, დაზღვეულის შესახებ დეტალურ ინფორმაციას და ა.შ.

2. რისკის დონის შეფასება – ამ დროს სერვეიერმა მხედველობაში უნდა მიიღოს და შეაფასოს ამ შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა ხიფათიანობის ფაქტორი, როგორც ფიზიკური, ისე მორალური და ანდერაიტერს შეუქმნას გარკვეული აზრი შემოთავაზებული რისკის ხარისხის შესახებ. სერვეიერმა თავისი მოსაზრება უნდა დააფიქსიროს ასევე გარშემომყოფი ქონების შესახებ (მაგ., სახანძრო დაზღვევის შემთხვევაში), რადგან ამან შესაძლოა, ზეგავლენა იქონიოს რისკის დონეზე (სიმძიმეზე).

3. მაქსიმალური შესაძლო ზარალის გაზომვა – ეს არის ის მაქსიმალური თანხა, რომელიც, სერვეიერის აზრით, შესაძლოა ზარალის დადგომის შემთხვევაში გახდეს ასანაზღაურებელი. ამის კარგი მაგალითია ხანძრის დაზღვევა.

საზოგადოდ, სერვეიერი და ანდერაიტერი მსჯელობენ რისკის უარყოფით და დადებით მხარეებზე და ერთობლივად თანხმდებიან სათანადო მაქსიმალური შესაძლო ზარალის მაჩვენებელზე.

აქ გასათვალისწინებელია ერთი მომენტიც, გამოთვლილი მაჩვენებელი შეეხება მხოლოდ ხანძრით დაზიანებას. შენობა, მაგალითისათვის, შესაძლოა იყოს აეროპორტთან ახლოს თვითმფრინავის ფრენის ზოლში და ამ შემთხვევაში იგი დგას თვითმფრინავით დაზიანების (დანგრევის) რისკის ქვეშ. გამყოფი ცეცხლგამძლე კედლები ნაკლებად დაიცავს მას ამ რისკისაგან. მაქსიმალური შესაძლო ზარალის მაჩვენებლის გამოთვლის მიზანია, ანდერაიტერს შეექმნას შთაბეჭდილება იმის შესახებ, თუ მაქსიმუმ რა ოდენობის ზარალის დადგომის ალბათობა არსებობს.

4. რეკომენდაციები ზარალის თავიდან ასაცილებლად – სერვეიერი საქმის კურსში აყენებს დაზღვეულს, თუ რა ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული რისკის დასაცავად და ზარალის თავიდან ასაცილებლად. ზოგიერთ შემთხვევაში ამ რეკომენდაციების შესრულება სავალდებულოა დაზღვეულისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამ რისკის დაფარვას ვერ მიიღებს.

5. სავალდებულო რეპორტში დაფიქსირდეს სერვეიერის მოსაზრება დაზღვევის ადეკვატურობის შესახებ- მიუხედავად ამისა, დაზღვეული თვითონ უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ რისკი მთლიანად არის დაფარული და დაზღვევა სათანადოა. დაზღვეულმა შესაძლოა რჩევა ჰკითხოს ბროკერს ან სხვა ექსპერტს, მაგრამ საბოლოოდ მაინც თვითონ განსაზღვრავს სრულფასოვანია თუ არა დაზღვევა.

სერვეიერის საბოლოო დასკვნა, რომელსაც ასევე ხშირად უწოდებენ ზარალის პრევენციის პროგრამას, სამოქმედოდ გადაეცემა დაზღვეულს.

მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ რისკის აღება (დაფარვა) შესაძლებელია მასთან დაკავშირებული ხიფათიანობის ფაქტორების გათვალისწინებით, შემდეგ ეტაპზე მიღებულ უნდა იქნას გადაწყვეტილება, თუ რისკის რა ნაწილის აღებაა შესაძლებელი, რაც ნაწილობრივ დამოკიდებულია მზღვეველის ფინანსურ შესაძლებლობებზე. მზღვეველს შესაძლოა დაწესებული ჰქონდეს გარკვეული ლიმიტი იმაზე, თუ ამა თუ იმ ტიპის რისკის რა ოდენობით აღება სურს მას თავის თავზე მოცემული წლის განმავლობაში. მზღვეველის ფინანსურ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ საკითხებს მივყავართ გადაზღვევის ცნებასთან, რომელიც ჩვენი სტატიის განხილვის ამოცანას არ წარმოადგენს.

ანდერაიტერის ამოცანაა:

• შეაფასოს რისკი, რომელიც ადამიანებს მოაქვთ ერთიან პულში;

• გადაწყვიტოს, აიღოს თუ არა რისკი ან რისკის რა ნაწილი აიღოს თავის თავზე;

• განსაზღვროს შესათავაზებელი დაზღვევის პირობები;
• გამოთვალოს სათანადო პრემია.

განვიხილოთ, თუ როგორ ხდება სათანადო პრემიის გამოთვლა. სადაზღვევო პრემია, რომელსაც დაზღვეული იხდის, წარმოადგენს ამ დაზღვეულის შენატანს ერთიან პულში. ეს შენატანი სამართლიანი უნდა იყოს და უნდა ასახავდეს იმ ხიფათიანობის ხარისხს, რომელიც ამ დაზღვეულს მოაქვს პულში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრემია საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რათა:

1. დაფარვის მოსალოდნელი ზარალები. მზღვეველს შეუძლია შეაფასოს მოსალოდნელი ზარალების დონე. ბუნებრივია, შეუძლებელია იწინასწარმეტყველო ზუსტად რამდენი იქნება ზარალებში გადახდილი, მაგრამ ვინაიდან საქმე შეეხება დიდი რაოდენობით რისკებს, მზღვეველს შეუძლია გააკეთოს შესაძლო ზარალის ღირებულების (ხარჯის) გონივრულად სწორი (აკურატული) შეფასება. ამდენად, პრემია მინიმუმ იმისათვის მაინც უნდა იყოს საკმარისი, რომ ეს მოსალოდნელი ზარალები დაფაროს.

2. შექმნას დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი

ყველა ზარალი, რომლისთვისაც პრემია გადახდილია, შესაძლოა, ვერ დარეგულირდეს მიმდინარე წლის განმავლობაში, ამიტომ პრემია ასევე უნდა ითვალისწინებდეს იმ ზარალებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ არ იქნება დარეგულირებული წლის ბოლოსათვის. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ ზარალებს, რომლებიც მოიცავენ სეულის დაზიანებას. ასეთი ზარალის დარეგულირებას, შესაძლოა, რამოდენიმე წელი დასჭირდეს და მზღვეველმა ეს უნდა მიიღოს მხედველობაში პრემიის დათვლისას.

3. შექმნას პრემიის რეზერვი

მზღვეველმა უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტიც, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შემთხვევითობებს, გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, რომლებიც მათი კონტროლის მიღმაა და რომელთა განხორციელების შემთხვევაში მზღვეველს შეიძლება დაუდგეს ზარალების ანაზღაურების პასუხისმგებლობა ოდესმე მომავალში. მზღვეველები, ღებულობენ რა ყოველივე ამას მხედველობაში, ქმნიან პრემიის რეზერვებს

4. დაფაროს ყველა ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნესის წარმოებასთან. ეს მოიცავს:
• თანამშრომელთა ხელფასებს;
• ოფისის შენახვის ყველანაირ ხარჯებს;
• რეკლამა;
• საკომისიოები.

ყოველი დაზღვეულისაგან აკრეფილი პრემია ჯამში საკმარისი უნდა იყოს, რათა დაფაროს ეს ადმინისტრაციული ხარჯები.

5. უზრუნველყოს მოგება

დაბოლოს, მზღვეველი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მის საქმიანობას გონივრული მოგება მოაქვს. მზღვეველთა უმეტესობა პასუხისმგებელია აქციონერთა მიმართ და უნდა უზრუნველყოს გონივრული მოგება იმ ინვესტიციებზე, რომლებიც ჩადეს აქციონერებმა კომპანიაში. ერთობლივი კომპანიების შემთხვევაში, წევრები ასევე დაინტერესებული იქნებიან გონივრული (ზომიერი) მოგების მიღებით, იმისათვის, რათა განახორციელონ ერთობლივი კომპანიის მიზნები.

სწორი და სამართლიანი პრემიის გამოთვლა მხოლოდ მათემატიკური ფორმულის საშუალებით დათვლას როდი ნიშნავს, ძალზე მნიშვნელოვანია კომერციული ფაქტორების მხედველობაში მიღებაც. ეს ფაქტორებია:
• ინფლაცია
• საპროცენტო განაკვეთები (საინვესტიციო მოგება)

- სავალუტო კურსი
- კონკურენცია

ანდერაიტინგის პროცესის მიზანია რისკების სწორი სელექცია და ხარისხიანი სადაზღვევო პორტფელის შექმნა. ამ პროცესებში არ არსებობს მზამზარეული რეცეპტ. ანდერაიტერი გადაწყვეტილებას იღებს მზღვეველის რესურსებისა და პროფესიონალიზმის, კონკრეტული რისკების მახასიათებლების საფუძველზე.

***ნანა ბენიძე***
*აწსუ, ეკონომიკის დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*
***ბიწაძე ჯაბა***
*აწსუ, ეკონომიკის დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*
***გუგეშაშვილი თინათინი***
*აწსუ, ეკონომიკის დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*

## ანდერაიტინგის საბაზისო პრინციპები

### ანოტაცია

სადაზღვევო ხელშეკრულების დადებას წინ უძღვის სადაზღვევო პროდუქტების შექმნა და შეთავაზება კლიენტებისათვის. ამის შემდეგ დაზღვევის მსურველი-განმცხადებელი-მზღვეველს აწვდის ინფორმაციას დასაზღვევ რისკზე და ობიექტზე, რაც ხდება საფუძველი პასუხისმგებლობის აღების შესახებ. რისკის სწორად შერჩევა არ არის მარტივი საქმე და დიდ პროფესიონალიზმს მოითხოვს. ნათელია რომ არსებობს შუალედური რგოლი პოტენციურ დამზღვევისაგან ინფორმაციის მიმღებასა და სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებას შორის. სწორედ ესაა დაზღვევის ან აცილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი-ანდერაიტინგი.

ერთ-ერთი კომერციული ფაქტორი არის კონკურენცია. მზღვეველი მარტო არ არის სადაზღვევო ბაზარზე, პირიქით, სადაზღვევო ბაზარზე შეინიშნება მზარდი კონკურენცია. თუ მზღვეველი დიდ პრემიას დაადგენს კონკრეტული რისკისათვის, მან შესაძლოა დაკარგოს ბიზნესი (კლიენტები), ხოლო მცირე პრემიის დადგენამ შეიძლება ზარალზე წაიყვანოს სადაზღვევო კომპანია.

ანდერაიტინგის პროცესის მიზანია რისკების სწორი სელექცია და ხარისხიანი სადაზღვევო პორტფელის შექმნა. ამ პროცესებში არ არსებობს მზამზარეული რეცეპტი. ანდერაიტერი გადაწყვეტილებას იღებს მზღვეველის რესურსებისა და პროფესიონალიზმის, კონკრეტული რისკების მახასიათებლების საფუძველზე.

***Нана Бенидзе***
*Доктор Экономики*
*Ассоцированный профессор*
***Джаба Бицадзе***
*Доктор Экономики*
*Ассоцированный профессор*
***Тинатин Гугешашвили***
*Доктор Экономики*
*Ассоцированный профессор*

## АНДЕРАИТИНГ- ОСНОВНЫЕ ПРИНЦИП

**Аннотация**

Договору страхования предшествует создание страховых продуктов, а также предложения для клиентов. После чего, как заявитель предоставляет информацию для страховщиков о застрахованных рисков и объектов, она становится гредметом ответственности. Выбор риска не простое дело и требует много профессионализма. Понятно, что есть промежуточная информационная ссылка на потенциальную соглашения между получателем и страхователем. Это проблема страхования или процесса принятия решений – андераитинг.

Коммерческая фактором является конкуренция. Страховщик не один на страховом рынке, наоборот, растет конкуренция на страховом рынке. Если страховщик определяет большую премию за риск, что он может потерять бизнес (клиенты), и небольшая премия может быть установлена чтобы принять потерю для страховой компании. Процесс андераитинга направлен на создание правильного выбора и качества портфеля страховых рисков. В этом процессе нет готовых рецептов. Андераитер принимает решение на основе конкретных характеристик риска.

***Nana Benidze***
*Akaki Tsereteli State University*
*Associated professor, Doctor of Economics*
***Jaba Bitsadze***
*Akaki Tsereteli State University*
*Associated professor, Doctor of Economics*
***Tinatin Gugeshashvili***
*Akaki Tsereteli State University*
*Associated professor, Doctor of Economics*

## ANDERAITING- BASIC PRINCIPLES

**Annotation**

The insurance agreement is preceded by the creation of insurance products, and offer for clients. After that, the insurance applicant provides information to insurers, about insured risk and objects, It becomes the reason for responsibility. To select the risk is not a simple matter and requires a lot of professionalism. It is clear that there is an intermediate link information on a potential agreement between the Recipient and insurance. That is the challenge of insurance or the decision-making process – anderaiting.

Commercial factor is competition. The insurer is not alone in the insurance market, on the contrary, there is growing competition in the insurance market. If the insurer determines the big bonus for the risk that he might lose the business (clients), and a small premium could be set to take the loss for the insurance company. Anderaiting process aims to create a portfolio of insurance risks, proper selection and quality. In this process, there is no ready-made recipes. Anderaiter makes a decision based on the specific risk characteristics.

## ეკონომიკური პროგნოზირება

*მარინე ცუცქირიძე*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

# პროგნოზირების ძირითადი ასპექტები და მისი მახასიათებლების ანალიზის საკითხები

თანამედროვე საბაზრო გარდაქმნების პირობებში, ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება წარმოადგენს. პროგნოზირების აუცილებლობა დაკავშირებულია საწარმოო და საბაზრო ურთიერთკავშირების რაციონალურად წარმართვისა და მათი სტრატეგიული მიზნების შესრულების საჭიროებიდან. იგი ბიზნესის განვითარებისა და წარმოების ორგანიზაციის დონეთა, აგრეთვე საბაზრო სტრატეგიის შემუშავების მნიშვნელოვან საშუალებად გვევლინება. პროგნოზირების ძირითად ობიექტებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები წარმოადგენს. როგორც ცნობილია ეკონომიკური მაჩვენებელთა, ან მათი სისტემის პროგნოზირების შესაძლებლობა ძირითადად უკავშირდება მათ შორის არსებული, ეკონომიკური და ლოგიკური ურთიერთკავშირის ასახვას პროგნოზირების მოდელის საშუალებით.

ეკონომიკურ მაჩვენებელთა პროგნოზირების მიზნით, მიზანშეწონილია მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა საპროგნოზო მოდელის გამოყენება, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის, პროდუქციისა და რესურსების, წარმოებისა და მოხმარების არსებულ დონეთა დასადგენად აუცილებელ მეთოდოლოგიურ საფუძველს და პროგნოზირების ერთ-ერთ ძირითად ასპექტს. იგი საშუალებას იძლევა: დადგენილი იქნეს სოციალური განვითარების ამსახველი მახასიათებლები და შეფასებული იქნეს ეკონომიკური სისტემის დარგობრივი და საბაზრო, ასევე საწარმოო ელემენტების ოპტიმალური ურთიერთთანაფარდობის დონეთა მახასიათებლები; დასაბუთებული იქნეს ფირმებისა და სხვა საწარმოო სისტემების ეფექტიანად ფუნქციონირების შესაძლებლობანი; განსაზღვროსაბაზრო პროცესების მაკროეკონომიკური რეგულირების საშუალებანი; დადგინდეს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ზრდის საპროგნოზო ტემპები დროის იმ პერიოდებისათვის, რომელთათვის დასაბუთებული უნდა იქნეს საბაზრო ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზებისათვის საჭირო რესურსები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ მაჩვენებელთა პროგნოზირების მოდელი უნდა შეიცავდეს ეკონომიკური სისტემის განვითარების პროცესთა გამოხატვისა და მისი ტემპების ამსახველი მახასიათებლების, ასევე დროში ცვალებადი პარამეტრების შეფასებისათვის აუცილებელ მრავალფაქტორიან ურთიერთდამოკიდებულებათა აღწერას.

ეკონომიკურ მაჩვენებელთა პროგნოზირების მექანიზმით აისახება:

1. ეკონომიკურ სისტემებში არსებულ საწარმოო შესაძლებლობათა ეფექტიანად გამოყენებისა და წარმოების საბაზრო რეგულირების მახასიათებლები;
2. ეკონომიკური განვითარების ფაქტორებისა და დროის პერიოდებში მიღებული, მისი სოციალური ეფექტის მახასიათებლები.
3. მაკროეკონომიკური განვითარების სტაბილურობის მახასიათებლები;
4. ეკონომიკურ მაჩვენებელთა ზრდის ტემპების დროში მოსალოდნელ ცვლილებათა ასახვისა და შეფასებისათვის საჭირო, ასევე მეთოდური საფუძ-

ვლების სრულყოფის შედეგად მიღებული მახასიათებლების გაანგარიშებისათვის აუცილებელი რაოდენობრივი ურთიერთდამოკიდებულებანი;

5. მაკროეკონომიკური ფაქტორების პროგნოზირებისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების შეფასებისათვის აუცილებელი მახასიათებლები.

პროგნოზირების ასეთი მექანიზმის საფუძველზე შეიძლება შემუშავებული და დადგენილი იქნეს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა მრავალფაქტორიანი მოდელის ძირითადი საპროგნოზო კომპონენტები. ამისათვის აუცილებელია აგრეთვე: ეკონომიკურ განვითარებაზე საბაზრო პროცესებისა და სოციალური ფაქტორების ურთიერთგავლენის ანალიზი; მაკროსისტემის პერსპექტიულ მიზანთა და მათ მისაღწევად საჭირო საბაზრო ეფექტიანობის კრიტერიუმებთან ურთიერთშესაბამისობის დადგენა; მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ზრდის საპროგნოზო ტემპებისა და მისი შეფასებისათვის დროში ცვალებად მნიშვნელოვან პარამეტრთა გაანგარიშება; ამ მაჩვენებელთა მოსალოდნელი – მიზნობრივიდან ფაქტიურ მნიშვნელობათა გადახრის, ასევე მათ შორის არსებული მრავალფაქტორიანი ფუნქციონალური დამოკიდებულების დადგენა; ეკონომიკურ განვითარებაში არსებულ ეტაპებთან შესაბამისად, მათი ზრდის საპროგნოზო ტემპების დასაბუთება; ძირითადი საპროგნოზო პარამეტრების განსაზღვრა, რაც მიმართულია პროგნოზირების მოდელის საიმედობისა და სიზუსტის მისაღწევად.

მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ საბაზრო გარდაქმნების პროცესში არსებით მნიშვნელობას იძენს დეტერმინირებული მრავალფაქტორიანი ანალიზის მეთოდი. ამასთან დაკავშირებული პროგნოზირების მრავალფაქტორიანი დეტერმინირებული მოდელის ძირითადი კომპონენტების ანალიზით, შეიძლება დახასიათებულ იქნეს:

1. ეკონომიკური განვითარებისა და დარგობრივი დიფერენცირების პროცესი, ფირმების გამოშვების, მათი საბაზრო მოხმარების, დასაქმებულთა შემოსავლების და ცხოვრების დონის ზრდის მაჩვენებლები.

2. რეფორმის გავლენით, პრივატიზების პროცესში წარმოქმნილ ფირმათა საბოლოო შედეგები, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესები, დასაქმებისა და უმუშევრობის, ინფლაციისა და სიღარიბის დონის ზრდა და სხვა.

3. საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნისა და მიწოდების, მაკროეკონომიკური წონასწორობის დონეთა მაჩვენებლები. წარმოებაში ინვესტიციებისა და დასაქმებულთა თანაფარდობა დროის საპროგნოზო პერიოდებისათვის;

4. მაკროეკონომიკური განვითარების პროცესი, რაც აისახება მახასიათებლებით, რომლებიც გამოხატავენ ძირითადი საწარმოო ფაქტორების – ინვესტიციებისა და შრომის დანახარჯების, ასევე რესურსების დანახარჯების მაჩვენებელთა ზრდას (ან შემცირებას) დროის განსახილველ პერიოდთან შესაბამისად;

5. ეკონომიკური განვითარების ოპტიმალურობა და სტაბილურობა, რომელიც გამოისახება ურთიერთშესაბამისობაში მყოფ მაჩვენებელთა მიზეზობრივი ჯაჭვისა და მასთან დაკავშირებული ფაქტორების ინდექსების მეთოდით.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ პროგნოზირების მექანიზმით შეიძლება ასახული იქნეს ეკონომიკურ მაჩვენებელთა შორის არსებული მრავალფაქტორიანი ურთიერთდამოკიდებულება შემდეგის საფუძველზე:

$$y(t) = a_0(t)x_0(t) + a_1(t)x_1(t) + \ldots + a_n(t)x_n(t) + e(t) \qquad (1)$$

სადაც, $i = 1,2,\ldots,n,\ \ i \in I$ აღნიშნულია $i$-ური საწარმოო ფაქტორების მახასიათებლები, რომლებიც მოქმედებენ $y(t)$ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე,

$a_i(t)$ არის კოეფიციენტები, რომლებითაც აისახება საწარმოო ფაქტორებისა და საბოლოო შედეგების მაჩვენებელთა ურთიერთთანაფარდობა დროის $t$ პერიოდისათვის; $e(t)$ საპროგნოზო ცდომილებაა.

ამ მოდელის საფუძველზე, საპროგნოზო კომპონენტებს შორის არსებული ლოგიკური ეკონომიკური კავშირის დადგენის გზით, შეიძლება აღიწეროს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ზრდის ტემპები, დროის პერიოდებისათვის. ამისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აღნიშნული მოდელი შემდეგი ფორმით:

$$y(t) = a_0(t)x_0(t) + \sum_{i \in I} a_t(t)x_i(t) \qquad (2)$$

საპროგნოზო მახასიათებელთა გაანგარიშების სიზუსტის მიზნით მიზანშეწონილია მის კომპონენტებს შორის დადგენილ ურთიერთდამოკიდებულებათა შემდეგი სისტემის გამოყენება:

$$\begin{aligned} y_1(t) &= a_{01}x_0(t) + a_1x_1(t), \\ y_2(t) &= a_{02}x_0(t) + a_2x_2(t), \\ &-------------- \\ y_n(t) &= a_{0n}x_0(t) = a_nx_n(t). \end{aligned} \qquad (3)$$

ეკონომიკურ მახასიათებელთა ასეთი საპროგნოზო ურთიერთდამოკიდებულების საფუძველს წარმოადგენს მათ შორის არსებული ერთფაქტორიანი დეტერმინირებული წრფივი კავშირის ამსახველი საანალიზო სისტემა. იგი მიანიშნებს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა, მათ ძირითად საპროგნოზო მახასიათებლებს, საწარმოო ფაქტორების სიდიდეებს შორის საპროგნოზო დამოკიდებულებათა არსებობაზე დროის $t$ წლის ტოლი პერიოდისათვის.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ზრდის ტემპებზე მოქმედი ეკონომიკური, ან სოციალური ფაქტორები აისახებიან $X$ ცვლადების მატრიცის ელემენტების საფუძველზე:

$$x_i(t) = \left(x_{ij}(t)\right) \qquad (4)$$

ხოლო $a(t)$ კოეფიციენტები დეტერმინირებული შეფასების მეთოდით განისაზღვრება. ამიტომ ეკონომიკურ მაჩვენებელთა ზრდის საპროგნოზო ტემპების გაანგარიშებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროფ. გ. პაპავას მიერ შემუშავებული, ეკონომიკურ მაჩვენებელთა ანალიზური შემფასებელი სისტემისა და მასთან დაკავშირებული პერიოდანტული მეთოდის გამოყენება. იგი აუცილებელია საწარმოო ფაქტორების ინდექსების ჯაჭვური სისტემის ელემენტების დასადგენად.

ამ მეთოდური საფუძვლის გამოყენების შედეგად ჩატარებული ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ზრდის ტემპზე მოქმედი ფაქტორების შეფასება შესაძლებელია დროის ნებისმიერი $t$ პერიოდისათვის. იგი შეიძლება განხორციელდეს მათ შორის არსებული ურთიერთთანაფარდობის ამსახველი, დეტერმინირებულ დამოკიდებულებათა და მის შესაბამის მახასიათებელთა შეფასების საფუძველზე.

$$\Delta y_i(t) = \sum_{i \in I} a_i(t)\Delta x_i(t) \qquad (5)$$

სადაც $\Delta x(t) = x^1(t) - x^0(t)$ საწარმოო ფაქტორების დეტერმინირებული შეფასებაა, რომელიც მათი საბაზისო და ფაქტიურ მახასიათებელთა სხვაობის ტოლია. $\Delta a_i(t)$-თი ხორციელდება პროგნოზირების მოდელის კოეფიციენტების შეფასება დროითი პარამეტრების მიხედვით. მისი საშუალებით აისახება აგრეთვე მართვის პროცესებისა და რეგულირების შედეგები წარმოების მერყეობის პერიოდისათვის.

$$\Delta y(t) = \sum_{i \in I} \Delta a_i(t) \Delta x(t) \qquad (6)$$

ეს პირობა შეიძლება შესრულდეს მაშინ, როცა $a^1 \approx a^0$, რადგან საპროგნოზო შეფასების დროს გაითვალისწინება ამ კოეფიციენტების ერთი მნიშვნელობა, როცა იგი დარგობრივი მახასიათებლების მიმართ განისაზღვრება, ან რომელიმე დარგისათვის.

საპროგნოზო პერიოდებისათვის შეიძლება აგრეთვე მახასიათებელთა შორის დროში არსებული მიზეზობრივი კავშირების ასახვა:

$$\Delta y(t-1) = \sum_{i \in I} a_i(t-1) \Delta x_i(t-1) \qquad (7)$$

და

$$\Delta y(t) = \sum_{i \in I} a_i(t) \Delta x_i(t) \qquad (8)$$

მაკროეკონომიკური ფაქტორების ინდექსების ჯაჭვური ჩასმის მეთოდით შეიძლება $\Delta y(t)$ შეფასებასთან ერთად, განისაზღვროს $a_i$ კოეფიციენტები. ამისათვის შეიძლება (5)-თან ერთად გამოყენებულ იქნას დამოკიდებულება:

$$\Delta y_{i-1}(t) = \Delta a_{i-1}(t) \Delta x_{i-1}(t) \qquad (9)$$

საპროგნოზო მაჩვენებლების და მათზე მოქმედი ფაქტორების ინდექსები საშუალებას იძლევა განხორციელებული იქნეს მიზეზობრივი ჯაჭვის ელემენტებს შორის არსებული, ურთიერთკავშირის შეფასება. მოცემული შემთხვევისათვის ჯაჭვის პირველ ნაწილს წარმოადგენს დამოკიდებულება საპროგნოზო ელემენტებს შორის

$$y^0(t) = A_0 y^0(t) \to y_1^1(t) = A_1 y^0(t-1) \to y_1^1(t) = A_1 y^0(t) \to y_2^1(x) = A_2 y^0(t) \to \ldots \to y_n^1(t) = A_n y^0(t)$$

(10)

ხოლო მეორე ნაწილი მიანიშნებს ამ ელემენტების წარმომქმნელ $A$ შეფასებათა და $\Delta y_0(t), \Delta y_1(t), \Delta y_{2(t)}$ და ა. შ. შორის არსებულ ურთიერთკავშირზე.

ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და საწარმოო ფაქტორების მახასიათებლებს შორის არსებული, ასეთი მიზეზობრივი ურთიერთკავშირი აისახება მოცემული სისტემის საშუალებით და გამოისახება შემდეგის საფუძველზე:

$$\Delta y_1(t) = y_1^0(t) - y_1^{'}(t),$$
$$\Delta y_2(t) = y_2^0(t) - y_2^{'}(t),$$
$$\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots, \qquad (11)$$
$$y_n(t) = y_n^0(t) - y_n^{'}(t).$$

აღნიშნულის თანახმად $\Delta y(t)$ შეფასება მაკროეკონომიკური მაჩვენებლის საბაზისო და ფაქტიურ სიდიდეთა სხვაობას უტოლდება დროის $t$ პერიოდისათვის. ამით იგი პროგნოზირების მიზნით გამოყენებულ ძირითად შეფასებას წარმოადგენს. ამავე დროს იგი აისახება ორი ურთიერთგანსხვავებული მახასიათებლის $y^0(t)$-ის და $y^1(t)$ ის საშუალებით და მას დეტერმინირებულ შეფასებას უწოდებენ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთი დეტერმინირებული შეფასება მიღება შეიძლება შემდეგი სიდიდეებიდანაც:

$$A_1(t) = 1 - \alpha_1(t) \quad \text{და ა. შ.} \qquad (12)$$

საპროგნოზო მახასიათებლების საშუალებით ამ შეფასებასთან ერთად, შეიძლება განისაზღვროს $\sum_{i=I}^{n} \alpha_i(t-1) = 1$ გამოსახულების მნიშვნელობა. იგი შესაძლებელია ასახავდეს დასაქმებულთა შემოსავლების განაწილებას, მათი ცხოვრების დონის კოეფიციენტებს და სხვა. რადგან $a_i$ არის მოხმარებაზე დანახარჯის ელემენტის მნიშვნელობა, იგი მიანიშნებს ეკონომიკაში დასაქმებულთა შემოსავლებიდან მოხმარებისათვის საჭირო პროდუქტების შეძენაზე გაწეული დანახარჯების განაწილებაზე, დროის პერიოდებისა და დანახარჯების ელემენტების მიხედვით. როდესაც $A(t)$ მაკროეკნომიკური მაჩვენებლის შეფასებას წარმოადგენს, მაშინ ამისათვის გამოყენებული შეიძლება იქნეს გამოსახულებები $A_i(t) = 1 - \alpha_i(t)$.

მაკროეკონომიკური მაჩვენებელთა პროგნოზირება და მისი ძირითადი საპროგნოზო მახასიათებლების შეფასება, დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის უკავშირდება მისი ზრდის ტემპების დადგენას. ამ მიზნით მიზანშეწონილია შემდეგი მახასიათებლების გამოყენება:

$$y^1(t) = \left(1 + \frac{\square x(t)}{100}\right) \cdot y^0(t) \qquad (13)$$

იგი მიღებულია $y(t)$-სა და $y(0)$-ს შორის არსებულ ზოგადი დამოკიდებულების საფუძველზე.

ასეთი ასახვით შეიძლება ყოველი მაჩვენებელს ზრდის ტემპის საპროგნოზო ინდექსების დადგენა საქართველოს მაკროეკონომიკური სისტემის მაგალითზე. იგი როგორც აღინიშნა, შეიძლება შეფასდეს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ურთიერთგანსხვავებულ დონეთა – საბაზისოდან ფაქტიურის გადახრების საშუალებით და უნდა განხორციელდეს დროის ერთწლიანი პერიოდების შესაბამისად. მათი ანალიზისა და შეფასების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს სამ და ოთხფაქტორიანი საპროგნოზო დამოკიდებულება. ამით

შეიძლება შეფასებულ იქნეს 1. მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სტაბილური ზრდის მახასიათებლები; 2. ფაქტიური მახასიათებლის საბაზისო დონიდან გადახრის და 3. მაჩვენებელთა ზრდის საპროგნოზო ინდექსები.

ამასთან ერთად პროგნოზირების პრობლემაში ძირითადს წარმოადგენს $a_i(t)$ კოეფიციენტების შეფასება. იგი შესაძლებელია განხორციელდეს $y(t)$ მაჩვენებლის და მასზე მოქმედი $x_i(t)$ ფაქტორების დეტერმინირებული შეფასების გზით. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მათ შორის არსებული ორი ურთიერთდამოკიდებულება დროის, ანუ წლის პერიოდებისათვის

$$1.\ \ \overline{y}(t) = \overline{a}_0 x_0(t) + \overline{a}_i(t) x_i(t) \quad (i = \overline{1,6}) \qquad 2.\ \ y^1(t) = y^0(t) + \Delta y(t) \tag{14}$$

მაკროეკონომიკური ფაქტორების ინდექსების ჯაჭვური ჩასმის მეთოდით შეიძლება $a(t)$ კოეფიციენტების შეფასება და (6) და (7)-ის საფუძველზე მიიღება.

$$\Delta a_i(t) = \frac{\Delta y_i(t-1)}{4} - \frac{\Delta y_i(t)}{5} \tag{15}$$

$$a_1(t) = \frac{1}{2}\left[a_1(t-2) + a_1(t-1)\right] \tag{16}$$

სადაც $y_i(t)$ ასახავს $i$-ურ ფაქტორებზე დამოკიდებული მაჩვენებლის ნაზარდს.

სხვა ინდექსებისათვის იგი ანალოგიურად განისაზღვრება.

საპროგნოზო გაანგარიშებათა შემდეგ ეტაპზე შეიძლება განისაზღვროს $A(t)$ შეფასება (10)-ის და (12)-ის მისი , ასევე $y(t)$ მაჩვენებელი,

$$\Delta y_i(t) = \sum_{i \in I} \left( A_i^0(t) - A_i^1(t) \right) \tag{17}$$

ან

$$A_i(t) = \alpha_i \Delta y_i(t) \tag{18}$$

სადაც $\alpha_i$ დანახარჯების კოეფიციენტებია. საპროგნოზო შეფასებათა შორის ურთიერთკავშირის ასახვის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამოკიდებულება

$$\Delta y(t) = \sum_{i \in I} A_i\,(t) y_i^0(t) = \sum_{i \in I} \left( \Delta a_0(t) + a_i\,(t) \Delta x_i(t) \right) \tag{19}$$

მაკროეკონომიკის ყოველ საწარმოო სისტემისათვის, მაჩვენებელთა პროგნოზირების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი დაყვანილი ფორმა, რომლითაც განისაზღვრება პირველი საპროგნოზო პერიოდისთვის

$$A_1 y^0(1) = a_{01} + a_{i1} \Delta x_i(1) = A(1) \tag{20}$$

მეორე საპროგნოზო პერიოდისათვის იგი გამოისახება ტოლობით

$$A_2 y^0(2) = a_{02} + a_{i2} \Delta x_i(2) = A(2), \tag{21}$$

და ა. შ. დროის $t$ პერიოდისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტოლობა

$$A_t y^0(t) = a_{0t} + a_{it} \Delta x_i(t) = A(t) \tag{22}$$

სადაც $A(t)$ შეფასების მოსაძებნად გამოიყენება $a_i$ სიდიდეები. და ზოგადად $A_i(t)=1-\alpha_i$-ით ამ ორ მახასიათებელს $A$-სა და $\alpha$ შორის არსებული დამოკიდებული გამოისახება.

მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა პროგნოზირების პრინციპებიდან გამომდინარეობს საბაზრო პროცესების მახასიათებელთა, კერძოდ ფასების ზრდის ინდექსების გამოყენება. ზოგიერთ საპროგნოზო გაანგარიშებათა მიზნით, ფასების გათვალისწინებით მაკროეკონომიკური განვითარების დონის საპროგნოზო შეფასება ხორციელდება შემდეგი დამოკიდებულებიდან

$$\Delta y(t)=\sum \lambda_i \Delta x_i(t) p_i(t) \qquad (23)$$

სადაც $p_i(t)$ – $i$-ურ ფაქტორთან მიმართებაში გამოყენებული ფასების დონის მახასიათებელია, ხოლო $i$-ფასების ცვლილებათა კოეფიციენტებია. მათი გაანგარიშების პროცედურა შეიძლება ასახული იქნეს შემდეგი დამოკიდებულებით:

$$\Delta p(t)=\sum_{i\in I}(1+\lambda_i)\Delta p_i(t) \qquad (24)$$

სადაც $\lambda_i$ ინფლაციისა და სავალუტო კურსის ცვლილებათა გავლენით $i$-ური მაკროეკონომიკური ფაქტორის მიმართ დადგენილი ფასების ზრდის მახასიათებელია, რომელიც იცვლება დროის $t$ პერიოდის განმავლობაში. აღნიშნულის შედეგად (3), (23) ან (24)-ის საფუძველზე შეიძლება საბაზრო მიწოდებასა და მოთხოვნაზე ფასების გავლენის და ამით მაკროეკონომიკური ზრდის ტემპების დახასიათება. მაკროეკონომიკური ზრდის ტემპების ცვლილებანი დროის სხვადასხვა პერიოდებისათვის შეიძლება ასახული იქნეს მრავალფაქტორიანი დეტერმინირებული შეფასების საშუალებით

$$\Delta y(t)=\Delta y_x(t)+\Delta y_s(t)+\Delta y_d(t) \qquad (25)$$

ამ გამოსახულების საფუძველზე შეიძლება იმის დადგენა, რომ მაკროეკონომიკური განვითარების დონე და ზრდის ტემპები, ასევე ყოველ მის მაჩვენებელთა სიდიდე დროის $t$ პერიოდისათვის, დამოკიდებულია საპროგნოზო მახასიათებელთა წარმოქმნაში მონაწილე ფაქტორების: $x$ – საწარმოო, $s$ – საბაზრო მიწოდების, $d$ – მოხმარების ზრდის ტემპებზე.

პროგნოზირების მიზნით გამოყენებულ მახასიათებელთა ეკონომიკურ-ლოგიკური ანალიზი, მათ დეტერმინირებულ შეფასებასთან ერთად, წარმოადგენს პროგნოზირების მექანიზმის აუცილებელ და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. ამის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს საპროგნოზო გაანგარიშებანი და დაცული იქნეს მათი სიზუსტე და საიმედოობა, რაც პროგნოზირების ერთ-ერთ ძირითად ასპექტს და მთავარ პრობლემას წარმოადგენს. რადგან პროგნოზი აუცილებელია შეიცავდეს მონაცემებს ეკონომიკურ მაჩვენებელთა ზრდის ტემპების დროში განაწილების შესახებ, ასევე მაკროეკონომიკური განვითარების მიზნებსა და მისი შეფასებისათვის საჭირო კრიტერიუმების სისტემას, ამიტომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს თანამედროვე ბიზნესის განვითარების, წარმოებისა და დარგობრივი საბაზრო ურთიერთობების რეგულირების პარამეტრების დასადგენად.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა ვლ. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების სივრცობრივი შედარება მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალისწინებით, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. V, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012
2. პაპავა გ. ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის თვისობრივი წყობის მორფოლოგიური შეცნობა, საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული “ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე“, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010
3. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, “დიოგენე“, 2007
4. აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ., თეთრაული ც. მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა დინამიკის კანონზომიერებები საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IV, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011
5. ჩხეიძე თ., ხუსკივაძე მ. მდგრადი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. V, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012
6. ცუცქირიძე მ. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირების მოდელის შესახებ, სამეცნიერო შრომების კრებული „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში", ტ. III, თბილისი, მეცნიერება, 2003
7. ცუცქირიძე მ. საწარმოო სისტემების რიტმული ფუნქციონირების ფაქტორული ანალიზის სრულყოფის შესახებ (რუსულ ენაზე), საქ. მეცნიერებათა აკადემიის “მაცნე”, ეკონომიკისა და სამართლის სერია, №4, თბილისი, მეცნიერება, 1989



*მარინე ცუცქირიძე*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*


## პროგნოზირების ძირითადი ასპექტები და მისი მახასიათებლების ანალიზის საკითხები
### ანოტაცია


სტატიაში განხილულია მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა პროგნოზირების ძირითადი ასპექტები და მათი ანალიზის საკითხები. იგი გადმოცემულია ეკონომიკური მახასიათებლების პროგნოზირების დეტერმინირებული მრავალფაქტორიანი მოდელის საფუძველზე. დახასიათებულია ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების ანალიზის მთავარი პრობლემები და მის ძირითად საფუძვლად პროფ. გ. პაპავას მეთოდის გამოყენების საკითხები.

სტატიაში გაანალიზებულია გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობა მისი სისტემური რეგულირების აუცილებლობა, ასევე ეკონომიკური განვითარების ძირითად მახასიათებელთა მოსალოდნელ ცვლილებაზე საბაზრო ფაქტორების გავლენა.

***Марина Цуцкиридзе***
*Академический доктор экономики*

**ОСНОВНЫЕ АСПЕКТЫ ПРОГНОЗИРОВАНИЯ И ВОПРОСЫ АНАЛИЗА ЕЕ ПОКАЗАТЕЛЕЙ**

**Аннотация**

В статье рассматриваются основные аспекты прогнозирования макроэкономических показателей и вопросы их анализа. Они передаются на основе многофакторной детерминированной модели прогнозирования экономических показателей. В нем даются главные проблемы анализа экономических и социальных факторов, вопросы использования для этой цели метода проф. Г. Папава.

В статье проанализированы значения долгосрочного экономического роста и необходимости системного регулирования ожидаемых изменений показателей экономического развития в рыночных процессах.

***Marine Tsutskiridze***
*Academic doctor of economics*

**THE MEIN ASPECTES OF THE FORECASTING AND ISSUES ANALYSIS OF ITS INDICATORS**

**Annotation**

The article deals with the main aspectes forecasting of macroeconomic indicators and Issues of its analysis. The basis of determining multifactoral Model off forecasting of economic indicators and its components are investigated.

There are analyzed the principle aspectes of forecasting, the mechanism and modelling of a new system of macroeconomic indicators, and the indicators, used for the calculation of forecasting parameters.

There are also given general problems of economic and social factors analysis. The its basis methodical issue of the professors. G. Papava are investigated. The article analyzed of long term rates of economic growth is contested with systemic regulation. This is a analyses also the aspectes of forecasting of economic development, determination of expected changes of indicators, influenced on market processes.

## მენეჯმენტი

*ვასილ ხიზანიშვილი*
*სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,*
*ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასისტენტ-პროფესორი*

# კორპორაცია და კორპორაციული პასუხისმგებლობა

ფართო გაგებით, კორპორაცია არის ბიზნესის ერთიანობის დომინანტური ფორმა თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში.[4]

კორპორაცია მიჩნეულია, როგორც ავტონომიური სოციალური ერთობა, რაც კორპორაციის შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეთა (The internal and external stakeholders) კოოპერაციაში ვლინდება. მსგავსი პრაქტიკა აყალიბებს კორპორაციის მორალურ ერთობას, მისი მორალური კრიტერიუმებისა და სტანდარტების განსაზღვრის სახით, რის შემდეგაც შესაძლებელი ხდება კორპორაციის მორალურ პასუხისმგებლობაზე საუბარი, ანუ შეუძლია თუ არა კორპორაციას პასუხისმგებელი იყოს საკუთარ მოქმედებაზე?

არსებობს ორი უმთავრესი არგუმენტი ამ თვალსაზრისის მხარდასაჭერად. პირველი – ყოველ ორგანიზაციას გააჩნია კორპორაციული შიდა გადაწყვეტილებების სტრუქტურა, რომელიც კორპორაციული გადაწყვეტილებების დროს წინასწარგანსაზღვრული მიზნების შესაბამისად ხელმძღვანელობაში მდგომარეობს.[5] პროფ. პეტერ ფრენჩის მტკიცებით, ზემოთ ნახსენები კორპორაციული შიდა გადაწყვეტილებების სტრუქტურა უზრუნველყოფს საკმარის საფუძველს კორპორაციებისათვის მორალური მხარდაჭერის მიზნით.[6] მეორე – ყველა კომპანიას გააჩნია არა მხოლოდ ორგანიზებული კორპორაციული შიდა გადაწყვეტილების სტრუქტურა, არამედ რწმენებისა და ფასეულობების ერთობაც. მსგავსი ერთობა კორპორაციაში შესაძლებლობას იძლევა ყურადღება გამახვილდეს კარგისა და ცუდის, სწორისა და არასწორის, ე.ი. ორგანიზაციული კულტურის საკითხებზე.[7] ეს ფასეულობები და რწმენები დიდ გავლენას ახდენს ინდივიდუალური, ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და ქცევებზე კომპანიებში.

დასავლეთში ცნობილი და აღიარებულია ე. კეროლის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პირამიდის ფორმის მოდელი:

კეროლი ყურადღებას ამახვილებს კორპორაციულ პასუხისმგებლობაზე (კსპ), როგორც მულტიფენოვან კონცეპტზე, რომელიც შეიძლება დიფერენცირდეს ოთხ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტად – ეკონომიკურ, ლეგალურ, ეთიკურ და ფილანტროპიულ პასუხისმგებლობად.

ეკონომიკური პასუხისმგებლობა. კომპანიის აქციონერები კომპანიისაგან ითხოვენ შესაბამის სარგებელს მათივე ინვესტიციებიდან. კომპანიის მოსამსახურე პერსონალი დაინტერესებულია გაწეული შრომის გარანტირებული და სამართლიანი ანაზღაურებით. კომპანიის კლიენტების მოლოდინი კი დაკავშირებულია კარგი ხარისხის პროდუქციასთან სამართლიანი ფასებით და ა.შ. კომპანიის ამგვარი გააზრება იძლევა მისი, როგორც ეკონომიკური ერთეულის, ფუნქციონირებისა და ბიზნესში არსებობის გამართლების შესაძლებლობას.

---

[4] Market AAnd Morality: Business Ethics and the Dirty and Many Hands Dilemma, Rotterdam, 1998., P. 19
[5] Franch, P., 'The corporation as a maral person', American Philosophical Quarterly, #16, 1979., P. 207-15.
[6] Business Ethics – Ammon Allred's Online Classroom., professorallred. wikidot...
[7] Moore, G., 'Corporate moral agency: review and implications', Journal of Business Ethics, #21, 1999, P. 329-43




***ფიგურა 1. კეროლის პირამიდული კ.ს.პ. მოდელი***

***წყარო: Carroll, A. B., ‘The pyramid of corporate social responsibility: toward the moral management of organizational stakeholders’ - , Business Horizons., 1991, July-Aug.: P. 39-48.***

კსპ-ის პირველი ფენა წარმოდგენილი მოდელის ყველა შემდგომი პასუხისმგებლობის ფორმის საფუძველია. ეკონომიკური პასუხისმგებლობის პირობათა დაკმაყოფილება თითოეული კორპორაციისათვის თანაბრად მოთხოვნადია.

ლეგალური პასუხისმგებლობა. კორპორაციის ლეგალური პასუხისმგებლობა მოითხოვს, რომ საწარმოები თანაბრად იცავდნენ კანონსა და თამაშის წესებს. კანონთა კრებული საზოგადოების მორალურ შეხედულებათა კოდიფიკაციაა, და მაშასადამე, ამ სტანდარტების მუდმივი დაცვა არის ყოველი შემდგომი მსჯელობის აუცილებელი პრერეკვიზიტი სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ.

ეკონომიკური პასუხისმგებლობის მსგავსად, ლეგალური პასუხისმგებლობის დაკმაყოფილება ყველა კორპორაციისათვის არის თანაბრად მოთხოვნადი და სავალდებულო.

ეთიკური პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის ეს ფორმა კორპორაციებს უბიძგებს სწორი, სამართლიანი და პატიოსანი მოქმედებების განხორციელებისაკენ მაშინაც კი, როდესაც ისინი ეთიკურად და ლეგალურად მოვალენი არ არიან ამგვარი ქმედებებისათვის. გამომდინარე აქედან, ეთიკური პასუხისმგებლობა არსებითად შედგება ეკონომიკური და ლეგალური მოთხოვნების მაღლა მყოფი საზოგადოების ზნეობრივი მოლოდინებისაგან.

ფილანტროპიული პასუხისმგებლობა. დასასრულს, პირამიდის წვერში, კსპ-ის მეოთხე დონეს წარმოადგენს კორპორაციის ფილანტროპიული პასუხისმგებლობა, რაც ბიზნესის კონტექსტში გულისხმობს კორპორაციაში დასაქმებულთა, ლოკალური თემებისა და ზოგადად, საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას კორპორაციის დისკრეციაში. კპს-ის ეს ასპექტი მიმართულია საკითხთა იმ ნაირსახეობისაკენ, რომლებიც მოიცავს მუშაკთათვის და მათი ოჯახებისათვის ქველმოქმედების სხვადასხვა ფორმებს, გართობისა და დასვენების პირობებს, ადგილობრივი საბავშო ბაღებისა და სკოლების ფინანსურ მხარდაჭერას, სპორტისა და ხელოვნების სფეროთა სპონსორობას.

კორპორაციისათვის, ფილანტროპიული პასუხისმგებლობა არის უბრალოდ სასურველი და ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე დანარჩენი სამი კატეგორია.

ამგვარად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის გავლენა საზოგადოებაზე. იგი არის ბიზნესის ეთიკური ქცევა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან მიმართებაში. ის გულისხმობს კომერციული წარმატებების მიღწევას იმ გზებით, რომლებიც აფასებენ ეთიკურ პრინციპებს, იცავენ კანონს და პატივს სცემენ ადამიანს, საზოგადოებასა და გარემოს.

კსპ, როგორც პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესის განვითარებული და მის მოდელში ინტეგრირებული კორპორაციული თვითრეგულირების ფორმა, წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომლებიც თანაბრად ღირებულია ბიზნესისათვის, გარემოსა და საზოგადოებისათვის.

*ვასილ ხიზანიშვილი*
*ი.გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*

## კორპორაცია და კორპორაციული პასუხისმგებლობა

**ანოტაცია**

კორპორაცია არის არა მხოლოდ ინსტრუმენტი მოგების მისაღებად, არამედ ბიზნესის ერთიანობის დომინანტური ფორმაც თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში. კორპორაციის, როგორც ავტონომიური სოციალური ერთობის შიდა და გარე სტეიკჰოლდერების (the internal and external stakeholders) კოოპერაცია აყალიბებს კორპორაციის მორალურ ერთობას, მისივე მორალური კრიტერიუმებისა და სტანდარტების განსაზღვრის სახით.

რაც შეეხება კორპორაციის სოციალურ პასუხისმგებლობას, იგი არის ბიზნესის განვითარებული და მის მოდელში ინტეგრირებული კორპორაციული თვითრეგულირების ფორმა, წარმოდგენილი იმგვარი აქტივობებით, რომლებიც თანაბრად ღირებულია ბიზნესისათვის, გარემოსა და საზოგადოებისათვის.

***Васил Хизанишвили***
*Асистент-профессор Телавского государственного*
*университета им. Якоба Гогебашвили*

## КОРПОРАЦИЯ И КОРПОРАТИВНАЯ ОТВЕТСТВЕННОСТЬ

**Аннотация**

Корпорация является не только инструментом для получения прибыли, но и доминантной формой единства бизнесса в современной глобальной экономике. Корпорация в качестве кооперации внутренних и внешних стейкхолдеров автономного социального единства формирует моральное единство корпорации, в виде определения моральных критериев и стандартов.

Что касается социальной ответственности корпорации, она является развитой и корпоративной саморегулирующей формой бизнесса, представленной активностями, которые одинакого важны для бизнесса, окружающей среды и общества.

***Vasil Khizanishvili***
*Doctor of Social Sciences in Economics*
*Assistant-Professor of Iakob Gogebashvili Telavi State University*

**CORPORATE AND CORPORATION RESPONSIBILITY**
**Annotation**

Corporate is not only the instrument for gaining the profit, but the Dominant Formula of Business Unity in Modern Global Economics. The corporation, as the internal and external stakeholders of Autonomous Social Unity, the cooperation makes the moral unity of the corporation, with the determining form of its moral criteria and standards.

And what about the corporation social responsibility, it is the business developed and the integrated corporate self-regulated form in its model, presented with the activities, which are equally valuable for business, for environment and for society.

***Tsisnami Sakvarlishvili***
*University of Florence, School of Political Science "Cesare Alfieri"*
*Master Degree in Analysis and Policies of Local and Regional Development*

## Rose revolution and social-economic developments in Georgia

**Abstract**

*The rose revolution has not only changed the political landscape of Georgia but it also has provoked a global reform of the country toward the western model. This scenario has been possible thanks to the effort of the population and to the reforms proposed by the new leader Saakashvili. This paper briefly analyzes the most important economic and political reforms made in Georgia during the first 4 years after the Rose Revolution (2004-2008) and tries to examine their consequences and the new possibilities opened for the present and for the future of the country.*

### Introduction

The first ten years of independence for Georgia have been characterized by a strong crisis of economy and also politics. The first two leaders of the country, namely Gamsakhurdia and Shevardnadze, were not able to solve the main problems of the state institutions and particularly of the economy that had to overcome the transaction between the soviet controlled economy to the free market.

For example, during his leadership, Shevardnadze managed to create a sort of hybrid political regime that allowed a certain freedom for civic and political activities but few conditions for genuine political competition and participation. Real power was indeed concentrated in a narrow power elite: a chain of clientelistic networks that was orbiting around the person of Shevardnadze. In other words, giving power to representatives of groups of interest was the strategy that he used to overcome the difficulties yield by the chaotic political environment that led to the failure of his predecessor Gamsakhurdia. This made Shevardnadze somewhat politically weak but at the same time made him an indispensable leader. Unfortunately, this condition rendered the government's ability to act for the public good very limited. For example, corruption was one of the worst plague that was affecting Georgia in that period but since it was part of the ways the power elite was using to gather wealth the government wasn't in the position of doing anything about it.

Two other bad characteristics of Shevardnadze leadership in Georgia were state failure (i.e. lack of control over many territories) and election fraud that was performed through multiple voting, stuffing of ballot boxes, pressuring voters, and the fraudulent tabulation of election results by electoral commissions.

### Rose Revolution and its consequences

The parliament elections that took place on 2 November 2003 finally showed to Georgia and to the world what the government was able to do to retain power. Serious discrepancies existed between the "official" results and the parallel vote tabulation conducted by the International Society for Fair Elections and Democracy (ISFED), a Georgian election monitoring organization working in cooperation with some other international institutes. Vote tabulation gave a very clear advantage to the opposition parties over the government parties. Mass demonstrations were already going on demanding that the government recognize the victory of the opposition even before the final "official" data were communicated on 20 November. The first session of this "rigged" Parliament was held the afternoon of 22 November, when the opposition demonstrators broke in with roses in their hands and forced president Shevardnadze to leave the room. The very next day when his elite military units refused to support him he announced his resignation giving the deserved victory to the

population and to the opposition. A few days later the Supreme Court of Georgia finally invalidated the results of the 2 November vote. The events of November 2003 demonstrated the devotion of the Georgian people to the values of democracy, despite a clear attempt of subversion of the popular will carried on by Shevardnadze government they managed to successfully mobilize peaceful and orderly rallies to defend democracy.

The revolution ended with Mikheil Saakashvili, leader of the opposition, getting the leadership of the country on 4 January 2004, he obtained an overwhelming 96.27 per cent of the vote at the presidential election. This was the best premise required for a leader to carry the destiny of the country toward a better future[8].

The concentration of power in the president's hands is the most notable characteristic of Georgia's development since the revolution. In fact, during February 2004, the parliament approved the president's initiative to amend the national constitution, giving the president the power to disband either the parliament or the cabinet in case of a conflict between the two. The constitutional amendments significantly weakened the parliament: a permanent threat of disbanding keeps parliamentarians loyal to the government. The strengthening of presidential powers and the weakening of those of the parliament has had both positive and negative consequences for the country.

Among the positive results, the broader executive powers allowed the government to drastically reduce redundancies and improved its ability to maintain financial order.

The negative side of this concentration of power could instead be the increasing of chances for the president to go against the population will and establish a despotic government. The very strong presence of the recent Rose Revolution was anyway a very great insurance against any kind of despotic drift of the government[9]. Moreover it has been noted a certain intensification in the feeling of impunity among government officials, which has sometimes been shown in their disregard for the rule of law. The judiciary has also been deprived of some powers, as a consequence many judges have turned into tacit executors of the prosecutors' wishes, especially if these prosecutors were representing the government or its entourage. Another consequence is the slightly increase in the government's control over the media.

The first economic actions took by Saakashvili government were aimed to increase Georgian state effectiveness: corruption and bad bureaucracy were indeed preventing the economy of the country to run at its best. The first step needed to try to get rid of both of them was to increase the salaries to state employees. In fact, in the hope to save some funds, Shevardnadze's government, was keeping salaries of every public employees just above or even below the living wage. This encouraged those holding government positions to take bribes to literally "survive". The salary increase planned by Saakashvili had to be substantial and quite selective. For this purpose, in 2004, a Reform and Development fund was created to pay salaries to those who were deemed more prone to be corrupted (the top government officials) funded by international donors and Georgian private businesses.

As expected, such measures were considered quite controversial by the majority of the population, that did not considered fair those big differences in salaries. This feeling was increased by the fact that the plan was funded using an extra budget bypassing the normal monitoring procedures. The beneficiaries of this plan were mostly the top layer of civil servants, the army and law enforcement officers. This made possible for the government to hire highly qualified employees that could rely on the normal salary for their sustenance (even coming from foreign international organizations) into the public service, thus setting the base for a reduction of corruption and drastically increasing the quality of the public services.

8 The Political Landscape of Georgia Political Parties: Achievements, Challenges and Prospects - Ghia Nodia

9 The Political Landscape of Georgia Political Parties: Achievements, Challenges and Prospects - Ghia Nodia

More efforts were also made to reduce the plagues of corruption and crime in general that together with the inability to control the secessionist regions were the principal reasons that lead Georgia to be considered a failed state.

So far corrupted employees always managed to dodge any kind of control and even if they were caught in the act they often ended without any kind of punishment. To interrupt this "syndrome of impunity" Saakashvili's government has relied on the law-enforcement agencies, and has undertaken structural reforms to prevent corrupt activities. One of the first steps took in this direction was the introduction of new laws that facilitated the speed and effectiveness of the prosecution of corruption. This included plea bargaining that allowed suspects to be released after pleading guilty, if they provide useful information to the prosecution, and give back embezzled sums to the state treasury. This procedure has been applied to a lot of elite officials of the Shevardnadze government who after being arrested had to pay big sums to the state to be released. On the other hand, this procedure received a lot of criticism, even from the Council of Europe[10], because it was not following the norms of due process and because it was giving too much power to the law of corruption prosecution. The most important achievements in this sector have been obtained at the beginning of the Saakashvili's government; later, the most of the prosecuted were only middle and low level public officials.

Saakashvili also introduced many structural reforms to suppress corruption. The corrupt traffic police were totally disbanded in July 2004, and replaced by a new patrol police that became much more popular. The procedures for property registration in both tax and customs offices were also simplified rendering them less prone to corruption and bribes and easing the life of property owners and taxpayers. In the summer of 2005, the first national university entrance exams were organized by the Ministry of Education and Science. The grades achieved in these exams became the only basis for being admitted to Georgian universities. Previously university admission used to be a very corrupted activity. Nowadays these entrance exams are widely recognized as impartial and their grades are the only basis for being admitted at attending the classes[11].

Finally, especially in peripheral regions, where the government did not believe it had resources or strength to eradicate corruption, it took the decision to cancel some government functions altogether.

The new government also considered breaking networks of organized crime to be its priority and claims it has made some achievements in this area. However, this issue was considered of maximum priority only after late 2005. in this period President signed new legislation against organized crime which among other things has criminalized belonging to organized criminal networks, and a new campaign was started against the domination of organized crime in the penitentiary system. The initial Strategy and Action Plan against the crime was adopted and approved by the President of Georgia in 2005 who proposed Criminal Justice Reform (CJR). Its Strategy and its Action Plan was revised on a yearly basis since 2009 to adapt to the evolving crime and penitentiaries situation.

The main objectives of this reform are:

- reducing the incidence of crime and delivering justice for all in line with the international human rights standards;
- increasing access to justice and assistance to victims of the crime;
- ensuring fair, speedy and equal procedure for persons charged with the crime;
- punishing guilty, while preventing them from re-offending;
- reducing prison overcrowding through use of pre and post trial alternatives;

---

10 Honouring of obligations and commitments by Georgia, Parliamentary Assembly of the Council of Europe, Resolution 1415 (2005)

11 The Political Landscape of Georgia Political Parties: Achievements, Challenges and Prospects - Ghia Nodia

- addressing the causes of the crime and providing appropriate community supervision, rehabilitation and reintegration of persons who committed the crime;

This strategy underlines the challenges existing in criminal justice spheres and aims to develop comprehensive sectoral approach to such complex issues as juvenile justice, prison overcrowding, system of alternatives, development of linkage between penitentiary and probation, importance of the National Preventive Mechanism under OPCAT and proper implementation of the new Criminal Procedure Code of Georgia.

Criminal Justice Reform Strategy and the Action Plan have been adopted by the Criminal Justice Reform Council on 27th of July 2009. It represents a guiding policy document that was adopted by the Council through the active involvement of all relevant stakeholders[12].

*Figure 1: Tax revenue of Georgia (1997-2011) – World Bank data*




The other very bad aspect of Georgian economy that is somewhat tied with corruption was the fail in collecting public revenues. As already discussed, up to 70% of the Georgian economy could be considered a hidden economy. This proved to be a huge brake for the whole "normal" economy of the country. Concerning this issue Saakashvili government had the best success and managed to resolve the most of the state budget crisis. The tax collection income has increased dramatically since 2004[13] (see figure 1).

Many aspects of the economy have benefited from this achievement, starting from the financing of the salaries of public employees and the paying of pensions to investing in public infrastructure. This has also made possible the reintroduction of free medical services. The tax reform was meant to reduce the burden both of tax and bureaucracy abuse. At the end of 2004, after a year of parliamentary work and debates, the government obtained the reduction of the number of taxes and, more importantly, managed to get their rates to the lowest levels in the Caucasian region.

The new tax laws radically changed the method and structure of tax collection. In particular this new code can be summarized as follows:

- The number of taxes was reduced from 22 to 7 (and finally to 6 but only after 2008). This decimation especially involved all ineffective taxes and especially those that were more

12 Criminal Justice Reform Strategy and Action Plan – Ministery of Justice of Georgia - http://www.justice.gov.ge/index.php?sec_id=255

13 Galt and Taggart Securities, Georgia Weekly Stock Market Commentary, 26 January, 2004 and 23 January, 2006

prone to result in corruption. Moreover the 6 remaining taxes were those with the best fiscal effects and the easiest to calculate and pay.

- A flat income tax rate of 12% was implemented, then is was summed with the social tax (a flat 20%) in 2006 to make a total of 25%, which was then further on reduced to 20% (flat) in 2009.

- Social insurance tax was at start decreased from 31% to 20% and then canceled in 2006; road tax and all others special taxes were abolished.

- The corporate tax rate was reduced from 20% to 15%.

- The value added tax (VAT) rate was reduced from 20% to 18%.

- A 100% depreciation rule was implemented since 2004: any equipment bought in the same year by a company could be wrote off. This is basically an incentive not to hide incomes, and also to drive companies to innovation.

- Customs duties were removed. Export duty had already been eliminated, while import duties has been reduced since 2006 bringing them close to 0%.

- All remaining privileges were removed, same tax rates and VAT have been applied to all business activities.

Since 2007 it's possible to perform tax declarations and relative payments online, thus reducing the wait times for everyone in possess of an internet connection[14].

The changes in custom duties and taxes together with the simplification of import and export procedures favoured the intensification of the trade with foreign countries: an essential step to complete the integration of the country into the Western free market.

On the other side the new collection of taxes income have somewhat deprived local budgets of a big part of all tax revenue. If before the Rose Revolution almost 99 percent of profit taxes were left for the local budgets, after the revolution all the revenue has to pass through the central government and then have to be distributed to local budgets in function of the government plan. Such steps aimed at strengthening the central government have left the local administration with less power of decision and action. This is probably one of the worst effect of this new government if we consider that usually the local governments are considered to be the more suitable to take decisions and plan every area development and distribution of services. This is due to the fact that local governments are in close contact with the population and are directly elected by it.

One of the more interesting achievements obtained by the government after the Rose Revolution has been the inversion of the demographic decline and this is especially important because it's a symptom of a somewhat improved wellness throughout the country. The demographic situation in Georgia, like in the majority of former Soviet republics, has been characterized by two main features since independence: decline in total population and increase of Georgian ethnicity in its composition. The proportion of ethnic Georgians increased by full 10 percentage points between 1989 and 2002, rising from 73.7% to 83.7% of the population[15]. Both these effects were mostly due to emigration and secondly to a fall of birth rates. The reasons for this decline can be found in the economic crisis of the country and in the ethnic wars that plagued some of its territories. Population tried to migrate to find jobs and security leaving Georgia as one of the largest emigration countries in the world. This is one of the more impartial ways to measure the happiness of a population: the decline of the population represents one of the biggest failures of the first two Georgian governments.

Saakashvili's government was able to obtain a positive trend of the population growth as a consequence of the improvement of Georgian economy, since 2005[16]. In 2008 and 2009

14 Economic reforms in Georgia "Their Relevance for Africa?", Gia Jandieri, Brenthurst discussion paper 7/2009

15 Richard H. Rowland, Eurasian Geography and Economics, 47(2): 221-242, 2006.

16 International Monetary Fund, World Economic Outlook Database, April 2012

another stop was due to the consequences of South Ossetia War but a steep growth reappeared again in 2010.

**Boom Investment during Rose Revolution**

Almost immediately after coming to power, the Saakashvili government started to execute an ambitious plan of large-scale privatization through the creation of the law "On Privatization ofthe State Property, Property of the Local Self-Government Units and Conveyance with the Right of User" and through the LEPL (Enterprise Management Agency).

*Figure 2: Percentage composition of Georgian GDP from 2002 to 2011 (industry, agriculture and services) - World Bank data*




The main function of this agency is the coordination and management of state shares and stocks in accordance to the Georgian Law and Acting Legislation, the protection of state interests during the process of privatization and the improvement of the liquidity level of enterprises to support fast privatization processes[17].

The country's new image, that had been improved by the Rose Revolution, favoured the attraction of new high-value privatization deals that exceeded by even hundreds of times the amounts obtained during the whole period before the revolution[18].

As already pointed out, in addition to its other achievements, the new government reduced the number of taxes and some tax rates. The new tax Code, adopted in late 2004, with its simplifications and advantages for the tax payers represented a great factor of attraction for foreign investments.

Foreign investment levels have, as expected, soared in recent years. The construction works on the Baku-Tibilisi-Ceyhan pipeline and the Shah Deniz gas pipeline have been a pole of attraction for foreign funds. FDI levels have grown from $163 million in 2002, to $336 million in 2003, and $490 million in 2004. By Summer 2004, the government had also earned

*Figure 3: Georgian GDP growth (annual percentage) since 1991. - World Bank data*




)

renewal of the IMF program, enabling it to begin negotiations on restructuring the country's foreign debt. Since then, donor countries have extended Georgia credit and grants amounting to $1 billion[19]. In addition, In September 2005, Washington committed to extend the country $295.3 million in assistance under the Millennium Challenge Account[20]. This good trend lasted until 2008 when the South Ossetia War and the global economic crisis provoked a steep decrease of the foreign investments.




*Figure 4: Number of international passengers arrivals in Georgia during the 1995-2010 period. - World Bank data*

The composition of Georgian GDP since the "Rose Revolution" can be seen in figure 2. It's possible to note that the trends are similar to those of the previous period with an increase in the services sector, a decrease in agriculture and a stationary industry. The GDP annual growth is instead shown in figure 3. We can tell that Georgian economy has kept improving since 1995.

However, during the first 4 years of Saakashvili's government, the GDP growth had a very good average of around +10% per year, this positive trend has only been interrupted by the concurrence of South Ossetia War and global economic crisis that provoked the negative peak during 2009.

**Conclusions**

During the Rose Revolution, many steps have been made in the right direction to uniform Georgia to the most economically and politically developed countries. A few more efforts will be required to complete the metamorphosis, in particular the following problems have still to be solved: inadequate labour market and labour rights, a slight agriculture recession and hostile diplomatic relations with Russia that have caused the 2008 South Ossetia war.

---

19 http://www.imf.org

20 The Political Economy of Georgia's Rose Revolution – Vladimer Papava – Elsevier Limited (2006)

Moreover, there are two economic potential areas where Georgia can look to its longer-term economic development to attract attention and funds from foreign investors. The first one is and has been the development of an infrastructure network for the transportation of oil and natural gas resources that are abundant in the Caucasus region and in the near Caspian Sea. Already a $2.9 billion 1,650km pipeline has been laid connecting the oil fields of Azerbaijan with ports on the Black Sea coast of Georgia and Turkey. Other pipeline projects are in construction and the jobs and economic activity that this will generate is also a cause for optimism, however there is a big margin of improvement related to the removal of the corruption that's still plaguing many economic activities and hindering the efforts and interests of foreign investors.

The second interesting economic feature that could attract funds from outside the country is tourism. Part of Georgia is indeed situated on the Black Sea coast and became very popular with Soviet tourists. The potential for developing the tourist industry could generate large revenues but the starting investment needed into the infrastructure to support tourism is likely to pose a problem without an easy solution. Nonetheless, the positive trend in tourism income started since the "Rose Revolution" (see figure 4) is a good sign that proves the feasibility of a further development on a larger scale.

**References**

[1,2,4] The Political Landscape of Georgia Political Parties: Achievements, Challenges and Prospects - Ghia Nodia

[3] Honouring of obligations and commitments by Georgia, Parliamentary Assembly of the Council of Europe, Resolution 1415 (2005)

[5] Criminal Justice Reform Strategy and Action Plan – Ministery of Justice of Georgia - http://www.justice.gov.ge/index.php?sec_id=255

[6] Galt and Taggart Securities, Georgia Weekly Stock Market Commentary, 26 January, 2004 and 23 January, 2006

[7] Economic reforms in Georgia "Their Relevance for Africa?", Gia Jandieri, Brenthurst discussion paper 7/2009

[8] Richard H. Rowland, Eurasian Geography and Economics, 47(2): 221-242, 2006.

[9] International Monetary Fund, World Economic Outlook Database, April 2012

[10] http://www.ema.gov.ge/

[11] Zaal Anjaparidze, ''Critics Press for Improved Judicial Independence in Georgia,'' Eurasia Daily Monitor, April 26, 2006, at www.jamestown.org

[12] http://www.imf.org

[13] The Political Economy of Georgia's Rose Revolution – Vladimer Papava – Elsevier Limited (2006)

*ცისნამი საყვარლიშვილი*
*ფლორენციის უნივერსიტეტი, პოლიტიკურ-მეცნიერებათა სკოლა „Cesare Alfieri", სამაგისტრო ხარისხი ადგილობრივი და რეგიონალური განვითარების ანალიზსა და პოლიტიკაში.*

## ვარდების რევოლუცია და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება საქართველოში

### ანოტაცია

ვარდების რევოლუციამ შეცვალა არა მარტო საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, ასევე გამოიწვია გლობალური რეფორმა ქვეყნის დასავლური მოდელის მიმართ. ეს სცენარი მოსახლეობის ძალისხმევით განვითარდა და რეფორმის ინიციატორი იყო ახალი ლიდერი - სააკაშვილი. ეს სტატია აანალიზებს ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებს საქართველოში პირველი 4 წლის განმავლობაში ვარდების რევოლუციის შემდეგ (2004-2008) და მიმდინარეობს კვლევა მათი შედეგების და ახალი შესაძლებლობების გზის საძიებლად ქვეყნის აწმყოსა და მომავლისთვის.

***Циснами Сакварлишвили***
*Флорентийский Университет, школа политических наук «Cesare Alfieri», магистерская степень по анализу местного и регионального развития и политике.*

## "Революция роз" и социально-экономическое развитие в Грузии

### Аннотация

«Революция роз» не только изменила политический ландшафт Грузии, но и вызвала глобальную реформу в стране по западной модели. Этот сценарий развернулся усилиями населения и инициатором реформ явился новый лидер – М. Саакашвили.

В данной статье анализируются самые значительные экономические и политические реформы, проведенные в Грузии в течение первых четырех лет после «Революция роз» (2004 - 2008) и предпринята попытка исследовать их результаты и найти новые возможности и пути для сегодняшнего дня и будущего страны.

*გიორგი აფციაური*
*სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ეკონომიკაში*

# საშემოსავლო გადასახადი და მისი სრულყოფის გზები საქართველოში

**შესავალი**

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირების ერთადერთ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს გადასახადები და საგადასახადო პილიტიკა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადები სახელმწიფოებრიობის წარმოშობისთანავე გახდნენ ეკონომიკურ ურთიერთობათა აუცილებელი და ორგანული შემადგენელი ნაწილი. სახელმწიფოს განვითარებისა და მისი მოწყობის ეკონომიკური საფუძვლების ტრანსფორმაციის კვალდაკვალ იცვლებოდა საგადასახადო სისტემა. ეს უკანასკნელი განპირობებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დასმული ამოცანებით და ამა თუ იმ ქვეყნის წინაშე მდგარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით, რადგან გადასახადები და მოსაკრებლები წარმოადგენენ საბიუჯეტო შემოსავლების მთავარ წყაროს. ბიუჯეტის ფინანსური უზრუნველყოფის პარალელურად საგადასახადო მექანიზმი სახელმწიფოს მიერ გამოიყენება ეკონომიკური სისტემის განვითარების, წარმოების დინამიკისა და სტრუქტურის რეგულირებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მოხმარების ხარისხის სრულყოფისათვის და ა.შ.

სახელმწიფო ხელისუფლებას საკუთარი თავის შესანახად ყველა დროში ჭირდებოდა სახსრები. შესაბამისად, საგადასახადო სისტემებმა გამოიარეს განვითარების ათასწლოვანი გზა – ნატურალური გადასახადიდან დღევანდელ ფედერალურ და ადგილობრივ გადასახადამდე. იყო პერიოდები, როდესაც უძველესი სახელმწიფოები ომების წარმოების გზით ძარცვავდნენ სხვა სახელმწიფოებს, მაგრამ დროთა განმავლობაში ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ სახელმწიფოებმა ისწავლეს თავის დაცვა მტრულად განწყობილი ახლო თუ შორეული მეზობლებისაგან. ამისათვის კი საჭირო იყო რეგულარული არმიის შექმნა, მეომრის შეიარაღება და შენახვა და სწორედ ამ მიზნებისათვის ე.წ. მისაგებლის სახით მოსახლეობისაგან სხვადასხვა ფორმით აიკრიბებოდა გადასახადი. ბევრ ქვეყანაში კი, სადაც ეკლესია თამაშობდა დიდ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აიკრიბებოდა სავალდებულო საეკლესიო გადასახადები. შემდგომში სახელმწიფოების წინაშე მდგარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-სოციალური ფუნქციების შესასრულებლად გადასახადებმა მიიღო მკაცრი სავალდებულო ხასიათი და მათ საფუძვლად დაედო საზოგადოების მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანოების გადაწყვეტილებანი.

მართვის ადმინისტრაციულმბრძანებლური მოდელიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ განაპირობა საფინანსო სისტემის ძირეული ტრანსფორმაციის აუცილებლობა და, შესაბამისად, დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის ავტონომიური საგადასახადო სისტემის ფორმირების პრობლემა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საწყის ეტაპზე, ვიდრე შეიქმნებოდა ეროვნული საგადასახადო სისტემა, გამოიყენებოდა დაბეგვრის ძველი ფორმები და მეთოდები. 1993 წლის მიწურულს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მიღებული იქნა საგადასახადო სისტემის ფორმირების ახალი კანონების პაკეტი, რომლის მთავარი მიზანი იყო ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება და სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსულობათა მობილიზაცია.

აღნიშნული კანონების მიღებით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა საგადასახადო სისტემის შექმნას, შემუშავდა საგადასახადო სისტემის ფორმირების ზოგადი პრინციპები, ჩამოყალიბდა გადასახადების, გადასახდელების, მოსაკრებ-

ლების და სახელმწიფო ბაჟის ფორმირების მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლები. საქართველოს საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ სახელმწიფო კანონი საფუძვლად დაედო კანონების მიღებას საგადასახადო სამსახურის შესახებ, დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ, აქციზის შესახებ, საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ და საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და სრულყოფის მნიშვნელოვან ეტაპს შეადგენდა 1997 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიღება, რომლითაც სამართლებრივად განისაზღვრა გადასახადების დაწესების, შეცვლის და გაუქმების წესი, მათი გადახდევინების პრინციპები, ფორმები და მეთოდები, განისაზღვრა საგადასახადო ორგანოების ფორმირების და საგადასახადო კონტროლის განხორციელების მეთოდოლოგია, დადგინდა საერთოსახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების სახეები, მკაფიოდ ჩამოყალიბდა გადასახადების ადმინისტრირების წესები, შემუშავდა საგადასახადო სამსახურების სტატუსი და სტრუქტურა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიღებიდან მოკლე დროში საჭირო გახდა მასში მრავალი ცვლილებების შეტანა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საგადასახადო კოდექსი და, შესაბამისად, ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა მოუწესრიგებელია, დაულაგებელია, მეთოდური და ადმინისტრაციული ნაკლოვანებანი ართულებენ სრულყოფილი, კომპლექსური გამოკვლევების ჩატარებას და სისტემა ჯერჯერობით არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

**2004 წელს** – საშემოსავლო გადასახადი გახდა 12% და უარი ითქვა დაუბეგრავი მინიმუმის შენარჩუნებაზე.

**2008 წელს** – სოციალური გადასახადი ფირმებისათვის გაუქმდა და საშემოსავლო გადასახადი გახდა 25 %. ამავე წელს იქნა დაპირება იმისა, რომ შემდეგი 5 წლის განმავლობაში გადასახადი დაიწევს და გახდება ჯერ 18 %, შემდეგ კი 15 %.

**2011 წელს** – საშემოსავლო გადასახადი გახდა 20 % და სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები დაუწესდათ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებს; მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებს და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს, რაც გარკვეულწილად იძლევა შეღავათებს.

**გადასახადების სოციალურ-ეკონომიკური არსი**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, გადასახადი ბიუჯეტებსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში სავალდებულო შენატანია, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. არც ერთ სახელმწიფოს გადასახადების გარეშე არსებობა არ შეუძლია, რადგანაც ისინი ქვეყნის ძირითადი სახელმწიფო ფინანსური გეგმის – ბიუჯეტის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენენ.

გადასახადები ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ერთადერთი მნიშვნელოვანი ბარომეტრი და ინსტრუმენტია. იგი სახელმწიფოსა და სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დონეს და ხარისხს ასახავს. გადასახადი თავისი ეკონომიკური ბუნებით განაწილებისა და გადანაწილების გზით მიღებული ეროვნული შემოსავლისა და სიმდიდრი წილია, რომელიც მიმართულია ხელისუფლების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. გადასახადების გარეშე სახელმწიფოს არ შეუძლია საკუთარი თავის შენახვა. სწორედ ამითაა განპირობებული სახელმწიფოსა და სამეურნეო სუბიექტებს შორის არათანაბარუფლებრივი, ცალმხრივი საგადასახადო ურთიერთობა. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნულ ურთიერთობაში სახელმწიფო წარმოადგენს მთავარ, აქტიურ მოქმედ პირს, ხოლო

გადასახადის გადამხდელები არიან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სავალდებულო საგადასახადო კანონების პასიური შემსრულებლები.

საგადასახადო ურთიერთობა ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. კერძოდ, იგი გამოიხატება იმაში, რომ გადასახადები ატარებენ აუცილებელ ხასიათს, ისინი წარმოადგენენ ეროვნული შემოსავლის იმ ნაწილს, რომელსაც სახელმწიფო გადასახადის გადამხდელებისაგან იძულების წესით ამოიღებს. ამგვარი, ადმინისტრაციული მეთოდის გამოყენების აუცილებლობას განაპირობებს ის გარემოება, რომ გადასახადის გადამხდელები, მათი შინაგანი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ცდილობენ საკუთარი შემოსავლების მაქსიმალურ გადიდებას და შესაბამისად ნებაყოფლობით არ იხდიან გადასახადებს. ამიტომაცაა, რომ გადასახადის გადახდა ნებისმიერი პიროვნებისა თუ სამეურნეო სუბიექტისათვის მეტად მძიმე და არასასიამოვნო პროცედურაა.

გადასახადების მეორე თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მათ არ ახასიათებთ დაბრუნებადობა, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო გადასახადის გადამხდელისაგან ამოღებულ თანხას უკან ფულადი ექვივალენტით არ აბრუნებს. აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. მართალია, სახელმწიფო ამოღებულ გადასახადს უკან ფულადი ფორმით არ აბრუნებს, მაგრამ იგი საგადასახადო შემოსავლების გარკვეულ ნაწილს ხარჯავს ეკონომიკის განვითარებისათვის, სოციალურ-კულტურული და სხვა სახელმწიფოებრივი ღონისძიებებისათვის. ამით გადასახადების დიდი ნაწილი მის გადამხდელებს უბრუნდება არაპირდაპირი გზით, ხმარდება როგორც მათი, ასევე მთელი საზოგადოების სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ქვეყნის პოლიტიკურ მოწყობას, თავდაცვას, წესრიგის დამყარებას და ა.შ.

ამრიგად, გამოდის, რომ გადასახადები ერთგვარად წარმოადგენენ სახელმწიფოს მიერ საზოგადოებისადმი გაწეული მომსახურების საფასურს.

დღევანდელ ცივილიზებულ საზოგადოებაში გადასახადების წინაშე წაყენებულ ამოცანათა წრე თანდათანობით ფართოვდება. ცივილიზებული სახელმწიფოები საგადასახადო მექანიზმს აქტიურად იყენებენ საზოგადოებრივი წარმოების დინამიკისა და სტრუქტურის რეგულირებისათვის, სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიურ მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვისა და სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციისათვის.

### საგადასახადო სისტემის პრინციპები, ფუნქციები და ამოცანები

სადაგასახადო სისტემის შინაარსის გაგებაში მეცნიერ-ეკონომისტებს და სპეციალისტებს შორის ჯერჯერობით ერთიანი შეხედულება არაა ჩამოყალიბებული, თუმცა, მათ კონცეფციებს შორის არსებითი, პრინციპული ხასიათის სხვაობა არ შეინიშნება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, საგადასახადო სისტემა წარმოადგენს გადასახადების (მათი დაწესების, შეცვლისა და გაუქმების) გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, საგადასახადო ორგანოების და საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას. უფრო ფართო გაგებით საგადასახადო სისტემა მოიცავს შემდეგ ელემენტებს: დაბეგვრის სუბიექტი (გადასახადის გადამხდელი), დაბეგვრის ობიექტი (შემოსავალი, ქონება და ა.შ.), საგადასახადო განაკვეთი, საგადასახადო შეღავათები, საგადასახადო იმუნიტეტი, საგადასახადო სანქციები, საგადასახადო კრედიტი, გადასახადების დაგეგმვა, საგადასახადო ვალდებულება, საგადასახადო კონტროლი, საგადასახადო ადმი-

ნისტრირება (გადასახადების ამოღების წესი და ფორმები) და საგადასახადო პრინციპები.

საგადასახადო სისტემის პრინციპები წარმოადგენენ იმ ამოსავალ თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რომელზეც აიგება ამა თუ იმ ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა. ამასთან, საგადასახადო სისტემის პრინციპები არაა მუდმივი და იგი შეიძლება შეიცვალოს იმისდა მიხედვით, თუ როგორია ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა, განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათი, სახელმწიფოს საგარეო და საშინაო ვალების სიდიდე, საზოგადოებაში შექმნილი სოციალური კლიმატი და ა.შ. დღეისათვის ეკონომიკური მეცნიერების მიერ შემუშავებულია იმ ძირითადი პრინციპების ერთობლიობა, რომელზეც უნდა აიგოს ცივილიზებული და სამართლიანი საგადასახახო სისტემა. ძირითადი ამ პრინციპების შორის შემდეგია:

- **ნებისმიერი გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი;**
- **დაუშვებელია ისეთი გადასახადის დაწესება, რომელიც არღვევს ქვეყნის ერთიან ეკონომიკურ სივრცეს;**
- **გადასახადის მიზანი უნდა იყოს საზოგადოების და სახელმწიფო ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა;**
- **გადასახადები უნდა იყოს სტაბილური, საგადასახადო განაკვეთები და ტარიფები უნდა დადგინდეს ხანგძლივი დროისათვის;**
- **ყოველი გადასახადი უნდა იყოს კანონით რეგლამენტირებული;**
- **მაქსიმალურად მარტივი უნდა იყოს გადასახადის გაანგარიშების მეთოდიკა;**
- **დაუშვებელია პარალელური (დუბლირებული) გადასახადების დაწესება;**
- **გადასახადების აკრების სისტემა უნდა იყოს მარტივი და ეკონომიური;**
- **საგადასახადო განაკვეთები უნდა იყოს პროპორციული იმ სარგებელთან, რისი მიცემა სახელმწიფოს შეუძლია გადასახადის გადამხდელებისათვის;**
- **გადასახადების დადგენის და ამოღების წესი უნდა იყოს უნიფიცირებული საგადასახადო ბაზის გეოგრაფიული განლაგების, საკუთრების ფორმის, ეკონომიკური საქმიანობის სახეობის და შემოსავლის წყაროების მიუხედავად;**
- **მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული სამართლიანობა საგადასახადო ტვირთის განაწილების დროს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ჭრილში;**
- **ტოლდიდ დასაბეგრ ობიექტებზე უნდა დაწესდეს თანასწორი გადასახადები.**

გადასახადის ფუნქცია გულისხმობს მისი არსისა და თვისების გამოვლენას, აგრეთვე საზოგადოებაში მისი როლის განსაზღვრას. ფუნქცია გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება მოცემული ეკონომიკური კატეგორიის, როგორც შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების ინსტრუმენტარის გამოყენება, მისი მეშვეობით მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის შემოსავლების გამოთანაბრება და ეკონომიკის რეგულირება-სტიმულირება. გამომდინარე აქედან, განასხვავებენ გადასახადების შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

**1. სახელმწიფოს ხარჯების ფინანსური უზრუნველყოფის ფუნქცია, რაც ნიშნავს ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციას (ფისკალური ფუნქცია).** მისი საშუალებით ხდება გადასახადების ძირითადი საზოგადოებრივი დანიშნულების – სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ფორმირება, რომლებიც აკუმულირდება ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო ფონდებში. გადასახადების ფისკა-

ლური ფუნქციის საშუალებით ხდება სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების რეალიზაცია.

**2. სოციალური ფუნქცია, ანუ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების შემოსავლების გამოთანაბრების ფუნქცია.**

მისი ამოცანაა მაღალშემოსავლიანი ფიზიკური და იურიდიული პირების პროგრესული საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრის მეშვეობით ეროვნული შემოსავლის დაბალ შემოსავლიან ჯგუფში გადანაწილება. სოციალურად ყველაზე არასამართლიანს წარმოადგენენ **არაპირდაპირი (ირიბი) გადასახადები (დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი).** ისინი თანაბარ საგადასახადო ზეწოლას ახდენენ საზოგადოების თოთიეულ წევრზე. ამასთან, მათი ზეწოლა განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ჯგუფებზე. საქმე იმაშია, რომ არაპირდაპირი გადასახადები წარმოადგენენ პროდუქციასა და მომსახურებაზე ფასნამატს, რის გამოც მომხმარებელი მას თავისი პირადი შემოსავლიდან იხდის.

**3. მარეგულირებელი ფუნქცია, რაც ნიშნავს საგადასახადო განაკვეთების მანევრირებით ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას ან შენებას.**

გადასახადების მარეგულირებელ ფუნქციას ხშირად ეკონომიკურ ფუნქციასაც უწოდებენ. ეკონომიკურ ლიტერატურაში მას გადასახადების მასტიმულირებელ ფუნქციადაც მოიხსენიებენ, თუმცა, მისი შინაარსის გაგებაში რაიმე პრინციპული განსხვავება არ შეინიშნება. სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებას ახორციელებს დაბეგვრის სისტემის ცვლილებით, გადასახადების განაკვეთების მანევრირებით და საგადასახადო შეღავათების დაწესებით. პრაქტიკაში გამოიყენება ორი საგადასახადო მოდელი: ლიბერალური და მკაცრი. ლიბერალური საგადასახადო მოდელის გამოყენებისას დაბალია საგადასახადო განაკვეთები, შედარებით მეტია საგადასახადო შეღავათების წრე, რის გამოც გადასახადის გადამხდელებს თავიანთ განკარგულებაში რჩებათ შემოსავლების უფრო დიდი ნაწილი და შესაძლებლობა ეძლევათ წარმართონ იგი ინვესტირებისათვის, საწარმოთა ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფისათვის, რაც საბოლოო ჯამში იწვევს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას. მკაცრი საგადასახადო მოდელი გულისხმობს მაღალ საგადასახადო განაკვეთებს და შეღავათების ვიწრო წრეს. ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელებს არ რჩებათ საბრუნავი სახსრები.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცალკე გამოყოფენ გადასახადების მაკონტროლებელ ფუნქციას. იგი იძლევა საშუალებას შეფასდეს საგადასახადო მექანიზმი, გაკონტროლდეს ფინანსური ნაკადების მოძრაობა, გამოვლინდეს საგადასახადო და საბიუჯეტო სისტემაში შესატანი ცვლილებები.

საბიუჯეტო შემოსავლების ერთადერთი მნიშვნელოვანი წყაროა საშემოსავლო გადასახადი, რომლითაც იბეგრება რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში ხელფასისა და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი, არაფულადი შემოსავლების ჩათვლით. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აღნიშნული გადასახადი ბიუჯეტის შემოსავლების 40-50 პროცენტს შეადგენს.

**საშემოსავლო გადასახადის არსებული სიტუაცია საქართველოში**

ეკონომიკური თეორიის მიხედვით საგადასახადო სისტემის უმთავრესი დანიშნულება-მოვალეობების გამომხატველები არიან მისი შემდეგი ძირითადი ფუნქციები: 1) **ფისკალური** (ანუ სახელმწიფო ხაზინის შევსების უზრუნველყოფა), 2) **ეკონომიკური** (ანუ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმულირება და ხელის შეწყობა) და 3) **მარეგულირებელი** (ანუ შემოსავლების რაციონალური გადანაწილება ქვეყანაში მოსახლეობის ქონებრივი პოლარიზაციის შემცირებისა

და სხვადასხვა ფენების ცხოვრების დონეების გარკვეული გამოთანაბრების მიზნით). ამასთან ერთად საჭიროა, რათა საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბება-გატარებისას სრულად იქნას დაცული ეკონომიკური მეცნიერების მიერ რეკომენდებული დაბეგვრის ძირითადი პრინციპები: 1) **ეფექტიანობა,** 2) **სამართლიანობა,** 3) **ადმინისტრირების სიმარტივე,** 4) **დაბეგვრის ერთჯერადობა,** 5) **მოქნილობა,** 6) **პოლიტიკური პასუხისმგებლობა,** 7) **ბეგარის გადახდის აუცილებლობის სავალდებულობა.** სამწუხაროდ, საქართველოს ბოლოდროინდელი საგადასახადო სისტემა გამოირჩევა სამართლიანობის დაბალი ხარისხითა და არაეფექტურობით. იგი მორგებულია მოსახლეობის მცირერიცხოვანი, მაღალშემოსავლიანი, ელიტარული ნაწილისა და მსხვილი, მონოპოლისტური ბიზნესის ინტერესებზე და ფაქტობრივად იგნორირებულია მრავალრიცხოვანი დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მოთხოვნები. საქართველოში ამჟამად მოქმედი საგადასახადო სისტემის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქვეყნის მთავრობას მთელი ყურადღება გადატანილი აქვს გადასახადების ფისკალური ფუნქციის შესრულებაზე, ისიც მცირეშემოსავლიანი, ღარიბი მოსახლეობის ხარჯზე, და ნაკლები ყურადღება ექცევა ეკონომიკურ და მარეგულირებელ ფუნქციებს. ამასთან, დარღვეულია საგადასახადო სამართლიანობის, ეფექტიანობის, პოლიტიკური პასუხისმგებლობისა და სხვა პრინციპები.

დაბეგვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის - "სამართლიანობის"-დარღვევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დღეისათვის საქართველოს საგადასახადო სისტემაში ფაქტობრივად ყველა გადასახადი პროპორციული ხასიათისაა და ერთი და იგივე ფიქსირებული საგადასახადო განაკვეთებით იხდიან გადასახადებს როგორც მდიდრები, ანუ მაღალშემოსავლიანი, ისე ღარიბები, ანუ მცირეშემოსავლიანი ფიზიკური თუ იურიდიული პირები. ასეთ ვითარებაში მძიმდება დაბალ და საშუალო შემოსავლიანი პირების საგადასახადო ტვირთი და რთულდება გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის შესრულება, ანუ შემოსავლების რაციონალური გადანაწილება, ქონებრივი პოლარიზაციის შემცირება და საშუალო ფენის ჩამოყალიბება ქვეყანაში.

<u>უცხოური გამოცდილება</u>

მსოფლიოს ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში საშემოსავლო გადასახადი პროგრესული ხასიათისაა და გადასახადის მინიმალური და მაქსიმალური სარგოების სიდიდეებს შორის ინტერვალები საკმაოდ ფართო დიაპაზონებით ხასიათდებიან. მაგალითად, **ამერიკის შეერთებულ შტატებში** საშემოსავლო გადასახადების სარგოებს შორის დაწესებული ინტერვალების საერთო დიაპაზონი განთავსებულია 10-დან 35% -მდე, **დიდ ბრიტანეთში -** 0-დან 50%-მდე, **საფრანგეთში** 0-დან 51%-მდე, **გერმანიაში** - 14-დან 45%-მდე, **იაპონიაში**- 5-დან 40%-მდე, **ჩინეთში** - 5-დან 45%-მდე, **იტალიაში** - 23-დან 43%-მდე, **ესპანეთში** - 24-დან 43%-მდე, **პორტუგალიაში** - 0-დან 42%-მდე, **დანიაში** - 38-დან 59%-მდე, **ნორვეგიაში** - 28-დან 51%-მდე, **ისრაელში** - 10-დან 47%-მდე, **ბელგიაში** - 25-დან 50%-მდე, **ნიდერლანდებში** - 0-დან 52%-მდე, **ავსტრიაში** - 21-დან 50%-მდე, **ირლანდიაში** - 20-დან 41%-მდე, **სინგაპურში** - 3,5-დან 20%-მდე, **შვედეთში** - 0-დან 56%-მდე და ა. შ. როგორც ვხედავთ, საშემოსავლო გადასახადის სარგოების შკალაში ყველაზე მაღალი ზედა ზღვარი აქვთ <u>ნიდერლანდებს</u> - (52%), <u>შვედეთს</u> - (56%) და <u>დანიას</u> (59%), რაც ამ ქვეყნებს უქმნის კარგ შესაძლებლობებს, მაქსიმალურად შესრულდეს გადასახადის მარეგულირებელი ფუნქცია ქვეყანაში შექმნილი დოვლათის გადანაწილების თვალსაზრისით. გამომდინარე აქედან, აღნიშნულ ქვეყნებში მაღალია როგორც ეკონომიკური განვითარების დონე, ისე მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტი. აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილ ქვეყანათა უმრავლესობაში გათვალისწინებულია შეღავათები საშემოსავლო გადასახადებში. მაგალი-

თად, გერმანიაში ნულოვანი საგადასახადო განაკვეთით იბეგრება იმ პირების საშემოსავლო გადასახადი, რომელთა წლიური შემოსავალი 8000 ევროზე ნაკლებია. 8000 ევროზე ნაკლები წლიური შემოსავლის მქონე ფიზიკური პირები ასევე იბეგრებიან ნულოვანი საშემოსავლო გადასახადით (ანუ არ იბეგრებიან) იტალიაში და ა. შ.

ამჟამად პროპორციული სახის საშემოსავლო გადასახადი მოქმედებს მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში. მაგალითად, 21%-იანი ფიქსირებული საგადასახადო სარგო მოქმედებს ესტონეთში, 10%-იანი სარგო - ბულგარეთში, 16 %-იანი სარგო - უნგრეთსა და რუმინეთში, 26%-იანი სარგო - ლატვიაში, 19% სარგო - სლოვაკეთში და ა. შ. სამაგიეროდ, ამ სახელმწიფოებში მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენების სოციალური დაცვის მიზნით გათვალისწინებულია გარკვეული შეღავათები. მაგალითად, ესტონეთში შემოღებულია ნულოვანი პროცენტით დაბეგვრა (ანუ დაბეგვრიდან გათავისუფლება) იმ ფიზიკური პირებისა, რომელთა წლიური შემოსავალი 1728 ევროზე ნაკლებია და ა. შ. ასე რომ, უცხოელ სახელმწიფოთა უმრავლესობა ცდილობს მაქსიმალურად დაიცვას საგადასახადო სამართლიანობა და შეამსუბუქოს დაბალშემოსავლიანი ფიზიკური პირების საგადასახადო ტვირთი. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მრავალ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოში პროგრესული ხასიათისაა არა მარტო საშემოსავლო გადასახადი, არამედ სხვა დასახელების გადასახადებიც. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში პროგრესული ხასიათისაა კორპორაციათა შემოსავლის (მოგების) გადასახადი.

**დასკვნები და წინადადებები**

საქართველოს დღევანდელი საგადასახადო სისტემა გამოირჩევა არაადეკვატურობით ქვეყანაში არსებული რეალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ. იგი ფაქტობრივად ვერ ასრულებს გადასახადების ფისკალურ, ეკონომიკურ და მარეგულირებელ ფუნქციებს; დარღვეულია საგადასახადო სამართლიანობის, ეფექტიანობის, პოლიტიკური პასუხისმგებლობისა და სხვა პრინციპები. საგადასახადო კოდექსი მორგებულია მოსახლეობის მცირერიცხოვანი, მაღალშემოსავლიანი, ელიტარული ნაწილისა და მსხვილი, მონოპოლისტური ბიზნესის ინტერესებზე და იგნორირებულია მრავალრიცხოვანი, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მოთხოვნები. საქართველოს საგადასახადო სისტემის სამართლიანობის დაბალ ხარისხზე, ჩამორჩენილობასა და არაეფექტურობაზე ობიექტურად მეტყველებს ის გარემოება, რომ საქართველოში გადასახადებიდან შემოსული თანხის საერთო მოცულობაში პირდაპირი გადასახადები ორჯერ ნაკლებია არაპირდაპირ გადასახადებზე მაშინ, როდესაც ცივილიზებულ, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში პირიქითაა, იქ პირდაპირი გადასახადები სამ-ოთხჯერ უფრო მეტია არაპირდაპირ გადასახადებზე. დაბეგვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის - "სამართლიანობის"- დარღვევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დღეისათვის საქართველოს საგადასახადო სისტემაში ფაქტობრივად ყველა გადასახადი პროპორციული ხასიათისაა და ერთი და იგივე ფიქსირებული საგადასახადო განაკვეთებით იხდიან გადასახადებს როგორც მდიდრები, ანუ მაღალშემოსავლიანი, ისე ღარიბები, ანუ მცირეშემოსავლიანი ფიზიკური თუ იურიდიული პირები. ასეთ ვითარებაში მძიმდება დაბალ და საშუალო შემოსავლიანი პირების საგადასახადო ტვირთი და რთულდება გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის შესრულება ანუ შემოსავლების რაციონალური გადანაწილება, ქონებრივი პოლარიზაციის შემცირება და საშუალო ფენის ჩამოყალიბება ქვეყანაში. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები 2004, 2008 და 2011 წლებში, უკან გადადგმულ ნაბიჯებს წარმოადგენენ. კერძოდ, უხეშ შეცდომად უნდა

ჩაითვალოს პროგრესულ გადასახადებზე უარის თქმა და საშემოსავლო გადასახადის გადაკეთება პროპორციულ გადასახადად 20%-ანი ფიქსირებული საგადასახადო განაკვეთით.

ყოველივე ზემოთქმულზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელი და გასაკეთებელია შემდეგი:

1. დღევანდელი პროპორციული 20%-იანი გადასახადი გაუქმდეს და შემოღებული იქნას პროგრესული ხასიათის გადასახადი.

2. გადასახადის მინიმალური და მაქსიმალური სარგოების სიდიდეებს შორის ინტერვალი დაწესდეს 0%-დან 45%-მდე. მაგალითად, როგორც ისრაელში ან ავსტრიაში, ქვეყნებში, რომელთა ტერიტორია თუ მოსახლეობა არც თუ ისე დიდია, რაც გვაძლევს საშუალებას შევადაროთ საქართველოს.

3. აღდგეს დაუბეგრავი მინიმუმი და გახდეს საარსებო მინიმუმის ტოლი.

4. იურიდიულ პირებს აღუდგეთ სოციალური გადასახადი. სოციალური გადასახადი კი, როგორც იყო გაუქმებამდე, 20 % დაწესდეს.

5. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი დღესდღეისობით განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან, რაც არასწორია. იქნებ მიკრო ბიზნესი მოცემული პირისათვის დამატებითი შემოსავლის წყაროა. გარდა ამისა, ზოგიერთ მიკრო ბიზნესის წარმომადგენელს შეიძლება ჰქონდეს საკმაოდ მაღალი შემოსავალი და მათი განთავისუფლება საშემოსავლო გადასახადისაგან არ იქნებოდა სამართლიანი. მით უმეტეს, რომ პროგრესულ საშემოსავლო გადასახადზე გადასვლა ავტომატურად ხნის ამ პრობლემას.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ბაქრაძე თ. საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები. გაზეთი რეზონანსი, 23 თებერვალი, 2012.
2. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო. გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი, 2002.
3. რამიშვილი დ., ალექსიშვილი ა., პეტრიაშვილი ვ., ამაღლობელი დ. გადასახადები და საგადასახადო პოლიტიკა. ბიულეტენი 29, თბილისი, 1999.
4. ყამარაული ს., ჩოკოლაშვილი მ., ყარამაული ლ. გადასახადები და დაბეგვრა.დთბილისი,2010.
5. www.geostat.ge
6. www.mof.ge
7. www.rs.ge
8. http://en.wikipedia.org/wiki/Income_tax



***Гиоргий Апциаури***

*студент*


## НАЛОГОВАЯ СИСТЕМА ГРУЗИИ И ОСНОВНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ ЕГО СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ

### Аннотация


Современная налоговая система Грузии не адекватна к реальной существующей социально-экономической ситуации в стране. Она фактически не выполняет фискальные, экономические и регулирующих функций налогов. НарушаенЫ такие основные принципы налогов как справедливость, эффективность, политическая ответственность и др. На низкий уровень несправедливостьи, неэффективностьи и отсталостьи налоговой системы Грузии говорит тот факт что, объем прямых налогов примерно в два раза

меньше, чем объем косвенных налогов. В то время как в передовых, цивилизованных странах прямые налоги три или четыре раза больше, чем косвенные налоги. Статья основана на том, что изменения в налоговом кодексе в 2004, 2008 и 2011 годы, были шаги назад. В заключении даны предложения по совершенствованию налоговой системы Грузии.

***George Aptsiauri***
*Bachelor of Social Sciences in Economics*

**TAXATION SYSTEM OF GEORGIA AND MAIN DIRECTIONS OF ITS IMPROVEMENT**

**Annotation**

Contemporary taxation system of Georgia is not adequate to the real existent social-economical situation of the country. It actually doesn't carry out fiscal, economical and regulative functions of the taxes. There are violated justice, efficiency, political responsibility and other main principles of the taxes. The taxation code is adapted to the interests of the scanty, not numerous, rich, elite part of population and large-scale monopolistic business and is ignored requirements of the numerous poor population with little incomes. The objective argument of injustice, inefficiency and backwardness of the Georgian taxation system is relationship between direct and indirect taxes, in particular, the volume of direct taxes is approximately twice less than the volume of indirect taxes. While in the foremost, civilized countries direct taxes are three or four times larger than indirect taxes. For instance, relationship between volumes of direct and indirect taxes in the USA is 1,7; in Switzerland is 2; in Sweden is 1,4 and so on. It is infringement of justice's principle, when all taxes of the country are proportional and everybody pay the same fixed rate of tax. Therefore, burden of tax of poor population became more heavy and got complicated fulfillment of regulative function of taxes. The scientific work is based on what changesthe introducedtaxation code in 2004, 2008 and 2011 years that were thoughtless and backward steps. In conclusion there are given the suggestions to improve taxation system of Georgia.

***სალომე ჯაში***
*თსუ მაგისტრანტი*

# არასატარიფო ბარიერების გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე

**ანოტაცია**

არასატარიფო ბარიერების აქტიური გამოყენება დაიწყო მას შემდგომ რაც GATT-მა *(General Agreement on Tariffs and Trade)* შეამცირა სატარიფო ბარიერები. არასატარიფო ბარიერები გამოიყენება, როგორც პროტექციონისტული საშუალება. მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის დაცვა უხარისხო პროდუქციისგან, ამიტომაც მთავრობა იმპორტიორებს უწესებს ხარისხის კონტროლსა და სხვა არასატარიფო ბარიერებს. რაც შეეხება არასატარიფო ბარიერების გამოყენებას პროტექციონისტული მიზნით, აქ შეიძლება გამოიყოს ორი შემთხვევა. *პირველი,* როდესაც ქვეყნის მთავრობა იცავს ახალ ინდუსტრიას და *მეორე,* როდესაც მთავრობა ლობირებს გარკვეული ინტერესის მქონე ჯგუფს. დღეისათვის არასატარიფო ბარიერები და ვალუტის კურსი წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელ ინსტრუმენტებს.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ახალი დეფინიციის თანახმად არასატარიფო ზომები უფრო მეტად პოლიტიკური ღონისძიებებია, ვიდრე ჩვეულებრივი საბაჟო ტარიფები. არასატარიფო ზომებს შეუძლია ეკონომიკური ეფექტის მოხდენა საერთაშორისო ვაჭრობაზე, ვაჭრობის რაოდენობრივი მახასითებლების, ფასის ან ორივეს ერთად შეცვლა.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში შემოსავლების ზრდასთან ერთად იზრდება არასატარიფო ბარიერების გამოყენება, ამიტომაც განვითარებული ქვეყნის არასტარიფო ბარიერების გადალახვა დიდ სირთულეს წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნის ექსპორტისათვის. არასატარიფო ბარიერების კლასიფიკაციის მიხედვით ვაჭრობის ტექნიკურ ბარრიერს, სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ბარიერებს დომინანტი ადგილი უკავიათ. არასატარიფო ბარიერების კლასიფიკაციის მიხედვით ერთ-ერთ ბარიერს წარმოადგენს ინვესტიციებთან დაკავშირებული ბარიერები.

ინვესტიციებთან დაკავშირებული ბარიერები მოიცავს ისეთ შეზღუდვებს, რომელიც იმპორტიორს, რომლის პროდუქციის ღირებულების გარკვეული ნაწილი წარმოებული უნდა იყოს იმპორტიორ ქვეყანაში, ზღუდავს. მაგალითად, ავტომობილების იმპორტისას ავტომობილების ღირებულების 50% უნდა იყოს იმპორტიორ ქვეყანაში წარმოებული.

ინვესტიციებთან დაკავშირებული ბარიერები გამოიყენება სავაჭრო ბალანსის პრობლემების მოსაგვარებლად. იგი ზღუდავს ფირმების იმპორტს და ეს შეზღუდვა დამოკიდებულია ფირმების მიერ ექსპორტირებული საქონლის ღირებულებაზე. კომპანიის მიერ წინა წელს ექსპორტირებული საქონლის ღირებულების 80%-ზე მეტის იმპორტირება შეზღუდულია.

FDI *(Foreign Direct Investments)* მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. მისი საშუალებით შეიძლება შეიქმნას დამატებითი სამუშაო ადგილები, გაუმჯობესდეს ქვეყნის ინფრასტრუქტურა და გაიზარდოს საბიუჯეტო შემოსავლები, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია ისეთი FDI-ს შემოდინება, რომელსაც ექნება სპირალის ეფექტი.

FDI-ს აქვს უარყოფითი ეფექტებიც: კონკურენციის შემცირება (მოკლევადიან პერიოდში), ადგილობრივი ინვესტიციების განდევნა, ადგილობრივი ფირმების კონკურენტუნარიანობის შემცირება და კვალიფიციური სამუშაო ძალის ბაზრის მონოპოლიზირება.

მეწარმეები ცდილობენ გადალახონ სავაჭრო ბარიერები ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინვესტიციების საშუალებით. მათ გადააქვთ საწარმოები საზღვარგარეთ, რაც სატრანსპორტო ხარჯების შემცირებასთანაცაა დაკავშირებული, დანახარჯთა სხვაობა კი ფირმებს ფრაგმენტაციისკენ უბიძგებს.

ამ ორ ინვესტიციას შორის სხვაობა არსი ის, რომ ჰორიზონტალური FDI-ი ანაცვლებს ვაჭრობას, ხოლო ვერტიკალური კი პირიქით - ქმნის ვაჭრობას. ვერტიკალური FDI ძირითადად გავრცელებულია ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებში, ხოლო ჰორიზონტალური FDI კი - ინდუსტრიულ ქვეყნებში. ვერტიკალური FDI იწვევს მწარმოებლურობის ზრდას, რაც გავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობის ზრდაზე.

გამოყოფენ FDI-ს შეზღუდვის 4 ძირითად ფორმას: 1. უცხოური კაპიტალის მონაწილეობის შეზღუდვა ფირმის სააქციო კაპიტალში. 2. შიდა კორპორაციული ტრანსფერების შეზღუდვა. 3. ინვესტიციებიდან ამონაგების შემცირება. 4. ინვესტიციების შეზღუდვა უძრავი ქონების შეძენაზე. ოთხივე ეს შეზღუდვა ერთიანობაში გვაძლევს FDI-ს მთლიანი შეზღუდვის ინდექსს.

FDI-ს შეზღუდვები უფრო მეტ გავლენას ახდენს მომსახურების სფეროზე, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორებზე. ამის მიზეზია ის, რომ მომსახურების სექტორი მოიცვას ისეთ დარგებს (ტრანსპორტი, კომუნიკაციები და ფინანსები), რომელიც სამთავრობო მონოპოლიაა და ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია.

საქონლის ბაზრის რეგულაციებმა შეიძლება გაზარდოს წარმოებაზე დანახარჯები. მსგავსი რეგულაციები შეიძლება არ იყოს დისკრიმინაციული ადგილობრივი და უცხოური ფირმებისთვის, მაგრამ მათ შეიძლება შეამცირონ FDI-ს შემოდინება. ბაზრის რეგულაციების ზრდა იწვევს ბაზარზე შესვლის სირთულეებს და ინვესტიციებიდან ამონაგების შემცირებას. ამიტომ ქვეყნები უცხოელი ინვესტორებისთვის ნაკლებად მიმზიდველნი ხდებიან, რადგან ისინი ამცირებენ კონკურენციას ან ქმნიან არასაჭირო დანახარჯებს იმ ფირმებისთვის, რომლებიც ჩართული არიან FDI-ს ორმხრივ ტრანზაქციებში.

ზოგიერთი რეგულაცია, როგორიცაა ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, იწვევს FDI-ს შემოდინების ზრდას, ვინაიდან ინვესტორი არის გარანტირებული, რომ ბაზარზე მათი ნებართვის გარეშე არ დაიშვება მათი საქონლის წარმოება.

ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია ხელს უწყობს FDI ს მოზიდვას. ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი და ერთიანი ბაზარი ქმნის ხელსაყრელ პირობებს FDI-ის დაბანდებისთვის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ინტეგრაციებში.

უცხოელი ინვესტორებისთვის განსაკუთრებით მომგებიანია ინვესტირება იმ ქვეყნებში, რომლებიც წარმოადგენენ ზენაციონალური გაერთიანების ერთ-ერთ წევრს. სავაჭრო შეთანხმება მეზობელ ქვეყნებთან ზრდის ინვესტიციების მიმღები ქვეყნის ბაზრის პოტენციალს, რაც უფრო მიმზიდველს ხდის ამ ქვეყანას. ამასთანავე, FDI-ს მიზანს წარმოადგენს ექსპორტის მხარდაჭერა ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში. ვაჭრობის ლიბერალიზაცია ყოველთვის ასოცირდება FDI-ს შემოდინებასთან. უხოელი ინვესტიციების შემოდინების ზრდა ხელს უწყობს გარდამავალი პერიოდის გადალახვას ეკონომიკური ზრდის საშუალებით.

საქართველო არის მცირე ღია ეკონომიკა, რომელიც იმყოფება ტრანსფორმაციული ეკონომიკის პერიოდში. ქვეყანაში მწვავე პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობის მაღალი დონე 15,1 %, ხოლო საშუალო თვიური ხელფასი კი 635 ლარია 2011 წლის მონაცემებით. საქართველოში საარსებო მინიმუმი 2013 წლის

თებერვლის მდგომარეობით განისაზღვრა 149,2 ლარით. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა 9,2%-ია, ერთ სულ მოსახლეზე GDP 5811,7 ლარია 2012 წლის მონაცემებით, ხოლო GDP-ს რეალური ზრდა 1,2%-ია. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განხილვით ცხადი ხდება ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონი.

ქვეყანაში სიღარიბის და უმუშევრობის დაძლევა შესაძლებელია როგორც საგარეო ვაჭრობის გაფართოებით ასევე FDI-ს შემოდინების ზრდით. საგარეო ვაჭრობის ბრუნვა საქართველოში ყოველწლიურად იზრდება, ამასთან ყოველწლიურად იზრდება საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სავაჭრო სალდო (2012 წლის მონაცემებით -5465 მილიონი აშშ დოლარი).




*წყარო:* [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

საქართველოში ინვესტიციების შემოდინების პიკი იყო 2007 წელს. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, აგვისტოს ომმა და ქვეყანაში არასტაბილურმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ინვესტიციები შეამცირა. რაც შეეხება ქვეყნის შიგნით არსებულ დაზოგვის ნორმას იგი საკმაოდ დაბალია და ქვეყანას არ გააჩნია საშუალება შიდა რესურსებით განახორციელოს ინვესტიციები. დაზოგვის დაბალი ნორმა მიუთითებს იმას, რომ ქვეყანაში არის მძიმე სოციალური მდგომარეობა და ოჯახის შემოსავლები ძირითადად იხარჯება საკვებზე.

საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა. ქვეყნაში არსებული სოციალური ფონის სიმძიმის გამო, ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს საგარეო ვაჭრობისა და ინვესტიციების ურთიერთკავშირი. მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: რა სავაჭრო პოლიტიკის გატარებაა საჭირო საქართველოში FDI-ის შემოდინების გასაზრდელად? რა საინვესტიციო პოლიტიკაა საწარმოებელი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის გასაფართოებლად? ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად მნიშვნელოვანია განვიხილოთ თუ რა გავლენას ახდენს FDI საგარეო ვაჭრობაზე და პირიქით.

საქართველო არის WTO-ს *(World Trade Organization)* წევრი და მას აქვს აღებული ვალდებულებები, მათ შორისაა სატარიფო განაკვეთების შემცირება. დღეისათვის საქართველოში არის სამი სატარიფო განაკვეთი 12%, 5%, და 0%. საგარეო ვაჭრობის რეგულირებისათვის საქართველოს შეუძლია გამოიყენოს არასატარიფო ბარიერები. არასატარიფო ბარიერებში იგულისხმება ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები (TBT), სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ბარიერები (SPS). დღეისათვის საქართველო ნაკლებად იყენებს ამ ბარიერებს, ამავდროულად ქვეყანაში არის დაბალი სტანდარტები. საქართველო ევროკავშირს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები სტანდარტების დაახლოებასთან. საქართველოს

აქვს აღებული ვალდებულებები მიუახლოვოს ეროვნული სტანდარტები ევროპულ ან საერთაშორისო სტანდარტებს.

იმ შემთხვევაში თუ საქართველო შეძლებს და მიუახლოვებს ეროვნულ სტანდარტებს ევროპულ სტანდარტებს, მაშინ ქართველ მეწარმეებს შეეძლება გაიტანონ თავიანთი საქონელი ევროკავშირში. საქართველოს მიერ ევროკავშირის ბაზარზე თავისუფალმა შესვლამ შეიძლება დააინტერესოს უცხოელი ინვესტორები.

უცხოელი ინვესტორების ინტერესი მაშინ უფრო გაიზრდება, თუ საქართველო მოაწერს ხელს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას *(DCFTA – Deep And Comprehensive Free Trade Agreement).* საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, როგორც ჰორიზონტალური ასევე ვერტიკალური უცხოური ინვესტიციები, თუმცა მათი შეფასება და კლასიფიკაცია ქვეყანაში არ ხდება.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლიათ გაზარდონ ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობები. ჰორიზონტალური FDI-ის ზრდა საქართველოში გაზრდის ექსპორტს. იმისათვის, რომ საქართველოში შემოვიდეს ვერტიკალური FDI საჭიროა ლიბერალური შრომის კოდექსი, დაბალი გადასახადები და შუალედური საქონელის თავისუფალი შემოტანის უფლება.

საქართველოს მინიჭებული აქვს GSP+, რაც გულისხმობს, 7200 დასახელების საქონლის ექსპორტირებას ევროკავშირში პრეფერენციული ტარიფით. GSP+-ის მთავარი მოთხოვნაა ის, რომ ექსპორტირებული საქონლის 60% დამზადდეს საქართველოში, თუმცა იგი ზღუდავს მეწარმეს გამოიყენოს სხვა ქვეყანაში წარმოებული შუალედური საქონელი. ქვეყნებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ GSP+ და გაფორმებული აქვთ თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება შეზღუდული არიან წარმოების ადგილის წესებით (*Rule Of Origin*), აქედან გამომდინარე GSP+ რეჟიმის მინიჭება არ გამოიწვევს FDI-ს მნიშვნელოვან ზრდას. ინვესტიციების ზრდის მიღწევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ჩაერთვება პან-ევროპულ კუმულაციურ სისტემაში *(Pan European Cumulation System)*. ეს საშუალებას მისცემს ქვეყანას ამ სისტემაში შემავალ ქვეყნებში წარმოებული შუალედური საქონელი გამოიყენოს და პირიქით.

GSP+-ის გამოყენება შესაძლებელია თუ მწარმოებელი დაიცავს ევროკავშირის ან საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც გულისხმობს ტექნიკურ, სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებს. სამწუხაროდ, საქართველოში საერთაშორისო სტანდარტის მქონე ლაბორატორია არ არსებობს, რომელიც შესაბამის სერთიფიკატს გასცემს. ამიტომ, ქართველ მეწარმეს ამ სერთიფიკატების აღება უახლოეს ლაბორატორიაში უწევს, რაც ზრდის დანახარჯებს. ყოველივე ზემოთხსენებული ამცირებს ინვესტიციების შემოდინებას საქართველოში.

ქვეყანაში FDI-ის ზრდისთვის მნიშვნელოვანია მისი, როგორც რეგიონალურ ასევე ეკონომიკურ ბლოკში ყოფნა. საქართველოს ბისეკის და სუამის წევრია, გარდა ამისა მას აქვს გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებები დსთ-ს ქვეყნებთან (გარდა რუსეთისა). მიუხედავად ამისა საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობები და უცხოური ინვესტიციები არ იზრდება. ერთ-ერთი მიზეზი რეგიონალური გაერთიანებების დაბალი დონეა. როდესაც აშშ-მა მექსიკასთან გააფორმა საბაჟო კავშირი, აშშ-ის ინვესტიციების დიდმა ნაწილმა აზიური ქვეყნებიდან გადმოინაცვლა მექსიკაში.

გარდა რეგიონალიზაციის დაბალი დონისა, არსებობს სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიზეზებიც, როგორიცაა დაბალი სტანდარტები. დაბალი სტანდარტით წარმოებული საქონელი კონკურენციას ვერ უწევს მაღალი ხარისხის

საქონელს და იწვევს მის განდევნას ბაზრიდან. მაგალითისთვის განვიხილოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის საქონელი, რომელიც ეკოლოგიურად სუფთაა, არ შეიცავს პესტიციდებსა და შხამ-ქიმიკატებს და იგი უფრო ძვირი ღირს ვიდრე უხარისხო თურქული სოფლის მეურნეობის საქონელი, რომელიც იმპორტირდება საქართველოში. მომხმარებელთა დაბალი მსყიდველობითუნარიანობის გამო მაღალი ხარისხის ქართული საქონელი ვერ უწევს დაბალი ხარისხის უცხოურ საქონელს საფასო კონკურენციას. რეგიონში სტანდარტების ამაღლების შემთხვევაში, ქართული სოფლის მეურნეობის საქონელი გახდება ბევრად უფრო მოთხოვნადი ვიდრე დღეს და უფრო მიმზიდველი იქნება უცხოელი ინვესტორებისთვის საქართველოს სოფლი მეურნეობაში ინვესტირება.

რომელი FDI არის უფრო სარგებლიანი ქვეყნისათვის? ამ კითხვაზე პასუხი მარტივია, ეს არის ჰორიზონტალური FDI, ვინაიდან იგი ზრდის ქვეყანაში ტექნოლოგიური განვითარების დონესა და ცოდნას გრძელვადიან პერიოდში. ხოლო რაც შეეხება ვერტიკალური FDI-ის, ის ქმნის ვაჭრობას და ამცირებს უმუშევრობას, მაგრამ ის არ ქმნის ახალ ტექნოლოგიურ საქონეის და არ ხდება ცოდნის დაგროვება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ვერტიკალური FDI-ს შემოდინება დამოკიდებულია ბაზრის გახსნილობაზე, რამაც გრძელვადიან პერიოდში შეიძლება მოგვცეს, როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური შედეგიც. ზოგადად ბაზრის გახსნილობა ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას გრძელვადიან პერიოდში, მაგრამ აქ არსებობს 3 მნიშვნელოვანი საკითხი, ესენია; განათლების დონე, ძლიერი მთავრობა და საფინანსო სექტორი. იმ შემთხვევაში თუ ქვეყანას არ გააჩნია განათლების მაღალი დონე, ძლიერი მთავრობა და საფინასო სექტორი, მაშინ ამ ქვეყანას გაუჭირდება სიღარიბის დაძლევა. ამიტომ მთავრობის მთავარ მიზანს წარმოადგეს ამ დეტერმინანტების შესაბამისობაში მოყვანა იმისათვის, რომ მეტი სარგებელი მიიღოს უცხოური ინვესტიციებისგან.

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია შეიქმნას შესაბამისი სტრუქტურა, რომელიც შეაფასებს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ FDI-ს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში, როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან პერიოდში. FDI-ს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ეფექტები არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასთან. ინვესტიციების შეფასების შედეგად უნდა მოხდეს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ინვესტიციების გადანაწილება ეკონომიკის იმ სექტორებში, რომელიც ქვეყნისათვის პრიორიტეტულია.

ვერტიკალური უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოდგენს ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის გატარება და რეგულაციების შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უკანასკნელ წლებში ატარებს ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკას იგი მაინც ვერ ახდენს გავლენას ვერტიკალურ უცხოურ ინვესტიციებზე. უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნებოდა ლიბერტარიანულ თეორიას, რომელიც გულისხმობს რეგულაციებისა და სახელმწიფო კონტროლის მოხსნას და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერტიკალური უცხოური ინვესტიციები მაშინ მცირდება ქვეყანაში, როდესაც იზრდება რეგულაციები. რეგულაციებისა და მოთხოვნების ზრდას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მომხმარებლისა და გარემოს დაცვა, რაც ნებისმიერი მთავრობის მთავარი ფუნქციაა. იმ შემთხვევაში თუ ქვეყანაში სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი რაოდენობა შექმნილია უცხოური ვერტიკალური ინვესტიციების მეშვეობით, მაშინ საკმაოდ რთული იქნება ახალი რეგულაციების შემოღება, ვინაიდან იგი გამოიწვევს ვერტიკალური

ინვესტიციების გადინებას ქვეყნიდან, რაც გაზრდის უმუშევრობას. ყოველივე აქედან გამომდინარე, ქვეყანა არ უნდა გახდეს დამოკიდებული უცხოურ ვერტიკალურ ინვესტიციებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას შეექმნება პრობლემები ახალი რეგულაციების დანერგვასთან. ამავდროულად ქვეყნის დამოკიდებულება, რომელიმე სახის ინვესტიციაზე წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან. ეს პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დგას განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.

ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკა არის მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას FDI-ს დასარეგულირებლად და ეკონომიკის იმ სექტორებისკენ გადანაწილება, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Joseph Francois - Reducing Transatlantic Barriers to Trade and Investment. Centre for Economic Policy Research, London 2013.
2. Juan A. Marchetti, Roy Martin, Martin Roy - Opening Markets for Trade in Services: Countries and Sectors in Bilateral and WTO Negotiations, Cambridge University Press, 2009.
3. Marco Neuhaus - The impact of FDI on economic growth, London NW 1, 9 NB, 2005.
4. Mary Amiti, David Greenaway, Katharine Wakelin – foreign direct investment and trade: substitutes or complements, University of Melbourne, 2000 Year.
5. www.g20.org
6. www.oecd.org
7. www2.waipa.org
8. www.geostat.ge



***სალომე ჯაში***

*თსუ მაგისტრანტი*


# არასატარიფო ბარიერების გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე

## ანოტაცია


საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური პრობლემების დასაძლევად მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. სამწუხაროდ, საქართველოში შესაბამისი ანალიტიკური სამსახური, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნისათვის საჭირო ინვესტიციებს სექტორების მიხედვით, არ არსებობს.

ინვესტიციების შეზღუდვასა და მოზიდვაში მნიშვნელოვანი როლი უკავია არასატარიფო ბარიერებს. არასატარიფო ბარიერების მეშვეობით სახელმწიფოს იმ პოლიტიკის გატარება შეუძლია, რომელიც მაქსიმალურად მოიზიდავს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და ქვეყანას უფრო მიმზიდველს გახდის ინვესტორებისათვის. არასატარიფო ბარიერები როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ გავლენას ახდენს ინვესტიციებზე. საქართველოსათვის ორივე ეფექტს დიდი

მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებული ადგილი კი, ირიბ ეფექტებს უჭირავთ. საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილება, ქართველ მეწარმეებს საშუალებას მისცემს ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქცია ისე გაიტანონ, რომ საერთაშორისო სტანდარტებთან დაბრკოლებები არ შეექმნათ.

ქვეყნის სხვადასხვა სექტორში, სტანდარტების ზრდა, გამოიწვევს უცხოელი ინვესტორების დაინტერესებას, ვინაიდან საქართველოს GSP+ აქვს მინიჭებული და ევროკავშირის სტანდარტის დაკმაყოფილების შემთხვევაში ქართული პროდუქცია შეღავათიანი რეჟიმით შევა ევროკავშირის ბაზარზე. გარდა ამისა DCFTA-ს ხელმოწერა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ თუ საქართველოში ევროკავშირის ან საერთაშორისო სტანდარტები დაინერგება, მაშინ სოფლის მეურნეობის სექტორს უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად დიდი პოტენციალი ექნება.

***Саломе Джаши***
*Магистрант Тбилисского государственного университета*
*им. Иване Джавахишвили*

## ВЛИЯНИЕ НЕТАРИФНЫХ МЕР НА ПРЯМЫХ ИНОСТРАННЫХ ИНВЕСТИЦИИ

**Аннотация**

Для экономического развития преодоления социальных проблем в Грузии необходимо иностранные инвестиции. К сожалению в Грузии не существуют соответственные службы, которые для страны определяли по секторам необходимые инвестиции.

Для ограничения и привличения инвестиций значительную роль играют нетарифные барьеры. С помощью нетарофных барьеров можно провести ту политику которая необходима для страны. Неторфные барьеры влияют на инвестиции как непросредственно так и коственно. Для Грузии важны оба етих фактора особенно коственные эффекты

Обеспечение международных стандартов создаёт условия Грузинским предпринимателям для вывоза из страны произведенной в Грузии продукции.

Рост стандартов в Грузии вызовет заинтересованность иностранных  инвесторов разных стран потому что Грузии присудили GSP+ и при случаи обеспечения евросоюзных стандартов грузинская продукция войдёт на рынок евросоюзных стран с преференциями. Кроме етого подписания DCFTA сыграет важную роль для привлечения прямых инвестиций. Надо выделить сельскохозяиственый сектор, который имеет большой потенциал для превлечения иностранного капитала в том случаи если в Грузии внедрятся евросоюзные и междунородные стандарты.

***Salome Jashi***
*Postgraduate student of TSU*

**THE IMPACT OF NON-TARIFF MEASURES ON FOREIGN DIRECT INVESTMENTS**

**Annotation**

Foreign Direct Investments are important to overcome the social problems and economic development of Georgia. Unfortunately, there is no analytical service there, which determined the sectors of Georgia, where investments were possible.

Non-tariff measures have the significant role to restrict or attract the investments. The government should have such policy, by the NTMs which will attract foreign direct investments and the country should be more attractive for the investors. NTMs have both, direct and indirect influence on the investments. Both of them are very important for Georgia, but the indirect one is more important. If Georgia satisfies the international standards, Georgian undertakers would be allowed to export products without any obstacles of international standards.

The increase of standards in various sections of Georgia will interest foreigners. Georgia is awarded by the GSP+ and if it satisfies the European Unions' standards Georgian production will enter in the EU market under the preferential regime. Besides DCFTA's signature will play an important role in attracting of Foreign Direct Investments. Noteworthy is the fact that if the EU or international standards will be introduced in Georgia, the agricultural sector will have great potential to attract foreign investments.

## ინფორმაცია

*******

**ჟურნალ ეკონომისტის რედაქცია აცხადებს კონკურსს პრემიის მოსაპოვებლად 2013 წელს ჟურნალში გამოქვეყნებული საუკეთესო სტატიისათვის. პრემია მიეკუთვნება სტატიას, რომელსაც გამოავლენს მაღალკვალიფიციური ჟიური, სამეცნიერო სტატიისათვის წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე.**

**პრემიის მფლობელს გადაეცემა შესაბამისი დიპლომი და ფულადი პრემია 300 ლარის ოდენობით.**

*******

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN).
4. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: **economics_institute@yahoo.com, nbibilashvili@rambler.ru**

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:**
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 299-68-53.

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა**

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე
**შეღავათიან ფასებში**
გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

**გამოცემა:**

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)
- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

**მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14**
**293 22 60; 551 10 07 04.**
**ელ.ფოსტა: economics_institute@yahoo.com**

## ჟურნალ "ეკონომისტში" სტატიების წარმოდგენის წესები

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური და რუსული TIMES NEW ROMAN).
4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.
6. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economics_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:**
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 293-34-44; 599 97 01 03.

## GEL

| | |
|---|---|
| მიმღები | მიმღები: თსუ/ანგარიში პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის |
| | მიმღების IBAN ანგარიშის # GE72 BR00 0001 0405 5894 42 |
| მიმღების ბანკი | ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“ |
| | ბანკის BIC კოდი: REPLGE22 |

**THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE JOURNAL “ECONOMISTI”**

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be sent to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font - AcadNusx, English text font - Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an artticle is sent back to the author for revision the data of receiving the final text is regarded as date of submission for consideration.
5. Price of a page – 10 $.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: **economics_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru**

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 293 34 44

## USD

| | |
|---|---|
| BENEFICIARY | Beneficiary’s name: TBILISI STATE UNIVERSITY |
| | Beneficiary’s IBAN NO: GE72 BR00 0001 0405 5894 42 |
| BENEFICIARY BANK | BANK “REPUBLIC” Tbilisi, Georgia |
| | Correspondent Acc. 00195464<br>SWIFT: REPL GE 22 |
| INTERMEDIARY BANK | SOCIETE GENERALE, N.Y., USA |
| | SWIFT: SOGE US 33 |

ჟურნალი **"ეკონომისტი"**

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.
E-mail: economics_institute@yahoo.com

Journal **"Economisti"**

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103
E-mail: economics_institute@yahoo.com

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი **ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato Abesadze**